საქართველოს
ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის
ერთგვაროვანი პრაქტიკა

2018-2020 წ.წ.

თბილისი

2020

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ მადლობას უხდის ეთიკის კომისიის ადვოკატ და არაადვოკატ წევრებს, 2018-2020 წლების განმავლობაში ეთიკის კომისიაში გაწეული შრომისთვის:

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე, წევრები: მარიკა არევაძე, ცისმარ ონიანი, კონსტანტინე გელაშვილი, ანა ლორია, ანა ხურციძე, ქეთევან უტიაშვილი, თეიმურაზ თოდრია, ხათუნა ჩხაიძე, ინგა სეხნიაშვილი, ირაკლი კორძახია, გია ტაბლიაშვილი, ია გაბედავა, არჩილ ჩოფიკაშვილი, ბესარიონ ბოხაშვილი, ხათუნა ფურელიანი

გამოცემა მომზადებულია:

თამარ ხუბულური

ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტი, ადვოკატი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

შესავალი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, როგორც კვაზი სასამართლო, წლების განმავლობაში ზრუნავს ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების დამკვიდრებასა და განვითარებაზე. ამისათვის, კომისია აგრძელებს პროფესიული ეთიკის საკითხებზე ლიტერატურის გამოცემის ტრადიციას და ამჯერად, წარმოგიდგენთ ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის შეთანხმებულ ეთიკურ სტანდარტებს.

ეთიკის კომისიის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და ეთიკის კომისიის, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს, კორპორატიული მეხსიერების შენარჩუნებაა, რაც ეთიკის კომისიას ხელს უწყობს საქმიანობაში და არსებული პრაქტიკის განვითარებაში. კომისიას მუდმივად განვითარებადი პრაქტიკა აქვს, რომელიც ქვეყნდება კრებულის სახით ან ვრცელდება ელექტრონული ფორმით.

2019-2020 წლებში ეთიკის კომისიამ იმუშავა ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, კერძოდ კომისიამ პროფესიული ქცევის წესებზე მოიძია კონფლიქტური გადაწყვეტილებები და სამუშაო შეხვედრებზე აქტიური განხილვით შეთანხმდა ქცევის სტანდარტების განმარტებებზე. ადვოკატთა პროფესიული ქცევის ყველა წესზე ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას წლები სჭირდება, მაგრამ ამგვარი შეხვედრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებისა და კომისიის პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება ხელს შეუწყობს კონკრეტულ პრობლემათა მოგვარებას, ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას და ადვოკატებს დაეხმარება პროფესიულ საქმიანობაში.

გამოცემაში განხილულია კომისიის განმარტებები პროფესიულ ქცევის წესებზე გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა მიხედვით. აღნიშნული მოიცავს ინფორმაციას იმ საკითხებზე, რა ნაწილშიც პრაქტიკა ერთგვაროვნად ვითარდებოდა, ასევე კონფლიქტურ გადაწყვეტილებებს და კომისიის მიერ სტანდა-

რტებზე შეთანხმებულ ხედვებს. გამოცემაში ასევე ასახულია ეთიკის კომისიის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა შედეგები და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები.

გამოცემის სტრუქტურა ასეთია: ტექსტი დაყოფილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლების შესაბამისად. თითოეული მუხლის მიხედვით გამოკვეთილია პროფესიული ქცევის საკითხები და წარმოდგენილია განმარტებები ან გადაწყვეტილებათა, რეკომენდაციათა მიმოხილვები.

გამოცემაში ასახული შემთხვევების შეფასებები წარმოადგენს კარგ საშუალებას დაეხმაროს ადვოკატს მუდამ იმოქმედოს ეთიკურად. ადვოკატების გარდა, პუბლიკაცია განკუთვნილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკით დაინტერესებული პირებისათვის.

დღეის მდგომარეობით ეთიკის კომისია, როგორც დისციპლინური ორგანო, საჯარო და არასაჯარო სექტორში არსებულ დისციპლინურ ინსტიტუციებს შორის ინარჩუნებს მნიშვნელოვან ადგილს იმის გამო, რომ მან შეძლო თავისი პრეცედენტული განვითარებით და გამოცდილებით შეექმნა პროფესიული სტანდარტების სწორი ხედვა და ასრულებს აქტიურ საგანმანათლებლო როლს.

მადლობა ეკუთვნის ეთიკის კომისიის თითოეულ წევრს, აპარატის იურისტებს და ეთიკის კომისიის კლინიკის სტუდენტებს, რომელთა აქტიური მუშაობითაც ვითარდება ადვოკატის პროფესიული ეთიკა.

ასევე, მადლიერებას გამოვხატავთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის პროექტის – კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) ფარგლებში შექმნილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტის მიმართ, რომლის დახმარებით შესაძლებელი გახდა კომისიის წევრთა სამუშაო შეხვედრების ჩატარება და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის ეთიკის კომისიის პრაქტიკის ორგანიზებული სახით მიწოდება.

შინაარსი

შესავალი 3

მუხლი 1.
პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები 11

მუხლი 2.
განმარტებები დამოუკიდებლობის პრინციპზე..... 12
2.1 დამოუკიდებლობის პრინციპისა და
კანონიერების პრინციპის ურთიერთმიმართება 12
2.2 კლიენტის ინტერესებისა და დამოუკიდებლობის
პრინციპის ურთიერთმიმართება..... 14
საქმე N086/17, 2019 წლის 25 თებერვალი..... 16
საქმე N074/17, 2018 წლის 30 ივლისი..... 18

მუხლი 3.
განმარტებები ნდობის პრინციპზე..... 20
კლიენტის ინტერესები და პროფესიის პრესტიჟი 20

მუხლი 4.
განმარტებები კონფიდენციალობის პრინციპზე..... 23
4.1 კონფიდენციალობის ვალდებულებით
დაცული სუბიექტი 24
საქმე N146/18, 2018 წლის 14 დეკემბერი 24
4.2 კონფიდენციალობის ვალდებულების შეზღუდვა
საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით..... 26
4.3 კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება..... 26
წერილობითი რეკომენდაცია N011/19,
2020 წლის 15 იანვარი 27
4.3 თავდასაცავად წარდგენილი კონფიდენციალური
ინფორმაციის შეფასების ვალდებულება 31

მუხლი 5.
განმარტებები კლიენტის ინტერესების
უპირატესობის პრინციპზე 34
5.1 კლიენტის ინტერესებისა და კანონიერების
პრინციპის ფარგლებში მოქმედების
ურთიერთმიმართება..... 34

5.1.1 „ფორმალური“ ორდერის საფუძველზე
კლიენტის დაცვა 34
5.1.2 კანონიერების პრინციპთან კომპრომისი
კლიენტის სასარგებლოდ?..... 37
საქმე N082/18, 2019 წლის 20 თებერვალი..... 37
საქმე N012/17, 2017 წლის 21 აგვისტო..... 39
5.2 კლიენტის ინტერესების მიმართება
ადვოკატის პირად ინტერესებთან..... 41
5.2.1 მოწინააღმდეგე მხარესთან
საქმიანი ურთიერთობა 41
5.2.2 რამდენიმე საქმის ერთდროულად წარმოება 42
5.2.3. ფინანსური ინტერესი..... 43
5.2.4 კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა 45
საქმე N159/18, 2019 წლის 29 ოქტომბერი..... 45
5.2.5 კლიენტის წარმომადგენლობისას
მესამე პირთა მხრიდან შესაძლო
გავლენა ადვოკატზე 52
წერილობითი რეკომენდაცია 009/18,
2018 წლის 5 ნოემბერი..... 52
წერილობითი რეკომენდაცია N012/18,
2018 წლის 22 ნოემბერი..... 58

მუხლი 6.
განმარტებები ინტერესთა კონფლიქტის
დაუშვებლობის ვალდებულებაზე 60
6.1 ვინ არის კლიენტი? არსებულ კლიენტთა
შორის ინტერესთა კონფლიქტი..... 61
წერილობითი რეკომენდაცია N013/18,
2018 წლის 3 დეკემბერი..... 62
6.2 ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების
შესრულების შეზღუდვა;
ინტერესთა კონფლიქტი არსებულ და
ყოფილ კლიენტს შორის..... 65
6.5 ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას
რა შემთხვევაშია შესაძლებელი ინფორმირებული
თანხმობით საადვოკატო
მომსახურების გაგრძელება?..... 68
წერილობითი რეკომენდაცია N016/18,
2019 წლის 27 მაისი..... 68

6.6 ადვოკატის მოვალეობა ინტერესთა
კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დასაცავად:
კლიენტის ინფორმირების მოვალეობა;
წარმომადგენლობის შეწყვეტა 74
წერილობითი რეკომენდაცია N003/19,
2019 წლის 18 ივნისი 76

მუხლი 8.
ადვოკატსა და კლიენტს შორის
ურთიერთობის წესების განმარტებები 81
8.2 კლიენტის კანონიერი მითითებების
შესრულების ვალდებულება 81
8.3 გარანტიის მიცემის დაუშვებლობა 82
8.5 კეთილსინდისიერი და კვალიფიციური
წარმომადგენლობის ვალდებულება 89
8.5.1 კვალიფიციური და კეთილსინდისიერი
წარმომადგენლობის კომპონენტები 89
საქმე N033/17, 2018 წლის 3 დეკემბერი 98
საქმე N039/18, 2019 წლის 24 აპრილი 101
საქმე N020/15, 2018 წლის 19 აპრილი 103
8.5.2 რწმუნებულების მიუხედავად
ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება 108
8.5.3 ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა
იმ სფეროში, რომელშიც მას
სპეციალიზაცია არ აქვს 109
8.5.4 კლიენტის სახელისა და
გვარის მითითებით ადვოკატის
მიერ ხელმოწერის შესრულების
დაუშვებლობა 112
8.6 კლიენტის ინფორმირების ვალდებულება 114
8.6.1 საადვოკატო მომსახურების შესახებ
წერილობითი ხელშეკრულების
კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება 114
8.6.2 ინფორმაციის „სათანადოდ“
მიწოდების ვალდებულება 116
საქმე N069/18, 2019 წლის 23 აპრილი 117
8.6.3 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
საადვოკატო საქმიანობის განხორციელების
უფლების შეწყვეტის თაობაზე 118

8.6.4 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას..... 119
საქმე N141/18, 2019 წლის 15 ივლისი..... 120
8.6.5 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
საადვოკატო მომსახურების შესახებ
ხელშეკრულების მხარისთვის
(რომელიც არ არის კლიენტი)..... 122
საქმე N074/17, 2018 წლის 30 ივლისი..... 123
8.7 კლიენტის მომსახურებაზე უარის თქმა;
გონივრული ვადა კლიენტთან
ურთიერთობის შეწყვეტამდე..... 126
წერილობითი რეკომენდაცია N008/19,
2019 წლის 22 ნოემბერი..... 126
8.8; 8.9 ადვოკატის ჰონორარი;
საქმის წარმოებაზე უარი..... 128
8.10 ადვოკატის რეკომენდირებისათვის
კომპენსაციის გადახდის/მიღების
დაუშვებლობა..... 131
8.11 საქმის მინიმალური დანახარჯებით
წარმოების ვალდებულება..... 131
8.12 კლიენტის ფულადი სახსრების ჩანაწერი..... 133
8.13. კლიენტის ფულადი სახსრებისა
და ქონების შენახვა და განკარგვა..... 136
საქმე №098/17, 2018 წლის 31 მაისი..... 137
საქმე N096/18, 2019 წლის 6 ივნისი..... 141
საქმე №109/18, 2020 წლის 6 თებერვალი..... 145
საქმე N126/18, 2019 წლის 12 ნოემბერი..... 147
8.15. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის
შეწყვეტისას ადვოკატის ვალდებულებები
და უფლება ჰონორარზე..... 148
8.15.1 საზღაურის სახით მიღებული ფულადი
თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე
განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები
გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით
დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის
დაბრუნების ვალდებულება..... 149
საქმე N070/18, 2019 წლის 20 სექტემბერი..... 158
8.15.2 დოკუმენტების კლიენტისათვის
დაბრუნების ვალდებულება..... 162

მუხლი 9.

განმარტებები ადვოკატის ურთიერთობაზე სასამართლოსთან 165
9.1.1 სასამართლოსთან ურთიერთობის სტანდარტი 165
9.1.2 კლიენტის ინტერესების დაცვასა და სასამართლოში ქცევის წესების დაცვის ფარგლებში მოსამართლის მითითებების შესრულების ვალდებულების ურთიერთმიმართება 170
საქმე N019/19, 2019 წლის 2 დეკემბერი 170
საქმე N077/18, 2018 წლის 9 ივლისი 174
9.2 სასამართლოსთან ურთიერთობის წესის დარღვევა 180
საქმე N027/19, 2019 წლის 17 სექტემბერი 180
9.3 სასამართლოსათვის ყალბი მტკიცებულებების წარდგენის აკრძალვა 184
9.4.1 სასამართლოს მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოებთან ქცევის სტანდარტი 187
9.4.2 კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლო ან სასამართლოს მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოში მიმდინარე პროცესის მონაწილეებთან 191
საქმე N104/16, 2017 წლის 06 ოქტომბერი 192
საქმე N118/18, 2019 წლის 24 ივლისი 193
საქმე N089/17, 2018 წლის 2 ივლისი 198

მუხლი 10.

განმარტებები ადვოკატებს შორის ურთიერთობაზე 203
10.1 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები 203
საქმე N098/18, 2019 წლის 30 იანვარი 206
10.1.2 კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპების თანხვედრა 209
საქმე N033/18, 2019 წლის 30 იანვარი 209
საქმე N066/17, 2017 წლის 26 ოქტომბერი 213
10.1.3 ადვოკატის მიერ სატელევიზიო გადაცემაში კოლეგების შეფასება 215
საქმე №086/18, 2018 წლის 1 ნოემბერი 216
10.1.4 ადვოკატის მიერ სატელევიზიო გადაცემაში კოლეგების შეფასება 215

ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში
კოლეგის შეფასება 222
საქმე N115/18, 2019 წლის 20 მაისი 223
საქმე N143/18, 2019 წლის 12 ივნისი 225
10.2 ადვოკატით წარმოდგენილ მხარესთან
კომუნიკაცია 228
საქმე N095/17, 2018 წლის 21 მარტი 229
საქმე 015/19, 2019 წლის 22 აპრილი 231
წერილობითი რეკომენდაცია N004/18,
2018 წლის 9 მარტი 233

მუხლი 11.

კოდექსის მოქმედების ფარგლები 236
საქმე №156/18, 2020 წლის 9 მარტი 236
ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლები
კომპანიის იურისტზე, რომელიც ადვოკატია 240
წერილობითი რეკომენდაცია N012/14,
2015 წლის 8 იანვარი 240
ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლები
ადვოკატზე, რომელიც დავაში მხარეა და არ
ახორციელებს წარმომადგენლობით საქმიანობას 244
საქმე №164/13, 2014 წლის 16 ივლისი 244

მუხლი 1.

პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების ამომწურავ ჩამონათვალს ასახავს პირველივე მუხლში, თუმცა ეთიკის კომისია ადვოკატების მიმართვის საფუძველზე რეკომენდაციათა გაცემით თუ ადვოკატის მხრიდან ქცევის სტანდარტების დაცულობაზე პრეტენზიის არსებობისას – დისციპლინური წარმოებით, კონკრეტულ შემთხვევებს უსადაგებს პროფესიული ქცევის ღირებულებებს და ამკვიდრებს ქცევის წესების ისეთ ხედვებს, რაც ადვოკატის პროფესიის დამხმარე საშუალებაა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით.

მუხლი 2.

განმარტებები დამოუკიდებლობის პრინციპზე

1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენის ან ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს (08.12.2012).

2. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ (08.12.2012).

2.1 დამოუკიდებლობის პრინციპისა და კანონიერების პრინციპის ურთიერთმიმართება

ადვოკატი კლიენტს სამართლებრივი გზებით უნდა ეხმარებოდეს. კლიენტის სამართლებრივი დახმარებისას ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა მხოლოდ კანონიერი დაცვის საშუალებები გამოიყენოს. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატს არ ანიჭებს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც აღნიშნული ადვოკატს კლიენტმა სთხოვოს და კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება.[1]

კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლი-

[1] საქმე N057/10, 2011 წლის 07 მარტი; დადგინდა ადვოკატის მიერ კლიენტის კანონიერი საშულებებით დაცვის, ასევე დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა; შედეგი: ადვოკატის საქმიანობის უფლების შეჩერება https://gba.ge/pdf/5ca494d178d74.pdf/057.10%2007.03.2011%20saqmianobis%20uflebis%20sheherebaA-converted.pdf

ენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესებით.[2]

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობაში უმთავრესი პრინციპია კლიენტისადმი ერთგულება. ადვოკატმა კლიენტის უფლებების სათანადოდ დაცვისათვის ყველა გონივრული შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რაც კლიენტისაგან ინფორმაციის მიღებით, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებით და შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე უფლებამოსილების მიღებით გამოიხატება. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ან არ ჰქონდეს კლიენტის ინტერესებზე გავლენა, კლიენტმა უნდა მოიწონოს.[3]

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმეზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება.[4]

ეთიკის კომისიამ ასევე განმარტა, რომ კლიენტის ინტერესე-

---

[2] დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ საქმე N010/10, 2010 წლის 22 ივნისი, https://gba.ge/pdf/5c59bf53684a9.pdf/010_10_22.07.2010%20kerdzo%20sarekomendacio%20barati.pdf

[3] საქმე N057/10, 2011 წლის 07 მარტი, ადვოკატის მხრიდან დადგინდა კლიენტის კანონიერი საშულებებით დაცვის, ასევე დამოუკიდებლობის დაცვის ვალდებულებათა დარღვევა; შედეგი: ადვოკატის საქმიანობის უფლების შეჩერება https://gba.ge/pdf/5ca494d178d74.pdf/057.10%2007.03.2011%20saqmianobis%20uflebis%20sheherebaA-converted.pdf

[4] იქვე

ბის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს კლიენტს ნებისმიერი ინფორმაცია, რათა კლიენტმა შემდეგ გადაწყვეტილება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს. ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე.[5]

ეთიკის კომისიამ ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები ოთხ კატეგორიად დაყო: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის სასამართლოსა და პროკურატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლენისაგან, მათ შორის სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე.[6]

2.2 კლიენტის ინტერესებისა და დამოუკიდებლობის პრინციპის ურთიერთმიმართება

ადვოკატის მოვალეობაა დაცვის ქვეშ მყოფ პირს მისცეს ისეთი სამართლებრივი რჩევა, რომელიც გამომდინარეობს კანონისა და დასაცავი პირის ინტერესებიდან.[7] საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კანონიერება, რაც მოიაზრებს ადვოკატის ვალდებულებას

[5] იქვე

[6] იქვე

[7] საქმე N001/10, 2010 წლის 11 აპრილი, ადვოკატის მხრიდან დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დადგინდა, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4ec384b14b6.pdf/5c4ec384b14b6.pdf

იმოქმედოს კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე მაღლა დგას. ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია კანონის უზენაესობის დამკვიდრება საზოგადოებაში. ადვოკატს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მართლმსაჯულების განხორციელებაში. ადვოკატი იცავს კლიენტების კანონიერ უფლებებს სხვის მიერ მათი ხელყოფის დროს. ადვოკატს ორმაგად მოეთხოვება კანონიერების ფარგლებში მოქმედება, რადგან თავად იყოს მაგალითი საზოგადოებისათვის.[8]

კლიენტი ირჩევს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს მისი უფლებების დაცვას. ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობის არსებობა ხელს უწყობს ეფექტიან ურთიერთობას. კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს მისი ინტერესების დასაცავად. კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და მისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ დაიცვას კლიენტი.[9]

კომისიის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში ადვოკატმა უნდა შეათანხმოს დაცვის პოზიცია და ტაქტიკა კლიენტთან. აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატი კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით, სხვა პირთა დასწრების გარეშე გაესაუბრება კლიენტს, მიიღებს კლიენტისაგან ინფორმაციას და გაიგებს მის პოზიციას. მას შემდეგ, რაც ადვოკატი მიიღებს კლიენტისაგან სათანადო ინფორმაციას, ადვოკატი აძლევს მას პროფესიულ რჩევას შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე, რის შედეგადაც ადვოკატი და კლიენტი

---

[8] საქმე N093/16, 2018 წლის 09 ნოემბერი

[9] საქმე N112/11, 2012 წლის 25 მაისი, დადგინდა კლიენტთან ურთიერთობის დაწყების წესის, დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა; შედეგი: საქმიანობის უფლების შეჩერება http://gba.ge/uploads/resolutions/2013/11/06/1626ea2531ea1bc0afd31fb3f99a3cff.pdf

ერთად შეიმუშავებენ დაცვის ტაქტიკას და პოზიციას, ან ადვოკატი დამოუკიდებლად შეიმუშავებს დაცვის სტრატეგიას – კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებით და სათანადო უფლებამოსილების მიღებით დაცვის ტაქტიკის განხორციელების თაობაზე.[10]

საქმე N086/17, 2019 წლის 25 თებერვალი[11]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: დამოუკიდებლობის პრინციპი

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – გაფრთხილება

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატის კლიენტის პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ.

უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე მიმდინარე სასამართლო დავაში კლიენტის (მოპასუხე მხარის) წარმომადგენლობისას, ადვოკატმა კლიენტისგან შეიძინა სადავო უძრავი ქონება. მოსარჩელე მხარეს არ უსარგებლია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით. მოსარჩელემ წამოიწყო ახალი დავა მოწინააღმდეგე მხარის მიერ ადვოკატთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში აუცილებელია.

---

[10] დისციპლინური საქმე 062/15, 30 ივლისი 2015 წელი; არ დადგინდა ადვოკატის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c4ec20cd61fa.pdf/5c4ec20cd61fa.pdf

[11] https://gba.ge/pdf/5d7255d8182fd.pdf/086.17%20%2025.02.2019%20gafrtxileba.pdf

ადვოკატმა, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელმა, კანონიერების პრინციპის დაცვით, ყველაფერი უნდა გააკეთოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით. ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს ისეთ გარემოებებს, რაც მის პროფესიულ დამოუკიდებლობაზე გავლენას მოახდენს. აღნიშნული ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და უზრუნველყოფს ადვოკატთა კორპორატიული მიზნის დაცვას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დასაცავად ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალ გარემოში საქმიანობას.

ადვოკატის რეპუტაციის განმტკიცება და იურიდიული პროფესიის პატივისცემა ადვოკატის კეთილსინდისიერმა მოქმედებებმა უნდა უზრუნველყოს გონიერი დამკვირვებლის თვალში. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია თავი აარიდოს ისეთ ვითარებას, რომელსაც შეუძლია ეჭვის გაჩენა საადვოკატო საქმიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის თაობაზე. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას მის საქმიანობაში რაიმე სახით ჩარევა, თუნდაც აღნიშნული კლიენტის მითითებებიდან გამომდინარეობდეს.

მხარეებს შორის დავა, რომელიც სხვადასხვა მოთხოვნით მიმდინარეობდა წლების განმავლობაში, ადვოკატის მიერ კლიენტისგან სადავო ქონების შეძენის გამო სასამართლოში გაგრძელდა ახალი საფუძვლით, სადაც საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდა მეორე მხარის ადვოკატი. სამართლებრივი დავის პროცესში, კლიენტის სახელზე რიცხული ქონების გადაფორმებით ადვოკატი გასცდა საადვოკატო საქმიანობას, შევიდა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის ფარგლებში, რაც გახდა ახალი სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების საფუძველი. ადვოკატის მიერ ქონების შესყიდვით, მისი კლიენტი ჩამოშორდა სადავო უძრავ ქონებას და ახალი დავის ფარგლებში ადვოკატმა განაგრძო საპროცესო მხარედ მონაწილეობა. ადვო-

კატმა აღნიშნული შესაძლოა განახორციელა როგორც პირადი ინტერესების, ასევე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. თუმცა, კომისიის შეფასებით, ასეთ ვითარებაშიც, ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვა ვერ იქნება გამართლებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით მათ დამატებით გარკვეული სამოქალაქო სამართლებრივი უფლება-მოვალეობები წარმოეშვათ ერთმანეთის მიმართ. მოცემულ გარემოებას შეეძლო ადვოკატის საქმიანობაზე გავლენის მოხდენა და ხელის შეშლა ადვოკატის დამოუკიდებელ პროფესიულ განსჯაში. სწორედ ამიტომ კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული პროფესიული ქმედებით ადვოკატმა დაარღვია დამოუკიდებლობის პრინციპი.

საქმე N074/17, 2018 წლის 30 ივლისი[12]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კლიენტის ინფორმირების ვალდებულება; არ დადგინდა დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა[13]

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კლიენტის პრეტენზიით, ადვოკატმა ისარგებლა მათ შორის არსებული მეგობრული ურთიერთობით და სთხოვა მისთვის კომპიუტერის განვადებით შეძენა იმ პირობით, რომ ადვოკატი გადაიხდიდა კომპიუტერის საფასურს. კლიენტის მეუღლის სახელზე განვადების გაკეთებით ადვოკატმა შეიძინა კომპიუ-

---

[12] https://gba.ge/pdf/5c6293391b988.pdf/074-17%20%20%20%2012.04.18%20%20%20%20kerZo%20sarekomendacio%20barati.pdf

[13] კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა, თუმცა საქმეში გამოიკვეთა ადვოკატის მიერ კლიენტის არაინფორმირებულობა მასთან ურთიერთობის შეწყვეტისას, რაც გახდა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მოცემული გადაწყვეტილება ამ კუთხით განხილულია ინფორმირების ვალდებულების თავში (8.6.5).

ტერი, თუმცა ნივთის შეძენის შემდეგ ადვოკატმა აღარ გადაიხადა განვადების თანხა და კლიენტის კლიენტის მეუღლემ თავად დაფარა თანხა. ადვოკატი არ დაეთანხმა კლიენტს და განმარტა, რომ კლიენტის მეუღლემ საკუთარი ინიციატივით შესთავაზა მის სახელზე გაკეთებულიყო განვადება, ხოლო შემდეგ კომპიუტერი აჩუქა. კლიენტის მიერ პრეტენზიის წაყენებისას, ადვოკატმა კლიენტის მეუღლეს გადასცა კომპიუტერი.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, კომპიუტერის ფასი არ იყო იმ მოცულობის თანხა, რაც შექმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს იმისა, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობა რისკის ქვეშ დადგა. ასევე ფინანსური ურთიერთობის დასასრულებლად ადვოკატმა კლიენტის მეუღლეს მოთხოვნისთანავე დაუბრუნა კომპიუტერი, ხოლო სხვა საფუძვლით მოგვიანებით შეწყვიტა კლიენტის მომსახურება. აქედან გამომდინარე, კომისიამ მიიჩნია, კლიენტის მეუღლესა და ადვოკატს შორის პორტატულ პერსონალურ კომპიუტერთან დაკავშირებით დადებული გარიგება არ იყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება და მას ადვოკატის დამოუკიდებლობა რისკის ქვეშ არ დაუყენებია.

მუხლი 3.

განმარტებები ნდობის პრინციპზე

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. (08.12.2012)

კლიენტის ინტერესები და პროფესიის პრესტიჟი

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია ნდობა. ეთიკის კოდექსი ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებად მიიჩნევს კლიენტთან იმგვარ დამოკიდებულებას, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს ნდობა. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის საკუთარი პრობლემის განდობით იწყება და ყოველი შემდეგი ნაბიჯი კლიენტის დაცვისათვის სათანადოდ განმარტებული და შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან. ადვოკატი, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირი, ვალდებულია, კლიენტს მიაწოდოს კანონიერი რჩევა, სრული და ამომწურავი ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე.[14]

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ განახორციელოს მოქმედება, რითაც შესაძლებელია ავნოს, როგორც კლიენტის, ისე პროფესიის პრესტიჟს. დაუშვებელია ადვოკატმა გამოიყენოს მის მიმართ გამოხატული ნდობა და მორიგება გააფორმოს მისი კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, თუნდაც მორიგების

[14] საქმე N034/11, 2011 წლის 27 აგვისტო; დარღვევა: კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, ნდობის პრინციპი, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c49d8062a4dC.pdf/5c49d8062a4dC.pdf

უფლების შესახებ აღნიშნული იყოს მის მოქმედ რწმუნებაში. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ თუმცა მორიგება ძალაში რჩება მესამე მხარეების მიმართ (თუკი არ გაუქმდება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით), ადვოკატი პასუხს აგებს მისი კლიენტების წინაშე მორიგების პირობებიდან და შედეგებიდან გამომდინარე. რწმუნებაზე ხელის მოწერით კლიენტი გამოხატავს ნდობას არა მხოლოდ ადვოკატის, არამედ მისი პროფესიის მიმართ. ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება მხოლოდ კლიენტის სასარგებლოდ და ნებისმიერ შემთხვევაში მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მისი სტრატეგიის და მით უფრო ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ, როგორიც მორიგებაა.[15]

ნდობის პრინციპით განმტკიცებულია პროფესიული ღირებულებები: პირადი ღირსება და პატიოსნება. ადვოკატის ვალდებულებაა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ადვოკატის პროფესიის ავტორიტეტი. კომისიის შეფასებით, ადვოკატის პირადი ღირსება და პატიოსნება არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, როგორც ინდივიდის პიროვნული თვისებებია, არამედ თავისი მნიშვნელობით უფრო ვრცელი მასშტაბისაა და ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლში (ნდობის პრინციპი) ყველა ის პირადი თვისება, რომელიც ადვოკატს უნდა ახასიათებდეს, იმავდროულად ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებად განიხილება. ყოველი კონკრეტული ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა, იმავდროულად ხელს უწყობს კოდექსში გაცხადებული მიზნის – ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებას.[16]

---

[15] საქმე N3091/11/07, 2007 წლის 29 ნოემბერი; დადგინდა ნდობის პრინციპის, კლიენტის კანონიერი მითითებების მიხედვით საქმისწარმოების ვალდებულების დარღვევა

[16] საქმე N3030/07, 2007 წლის 10 ოქტომბერი; დადგინდა ნდობისა და კანონიერების პრინციპების დარღვევა

ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი.[17]

[17] საქმე N077/13, 2014 წლის 12 ივნისი, დარღვევა: აპეკ-ის მე-3 მუხლი, 8.6 მუხლი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c484a807dbf8.pdf/5c484a807dbf8.pdf

მუხლი 4.

განმარტებები კონფიდენციალობის პრინციპზე

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (08.12.2012)

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;

ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს. (08.12.2012)

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის. (08.12.2012)

5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პი-

რებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა. (08.12.2012)

4.1 კონფიდენციალობის ვალდებულებით დაცული სუბიექტი

საქმე N146/18, 2018 წლის 14 დეკემბერი[18]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია
სავარაუდო დარღვევა: კონფიდენციალობის პრინციპი
შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმა
ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მოწინააღმდეგე მხარემ.

ადვოკატმა ადმინისტრაციულ დავაში მონაწილეობისას მიღებული პერსონალური ინფორმაცია, კერძოდ გ. ფ.- ის, როგორც სს ს. ს. ბ.-ს გენერალური დირექტორის წლიური შემოსავლის ოდენობა გამოიყენა სამოქალაქო დავაში გ. ფ.-ის დაკითხვის დროს, სადაც საჩივრის ავტორი ჩართული იყო მესამე პირის – სს კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსით. ადვოკატი ორივე დავაში წარმოადგენდა პროცესუალური მოწინააღმდეგის ინტერესებს.

ადვოკატის შეფასებით, იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, დასმული შეკითხვა წარმოადგენდა მისი სტრატეგიის ნაწილს და მას მოწინააღმდეგე მხარის მიმართ არ ჰქონდა ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება. ამასთან, ადვოკატის მოსაზრებით, მის მიერ ადმინისტრაციულ საქმეში მიღებული ინფორმაციის სამოქალაქო საქმეში გამოყენებას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – კლიენტის ინტერესზე შესაძლო დადებითი გავლენის მოხდენა.

---

[18] https://gba.ge/pdf/5e61125208c76.pdf/146-18%2014.%2012.2018%20ar%20agdzvra.pdf

სამართლებრივი შეფასება

კომისიის განმარტებით, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა დაიცვას კლიენტის ინტერესები საუკეთესოდ, რისთვისაც ადვოკატი, როგორც შესაბამისი განათლებისა და პროფესიული უნარების მქონე პირი მოქმედებს კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით. ამ პროცესში ადვოკატს აქვს პროფესიული ეთიკის კოდექსითა და „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მთელი რიგი ეთიკური ვალდებულებები საქმისმწარმოებელ ორგანოსთან, კოლეგასთან და პროცესის მონაწილეებთან, თუმცა ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტზე და მისი ქცევა მიზნად ისახავს კლიენტის ინტერესების დაცვას.

კომისიის პოზიციით, სამოქალაქო დავის საქმეში მესამე პირად ჩართული გ. ფ.-ის, როგორც სს კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, დაკითხვის დროს ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესის შესაბამისად, პროფესიული როლის ფარგლებში და ამ პროცესში ადვოკატის ჩართულობის შედეგად სხვა ადმინისტრაციული საქმიდან მიღებული ინფორმაციის მოცემულ სამოქალაქო საქმეში გამოყენებით მას არ დაურღვევია ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება, ვინაიდან აღნიშნული პროფესიული ვალდებულების დაცვის სუბიექტი – კლიენტია. შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ კლიენტის წარმომადგენლობის პროცესში მოწინააღმდეგე მხარის შესახებ სხვა საქმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, ადვოკატმა იმოქმედა ადვოკატის პროფესიული ქცევის წესების დაცვით კონფიდენციალობის შენახვის ვალდებულების ნაწილში, რაზეც დავობდა მოწინააღმდეგე მხარე. ეთიკის კომისიამ ასევე განმარტა, რომ კომისიის კომპეტენცია ვრცელდება ადვოკატის პროფესიული ქცევის შეფასებაზე „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში და კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს და დაადგინოს ადვოკატის მიერ სხვა ნორმატიული აქტების შესაძლო დარღვევა.

4.2 კონფიდენციალობის ვალდებულების შეზღუდვა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ეკისრება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება კლიენტის საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.[19]

ეთიკის კომისიის შეფასებით, კლიენტის თანხმობის პირობებშიც, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გარკვეული ვადით შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს პროფესიული საიდუმლოების დაცვის ნაწილში.

4.3 კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება

კომისიის განმარტებით, საქმის მასალები არის კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს არ ჰქონდეთ საქმესთან შემხებლობაში არმყოფ, მესამე პირებს აღნიშნულ მასალებზე წვდომა.[20] ადვოკატსა და კლიენტს ან უფლებამო-

---

[19] საქმე N134/12, 2013 წლის 27 მაისი, დადგინდა კონფიდენციალობის დარღვევა, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4c501888895.pdf/5c4c501888895.pdf

[20] საქმე N054/13, 2014 წლის 21 მარტი, ადვოკატმა საქმის წარმოებისა და საქმის მასალების, კლიენტთან შეთანხმების გარეშე, სხვა ადვოკატისთვის მინდობით დაარღვია როგორც ინფორმაციის მიწოდების, ისე ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება. შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c471fcce4137.pdf/5c471fcce4137.pdf

სილ პირს შორის შეთანხმება ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის განხორციელების თაობაზე, კლიენტს აძლევს შესაძლებლობას იყოს ინფორმირებული მისი ინტერესების წარმომადგენლის შესახებ, ჰქონდეს ადვოკატთან კომუნიკაცია და უშუალოდ მისგან მიიღოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე.[21]

საქმეში, სადაც ადვოკატმა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა, ეთიკის კომისიამ განმარტა: კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ.[22]

წერილობითი რეკომენდაცია N011/19, 2020 წლის 15 იანვარი[23]

შეკითხვა: იმ შემთხვევაში თუ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატს მოწმის სახით იბარებენ გამოკითხვაზე, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმე ეხება იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (საქმის დეტალები ადვოკატისთვის უცნობია), რომლებსაც სამოქალაქო (კორპორატიული) სამართლის სფეროში გაუწია ადვოკატმა მომსახურება/კონსულტაცია (ხელშეკრულების მომზადება, რჩევების მიცემა/კონსულტაცია), საქართველოს

[21] იქვე

[22] საქმე N094/11, 10 აპრილი, 2012 წელი; დარღვევა: კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოების პრინციპი, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება, შედეგი: საქმიანობის უფლების შეჩერება https://gba.ge/pdf/5c47284380180.pdf/5c47284380180.pdf

[23] https://gba.ge/pdf/5e5fa7765651d.pdf/werilobiti%20rekomendacia%20%20011.19%20gacemis%20tarigi%2015.01.2020.pdf

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლი ზღუდავს ადვოკატს მისცეს ჩვენება? ის, როგორც ადვოკატი მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობდა, თუმცა კლიენტთან დაკავშირებული და კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების კუთხით, ადვოკატმა რა სახის ინფორმაციის მიცემისგან უნდა შეიკავოს თავი და რა მოცულობით შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოებს?

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ ადვოკატის ქმედება შეაფასა დამოუკიდებლობის პრინციპისა და პროფესიული საიდუმლოების დაცვის კუთხით.

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადვოკატის, როგორც მოწმის სტატუსით დაკითხვის შემთხვევას არეგულირებს, რომლის მიხედვითაც „არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი)." „ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა" (ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3-ე მუხლის პირველი პუნქტი). „მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პატივისცემა. ამ პრინციპის გამონაკლისები შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონის უზენაესობის პრინციპებს შეესაბამება" (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000)21 – პრინციპი I, მე-6 პუნქტი).

ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და საადვოკატო მომსახურების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია და დაცულია ადამიანის უფლებათა და

ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკით. „დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით“ (საქართველოს კონსტიტუცია 31.3 მუხლი). კომუნიკაცია ადვოკატთან არის კონფიდენციალური და დაცული. ადვოკატის ურთიერთობა კლიენტთან უნდა იყოს დაფუძნებული იმ ფუნდამენტურ და სახელმძღვანელო პრინციპებზე, რასაც განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მათ შორის საადვოკატო საქმიანობისას ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა დამოუკიდებლობა და კონფიდენციალობა. ადვოკატის მიერ როგორც არსებული კლიენტის, ისე ყოფილი ან პოტენციური კლიენტის საქმის თაობაზე არსებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის.

სსსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილი არეგულირებს ადვოკატის მიერ მოწმედ დაკითხვის საკითხს: „მოწმის სახით ჩვენების მიცემისას მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება: ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით“. სსსსკ-ის ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით ადვოკატს არ ეკისრება ვალდებულება გასცეს კლიენტის შესახებ და მის საქმეზე არსებული ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული ვალდებულების არქონა არ

გულისხმობს, ადვოკატმა თავად გადაწყვიტოს მისცეს თუ არა ჩვენება კლიენტის საქმეზე, რადგან ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირს, იმპერატიული ვალდებულება აკისრია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით, არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმედ „წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას“. ამავე კოდექსის 142-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ „პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებულნი არიან დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი გათავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან“.

პროფესიული საიდუმლოება არის საადვოკატო საქმიანობის დროს კლიენტის საქმეზე მიღებული ყველა სახის ინფორმაცია, რაც მოიცავს კლიენტის ვინაობასაც, რომლის გამჟღავნებაც შეზღუდულია, თუ ეს კლიენტმა წინასწარ მოითხოვა. შესაბამისად, პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ კანონითა და ეთიკის წესებით დადგენილი გამონაკლისების შესაბამისად. შეკითხვის ფაქტებიდან არ იკვეთებოდა არსებობდა თუ არა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საგამონაკლისო შემთხვევა.

დასკვნა: ადვოკატმა არ უნდა გასცეს ის ინფორმაცია, რაც პროფესიული მოვალეობების განხორციელების დროს გახდა მისთვის ცნობილი.[24]

---

[24] ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეში N012/16 დაიწყო დისციპლინური დევნა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის („კანონი“) 7.1 მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) 4.1 მუხლის შესაძლო დარღვევის გამო, თუმცა წარმოების მეორე ეტაპზე არ იმსჯელა ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულების დარღვევაზე იმის გამო, რომ საჩივრის ავტორი მიიჩნია არაუფლებამოსილად პრეტენზიის ამ ნაწილში. უდავო ფაქტს წარმოადგენდა, რომ ადვოკატი ესაუბრა მანქანაში მის კოლეგებს მისი კლიენტის საქმის კონფიდენციალურ გარემოებებზე.

4.3 თავდასაცავად წარდგენილი კონფიდენციალური ინფორმაციის შეფასების ვალდებულება

კონფიდენციალობის პრინციპი მოიცავს კლიენტისგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. კლიენტთან საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგაც კი დაუშვებელია კლიენტის პიროვნების სუბიექტური შეფასებისას ან მის საქმეზე პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გამოყენება კლიენტის წინააღმდეგ.[25]

თუმცა გადაწყვეტილებაზე დაწერილი განსხვავებული აზრით, ვინაიდან კომისიამ ჩათვალა, რომ საჩივრის ავტორი წარმოადგენდა სათანადო მხარეს ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.12, 8.13 და 8.15 მუხლების დარღვევასთან დაკავშირებით, აღნიშნულ მუხლებში ადვოკატის ყველა ვალდებულება მიმართულია მხოლოდ კლიენტის მიმართ. ამით კომისიამ აღიარა, რომ საჩივრის ავტორი წარმოადგენდა სათანადო მხარეს, როგორც ეს განსაზღვრულია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების („დებულება“) 6.1.(ა) მუხლში.

საქმეში დადგინდა, რომ მოპასუხე ადვოკატთან ერთად მანქანით მგზავრობისას, რამდენიმე ადვოკატი დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო საქმე, ხოლო ადვოკატმა მოუყვა მათ საქმის დეტალები და მიუთითებდა პერსონალურ მონაცემებზე, რაც წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას აპეკ-ის 4.1. მუხლის საფუძველზე. ადვოკატმა თავისი მოქმედებით დაარღვია საადვოკატო პროფესიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულება – კონფიდენციალობის ვალდებულება. ეთიკის კომისიას არაერთხელ აქვს ნამსჯელი კონფიდენციალობის დაცვის მნიშვნელობაზე კლიენტის მხრიდან ნდობის შენარჩუნებისთვის, ადვოკატის პროფესიის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებისთვის და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვისთვის. იხ. საქმეები N134/12, N054/13 და რეკომენდაციები N007/14 და N010/15. შესაბამისად, კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევა, პროფესიული ვალდებულების საკმაოდ მძიმე გადაცდომაა. https://gba.ge/pdf/5e301aebba33e.pdf/012.16%20%2005.04.2019%20gafrtxileba%20+gansxvavebuli%20azri.pdf

[25] საქმე N029/11, 2011 წლის 09 ივლისი; დარღვევა: კონფიდენციალობის პრინციპი, შედეგი: დისციპლინური წარმოების შეწყვეტა https://gba.ge/pdf/5c4c47fbd8450.pdf/5c4c47fbd8450.pdf

წერილობითი რეკომენდაცია 014/18, 2019 წლის 31 იანვარი https://gba.ge/pdf/5c94a2a2126a2.pdf/014.18%20gacemis%20tarigi%2031.01.2019.pdf

ადვოკატს მართებს შეაფასოს ეთიკის კომისიაში მიმდინარე წარმოების ფარგლებში კლიენტის პრეტენზიისგან თავდასაცავად წარდგენილი კონფიდენციალური ინფორმაცია და მხოლოდ იმ ფარგლებში გამოიყენოს ის, რაც დაკავშირებული იქნება წაყენებული პრეტენზიისგან თავდასაცავად.[26]

ეთიკის კომისიამ კლიენტთან საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, მინდობილობით, როგორც მარწმუნებლის ნდობით აღმჭურველი დოკუმენტის სარგებლობის გამო, ადვოკატის მხრიდან კანონიერებისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევა დაადგინა.[27] ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატს უფლება არა აქვს ისარგებლოს კლიენტის მიერ გაცემული მინდობილობით, ორდერით და სხვა დოკუმენტებით.[28]

ყოფილი კლიენტის ჯანმრთელობის შესახებ ადვოკატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ვინაიდან კონფიდენციალურად მიიჩნევა ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას, როგორც უშუალოდ კლიენტისაგან, ასევე ადვოკატის მიერ სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია. მართალია, აპეკ-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ადვოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ეთიკის კომისიაში ყოფილი კლიენტის მიერ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დაცვასთან, მაგრამ ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვას კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებით.[29]

---

[26] იქვე

[27] საქმე N001/12, 2012 წლის 27 ივნისი; დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4eb6027b3bC.pdf/5c4eb6027b3bC.pdf

[28] იქვე

[29] იქვე

კლიენტი ადვოკატს მინდობილობას ან ორდერს გადასცემს მისი ინტერესების დაცვის მიზნით და იგი უფლებამოსილი არ არის აღნიშნული დოკუმენტები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მათ შორის საკუთარი ინტერსების დასაცავად, მოცემულ შემთხვევაში კი ისარგებლოს რა კლიენტის მინდობილობით და ორდერით და ეთიკის კომისიაში კლიენტის ბრალდებისაგან თავის დასაცავად წარსადგენი ინფორმაცია გამოითხოვოს მისი სახელით.[30]

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ყოფილი კლიენტის მიერ გაცემული დოკუმენტაციით სარგებლობის აკრძალვას, ვინაიდან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული ქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება.[31]

[30] იქვე
[31] იქვე

მუხლი 5.

განმარტებები კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპზე

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. (08.12.2012)

5.1 კლიენტის ინტერესებისა და კანონიერების პრინციპის ფარგლებში მოქმედების ურთიერთმიმართება

5.1.1 „ფორმალური" ორდერის საფუძველზე კლიენტის დაცვა

ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები ითვალისწინებენ კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს, თუმცა ეს არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ადვოკატს კანონის გვერდის ავლით შეუძლია იმოქმედოს, მაშინ, როდესაც კლიენტის ინტერესებს წარმოადგენს. კანონიერების პრინციპი უპირატესია ყველა სხვა პრინციპთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან მიმართებით, რომელიც პროფესიული ეთიკის ნორმებშია გაწერილი.[32] საზოგადოების თვალში ადვოკატი უნდა აღქმული იყოს, როგორც კანონიერების დამცველი, მაღალი პროფესიული ეთიკის მატარებელი.[33]

ეთიკის კომისიამ არაერთი საქმე განიხილა ადვოკატების პროფესიულ ქცევებზე, როდესაც მათ კლიენტის ინტერესე-

[32] განსხვავებული აზრი ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, საქმე №095/17, დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე, შეეხება ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერის კანონიერებას.

[33] იქვე

ბიდან გამომდინარე სხვადასხვა მიზნით გამოწერეს ორდერი მოწინააღმდეგე მხარის სახელზე და ორდერის საფუძველზე იმოქმედეს, შეხვდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესახლებულ პროცესუალურ მოწინააღმდეგეს კლიენტის სასარგებლოდ ინფორმაციის მისაღებად ან მოწინააღმდეგის სასარგებლოდ გამოწერილი ორდერის საფუძველზე გამოითხოვეს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმიდან. ეთიკის კომისიის პრაქტიკა ორდერის გამოწერის კანონიერებაზე შემდეგია:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლით, ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის საფუძველზე ადვოკატს უფლება აქვს იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.[34]

კონკრეტული პირის მიერ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა წარმოშობს ადვოკატსა და კლიენტს შორის სამართლებრივ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვისა და იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც განსაზღვრულია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით.[35]

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ადვოკატის მიერ ორდერის გაფორმებას სხვა მიზნით, გარდა ორდერში მითითე-

---

[34] საქმე N048/15, 2018 წლის 18 აპრილი; დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის უფლებამოსილება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c471d761168C.pdf/5c471d761168C.pdf

[35] ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №044/10, დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის უფლებამოსილება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c582e0e25af5.pdf/5c582e0e25af5.pdf

ბული პირის ინტერესების დაცვისა.[36] ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.[37]

ადვოკატის მიერ ბრალდებულის სახელზე ორდერის გამოწერა ადვოკატსა და ბრალდებულს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას წარმოშობს, რაც ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, იმოქმედოს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ბრალდებული პირის (კლიენტის) ინტერესების დასაცავად.[38] ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა არ ხდება უპირველესად და ექსკლუზიურად იმ პირის ინტერესების დაცვის მიზნით, ვინც ორდერშია მითითებული, ადვოკატმა უარი უნდა თქვას ორდერის გამოწერასა და დაცვის განხორციელებაზე.[39]

---

[36] ორდერი, როგორც წესი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ რეკვიზიტებს შეიცავს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადვოკატის ორდერი. კერძოდ, ორდერის სავალდებულო რეკვიზიტებია: ა) იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი; ბ) დოკუმენტის დასახელება – ორდერი; გ) ადვოკატის სახელი, გვარი, სიითი ნომერი; დ) იურიდიული პირი – სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი; ე) დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს); ვ) ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა; ზ) ორდერის მოქმედების ვადა.

[37] კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის სახელზე ორდერის გამოწერის თაობაზე ეთიკის კომისიის დამატებითი გადაწყვეტილებები: საქმე N048/15, 2018 წლის 18 აპრილი; შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c471d761168C.pdf/5c471d761168C.pdf

[38] საქმე N124/12, 2013 წლის 29 აპრილი, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c471d47889b7.pdf/5c471d47889b7.pdf

[39] იქვე

კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის სახელზე ორდერის გამოწერა და მოცემული ორდერის საფუძველზე მისი პერსონალური ინფორმაციის მიღება და გამოყენება არღვევს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ ნაწილსა და აპეკ-ის მე-5 მუხლს.[40]

5.1.2 კანონიერების პრინციპთან კომპრომისი კლიენტის სასარგებლოდ?

საქმე N082/18, 2019 წლის 20 თებერვალი

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: კლიენტის კანონიერი საშულებებით დაცვის ვალდებულება, დამოუკიდებლობის პრინციპი

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატმა კლიენტს საპროცენტო სარგებლის გარეშე ასესხა თანხა და სანაცვლოდ, გარანტიისათვის, კლიენტსა და ადვოკატის ძმიშვილს შორის გაფორმდა ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულება, კლიენტის საკუთრება აღირიცხა ადვოკატის ძმიშვილის სახელზე. ერთი თვის შემდეგ, კლიენტმა ადვოკატს დაუბრუნა კუთვნილი თანხა და შესაბამისად, ადვოკატის ძმიშვილის სახელზე რიცხული ქონება მიიღო კლიენტმა.

საპროცესო კოლეგიის პოზიცია: ადვოკატი მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის დახმარებას მხოლოდ კანონიერი საშუალებების გამოყენებით. პროფესიული რეგულაცია კანონიერების პრინციპს პროფესიული საქმიანობის ყველა სხვა ძირითად პრინციპზე მაღლა აყენებს. კანონიერება ადვოკატის საქმიანობის ძირითადი პრინციპია, რომლითაც იწყება საადვოკატო საქმიანობის პრინციპების ჩამონათვალი, („ადვოკატთა შესახებ“

[40] საქმე N048/15, 2018 წლის 18 აპრილი; შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c471d761168C.pdf/5c471d761168C.pdf

საქართველოს კანონის მე-3 მუხლი). კანონიერების პრინციპი უნდა გავრცელდეს არამარტო კლიენტის დაცვისას განხორციელებულ მოქმედებებზე, არამედ კლიენტთან დადებულ ნებისმიერ გარიგებაზე.

ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო იმის გამო, რომ კლიენტსა და ადვოკატის ძმიშვილს შორის დაიდო მოჩვენებითი გარიგება (როგორც მხარეებმა განმარტეს), ადვოკატის მიერ კლიენტისთვის სესხის სახით გადაცემული თანხის უზრუნველსაყოფად. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა აღნიშნული ქცევით დაარღვია კლიენტის კანონიერი საშულებებით დაცვის ვალდებულება, საფრთხე შეუქმნა პროფესიულ დამოუკიდებლობას.

კოლეგიის შეფასებით, თუ ადვოკატი, კლიენტს შესთავაზებს მოჩვენებითი და სხვა კანონსაწინააღმდეგო გარიგებების დადებას თუნდაც სააადვოკატო მომსახურების ფარგლებს გარეთ, კლიენტს შეიძლება დაეკარგოს ნდობა ადვოკატის მიმართ, და გაუჩნდეს ეჭვი, რომ მისი მომსახურებისას ადვოკატი დაარღვევს კანონიერების პრინციპს. შედეგად, აღნიშნული პროფესიისადმი დამაზიანებელი იქნება.

სსკ-ის 56 მუხლის თანახმად: „ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები“. კოლეგიის შეფასებით, კლიენტსა და ადვოკატის ძმიშვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება რეალურად მიზნად ისახავდა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გადაცემული სესხის უზრუნველყოფას, რაც ეწინააღმდეგებოდა მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობას. თუ ადვოკატს სურდა დახმარებოდა კლიენტს, ეს უნდა გაეკეთებინა კანონიერი საშუალებებით. მას შეეძლო გაეფორმებინა იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა გაცემულ სესხს.

განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა ადვოკატის მიმართ დევნის აღძვრის სამართლებრივი შეფასება და არ დაადგინა ეთიკური გადაცდომა.

კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მან დახმარება გაუწია კლიენტს, რათა საჭირო ფინანსური სახსრები მოეძიებინა, რისთვისაც შესთავაზა ძმიშვილთან ხელშეკრულების გაფორმება. ადვოკატი პირადად არ შესულა კლიენტთან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, მას ჰქონდა კლიენტის ნდობა, რომ სესხის სახით მიღებულ თანხას უკან დაუბრუნებდა, თუმცა ვინაიდან გარიგების მეორე მხარეს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ჰქონია ურთიერთობა ადვოკატთან, ნასყიდობა-გამოსყიდვა სწორედ მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გაფორმდა, რის გარეშეც შესაძლოა მხარეებს შორის ხელშეკრულება საერთოდ არ დადებულიყო და ვერც კლიენტი შეძლებდა აუცილებელი ფულადი სახსრების მოძიებას. კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების პირობებზე, რომელიც ადვოკატის მიერ კლიენტს წინასწარ განემარტა, მის შესრულებაზე და დაადგინა, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო თუ რა ტიპის ხელშეკრულებას დებდა და მისი წარმოდგენები აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არც სამომავლოდ შეცვლილა, რადგან ხელშეკრულების პირობები შესრულდა და თანხის დაბრუნების შემდეგ მან ქონება კვლავ თავის სახელზე დაირეგისტრირა.

საქმე N012/17, 2017 წლის 21 აგვისტო[41]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის ვალდებულება

[41] https://gba.ge/pdf/5c471806a8bab.pdf/5c471806a8bab.pdf

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მოწინააღმდეგე მხარემ.

მოწინააღმდეგე მხარემ სადავოდ გახადა ადვოკატის მიერ მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლოსთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა იმის შესახებ, რომ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეები და მათი ადვოკატები იმყოფებოდნენ უკანონო პატიმრობაში და ისინი ამის გამო ვერ ესწრებოდნენ მოსამზადებელ სხდომას. იმავე სხდომაზე ადვოკატმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორის აზრით, ადვოკატმა ამ ქმედებებით დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები.

სამართლებრივი შეფასება

„ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოში დადგენილ ქცევის წესებსა და პროცესუალურ კანონმდებლობას. ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერ და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას. სასამართლოს მოპასუხე მხარისთვის მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ან პოზიციის დაფიქსირება არ მოუთხოვია. ასევე, ადვოკატს სხდომაზე მოსარჩელე მხარის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია და ეს მისი ვალდებულება არ იყო, ვინაიდან ადვოკატს არ აქვს ვალდებულება თავისი ინიციატივით სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებ-

ლობასთან დაკავშირებით. ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნაც ამ ინტერესის ნაწილს წარმოდგენდა. ამასთან, სასამართლო საქმეში მოსარჩელედ და მოსარჩელის წარმომადგენლად ჩართული იყო ცხრა პიროვნება, თუმცა დაკავებული იყო ოთხი. უცნობია რატომ არ გამოცხადდა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე ხუთი პიროვნება და არ განმარტა მხარეთა გამოუცხადებლობის მიზეზი. შესაბამისად, კომისიის მიერ მოპასუხე ადვოკატის ქმედება შეფასდა ეთიკურად, ვინაიდან, იგი იცავდა კლიენტის ინტერესებს და მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესაბამისად.

5.2 კლიენტის ინტერესების მიმართება ადვოკატის პირად ინტერესებთან

5.2.1 მოწინააღმდეგე მხარესთან საქმიანი ურთიერთობა

ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მის ინტერესებს.[42]

ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის მის საქმეზე არსებით გადაწყვეტილებებს არსებით გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი; სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან. ეთიკის კომისიის შეფასებით, კლიენტის მიერ ად-

[42] საქმე N022/11, 2011 წლის 03 ივნისი; დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c4eb0365ba17.pdf/5c4eb0365ba17.pd

ვოკატისათვის გაცემული მინდობილობის მიუხედავად, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ადვოკატის მიერ ერთპიროვნულად.[43]

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ კლიენტის თანხმობის გარეშე გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც კლიენტს უზღუდავს სასამართლოს გზით ინტერესების დაცვის საშუალებას (სარჩელზე უარის თქმა, საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნა, და ა.შ) და საფრთხის ქვეშ აყენებს კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნა).[44]

ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის არსებულ ნდობაზე. ადვოკატის/წარმომადგენლის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები სამართლებრივი ძალის მქონეა და ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით.[45]

ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის საქმიანი ურთიერთობა და ვალდებულებების არსებობა წარმოშობს საფრთხეს, რომ ადვოკატი კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენებს მის პირად ან კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესს. [46]

5.2.2 რამდენიმე საქმის ერთდროულად წარმოება

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია საქმეთა პარალელურად წარმოებისას, ორ და მეტ სამუშაო ადგილზე საქმიანობისას, ადვოკატმა საკუთარ თავზე აიღოს ის ტვირთი,

[43] იქვე
[44] იქვე
[45] იქვე
[46] იქვე

რომელიც რამდენიმე ადგილას მუშაობას უკავშირდება, რადგან ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგი კონკრეტულ პირთა ინტერესებს ეხება.[47]

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის დაადგინოს, თუ რა სამართლებრივ სტრატეგიას დასახავს ადვოკატი საქმის წარმოებისას, თუმცა, კომისიის მოსაზრებით, ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის რამდენად დიდი გამოცდილებაც არ უნდა ჰქონდეს, მოეთხოვება საქმის გარემოებათა შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი საქმე სპეციფიკურია, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება კანონის ძალით არ არის სასამართლოსთვის დადგენილი იურიდიული ძალის მქონე და შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეძლოს იმ საფრთხეების განჭვრეტა, რაც გონივრულ ფარგლებში შეიძლება შეფასდეს, როგორც რისკისშემცველი კლიენტის ინტერესებისათვის.[48]

5.2.3. ფინანსური ინტერესი

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობისას მოწინააღმდეგე მხარესთან სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისა და კლიენტის საქმიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების მოვალეობას დაუკავშირა და განმარტა, რომ წარმომადგენლობისას მნიშვნელოვანი ფაქტორია, ადვოკატმა კლიენტის ინტერესები დაიცვას დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებისაგან. ადვოკატი უნდა იცავდეს

[47] საქმე N034/11, 2011 წლის 27 აგვისტო; დარღვევა: კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, ნდობის პრინციპი, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c49d8062a4dC.pdf/5c49d8062a4dC.pdf

[48] იქვე

კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულებას და კლიენტის ინტერესებს ყველა სხვა პირის ინტერესებზე მნიშვნელოვნად განიხილავდეს. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ადვოკატს, რომელიც კლიენტის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას ფლობს, უზღუდავს საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედებას.[49]

დისციპლინურ საქმეში, ეთიკის კომისიამ ამხანაგობასა და ადვოკატს შორის ურთიერთობა კლიენტის და ადვოკატის ურთიერთობად შეაფასა, ვინაიდან ადვოკატის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა, რომ ადვოკატს თავისი პროფესიული მოვალეობის განხორციელებით უნდა უზრუნველეყო ამხანაგობის წინაშე აღებული ვალდებულებების, წარმომადგენლობის განხორციელება. ეთიკის კომისიის განმარტებით, საადვოკატო საქმიანობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავად პროფესიული საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას და არა აქვს მნიშვნელობა ადვოკატი ამხანაგობას ემსა-

---

[49] საქმე N094/11, 10 აპრილი, 2012 წელი; დარღვევა: კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოების პრინციპი, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება, შედეგი: საქმიანობის უფლების შეჩერება https://gba.ge/pdf/5c47284380180.pdf/5c47284380180.pdf ეთიკის კომისია გადაწყვეტილებაში დაეყრდნო ეთიკის კომისიის 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებაში 015/10 გაკეთებულ განმარტებას, რომლის თანახმად, „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.“ .... „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

ხურებოდა საზღაურის სანაცვლოდ თუ წარმომადგენლობითი საქმიანობა წარმოადგენდა ამხანაგობაში შენატანს. ადვოკატი, საადვოკატო მომსახურების დროს წარმოადგენს პირს, რომელიც ასრულებს პროფესიულ ვალდებულებას, ასევე არა აქვს მნიშვნელობა საკუთარ ოჯახის წევრს უწევს მომსახურებას, თუ ამხანაგობას, ყველა მათგანი მის კლიენტს წარმოადგენს და შესაბამისად, ადვოკატმა მათი მომსახურებისას უნდა იმოქმედოს პროფესიული ვალდებულებების და კანონის ფარგლებში.[50]

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.[51]

5.2.4 კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა

საქმე N159/18, 2019 წლის 29 ოქტომბერი

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – გაფრთხილება

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ფიზიკური პირების ლ. ნ.-ს (25 %), ნ. ქ.-ისა (25%) და ე. ბ.-ს (50%) მიერ დაფუძნდა შპს „მ. ს“. კომპანიის დირექტორი ლ. ნ. დაუკავშირდა ადვოკატ მ. ბ.-ს შპს „მ. ს.-დან“ ერთ-ერთი პარტნიორის მამის, ა.-ს მიერ გატანილი თანხის დაბრუნების მიზნით.

---

[50] საქმე N046/11, 2011 წლის 26 ოქტომბერი; დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4c4f6a3b30e.pdf/5c4c4f6a3b30e.pdf

[51] იქვე

ადვოკატი მ. ბ. შეხვდა კომპანიის დირექტორს და განუმარტა, რომ საქმეში არ იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მას ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაცია და კომპანიასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად მიიყვანდა იურისტს ნ. ს.-ს, რომელსაც ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება ჰქონდა. ადვოკატმა მ. ბ.-მა შპს „მ. ს.-ში“ მიიყვანა ნ. ს., რომელმაც ლ. ნ.-ს აუხსნა კომპანიის დირექტორის და პარტნიორთა უფლება-მოვალეობები, ასევე კომპანიიდან გატანილი თანხის დაბრუნების საკითხი. ლ. ნ.-მ, როგორც შპს-ს 25%-იანი წილის მფლობელმა, მ. ბ.-ს და ნ. ს.-ს უსასყიდლოდ გადასცა შპს-ს პარტნიორული წილი, თითოეულს 12.5%-იანი ოდენობით. 2015 წლის 03 თებერვალს, შპს „ა.-მა“, სადაც ნ. ს. დასაქმებული იყო იურისტად, შპს „მ. ს.-ს“ სესხის სახით გადასცა 7000 ლარი. 2015 წლის 04 თებერვალს შპს „მ. ს.-მ“ ნ. ს.-ს სესხის სახით გადასცა 1000 ლარი. 2015 წლის აპრილს ადვოკატმა მ. ბ.-მა შეადგინა ნ. ს.-სთვის შეტყობინება, რომლითაც ის ითხოვდა კომპანიის კუთვნილი თანხის დაბრუნებას. 2015 წლის 20 მაისს ჩატარდა შპს „მ.ს.-ის“ პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტნიორები – ქ. ბ., ნ. ქ., ნ. ს., მ. ჯ., მ. ბ. და შპს „მ.ს.-ის“ დირექტორი ლ. ნ. კენჭისყრის შედეგად, პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა შპს „მ.ს.-ის“ დირექტორის ლ. ნ.-ას თხოვნა დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და ნ. ქ.-ის ინიციატივით, კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ადვოკატი მ. ბ. 2015 წლის 20 სექტემბერს ადვოკატმა მ. ბ.-მა ნ. ქ.-ის მიერ კომპანიის სალაროდან უნებართვოდ აღებული თანხის თაობაზე მიმართა საპატრულო პოლიციას. საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი რეაგირების ოქმის მიხედვით აღნიშნული თანხა აღებული იქნა კომპანიის ინკასაციისთვის. 2017 წლის 16 მაისს შპს „ღ.-ის“ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ადვოკატი მ. ბ. დაინიშნა შპს „ღ.-ის“- დირექტორად.

საქმეში სადავო გარემოებას წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ ჰონორარის მიღების ფაქტი, ვინა-

იდან ადვოკატი და მისი შუამდგომლობის საფუძველზე ეთიკის კომისიაში გამოკითხული მოწმე ნ. ს. მიუთითებდნენ, რომ შპს „ა.-დან“ სესხის სახით მიღებული თანხის შპს „მ.ს.-ში“ შეტანის საფუძველზე გადაიფორმეს შპს „მ.ს.-ის“ 12,5%-იანი წილი. თუმცა, საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 03 თებერვლის სესხის ხელშეკრულება გაფორმებული იყო მას შემდეგ, რაც ლ. ნ.-მ და ნ. ს.-მა 2014 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულებებით, მიიღეს შპს „მ.ს.-ის“ 12,5%-იანი წილები და 2015 წლის 05 იანვრის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირთა რეესტრის ამონაწერის მიხედვით ისინი აღირიცხნენ შპს „მ.ს.-ის“ პარტნიორებად. შესაბამისად, ადვოკატ მ. ბ.-ის და ნ. ს.-სთვის კომპანიის წილის გადაფორმება მოხდა სესხის ხელშეკრულების დადებამდე ერთი თვით ადრე, რაც გამორიცხავდა კავშირს სესხის ხელშეკრულების დადებასა და მათთვის წილების გადაფორმებას შორის.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, ადვოკატის დანიშნულებაა კლიენტს მისცეს დამოუკიდებელი იურიდიული რჩევა. თუ ადვოკატი რჩევის გაცემისას იმყოფებოდა სხვა პირის ან საკუთარი ინტერესის გავლენის ქვეშ, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი და ადვოკატი შეიძლება ვეღარ იყოს ერთგული კლიენტის მიმართ. დამოუკიდებლობა პროფესიულ პრინციპად არის განსაზღვრული აპეკ-ში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი სხვა ვალდებულების განმარტებისას, ვალდებულების შინაარსის გათვალისწინებით, ის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და წარმოადგენს განმარტების წყაროს. ინტერესთა კონფლიქტი არის ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვის კერძო შემთხვევა, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესების დაპირისპირება, რომელიც ხელს უშლის კლიენტის ერთგულად მომსახურებას, ან არსებობს სხვა არსებული ან ყოფილი კლიენტების მიმართ ვალდებულებების დარღვევის საფრთხე. დამოუკიდებლობა ინტერესთა კონფლიქტის წესებისგან დამატებით, ასევე მოიცავს თა-

ვად კლიენტისგან დამოუკიდებლობასაც, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტზე დამოკიდებული ადვოკატის მიერ კლიენტისთვის იურიდიული რჩევის გაცემა კლიენტის მხრიდან ზეგავლენას შეიძლება დაექვემდებაროს და კლიენტმა ვერ მიიღოს ობიექტური ინფორმაცია მის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ადვოკატს ზოგი პროფესიული ვალდებულება, მათ შორის პროფესიული საიდუმლოების დაცვის და შეზღუდული მოცულობით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებები წარმოეშვება კონსულტაციის მიღების მსურველ პირთან პირველი გასაუბრების შემდეგაც, თუ პოტენციური კლიენტი საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით ადვოკატს გაანდობს სადავო საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ეთიკის კომისიამ N005/19, 25.06.2019 რეკომენდაციაში განმარტა, თუ როდის წარმოიშვება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა: „თუ ადვოკატმა კონსულტაციის მსურველ პირს მისცა გარკვეული რჩევები მტკიცებულებების მოგროვებასთან ან არსებულ სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით, მაშინ უკვე წარმოიშობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ხოლო აპეკი უკვე სრული მოცულობით იწყებს მოქმედებას“.

დისციპლინურ საქმეში შესაფასებელი იყო, წარმოიშვა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. თუ ის არ წარმოშობილა, მაინც ხომ არ წარმოეშვა გარკვეული პროფესიული ვალდებულებები ადვოკატს. ადვოკატმა მ. ბ. მოისმინა ლ. ნ.-ს სამართლებრივი პრობლემები. ადვოკატი შემდგომ, შპს „მ.ს“ მისვლის დროსაც ინტერესდებოდა კომპანიის სამართლებრივი საკითხებით, ასევე, ადვოკატმა შპს „მ.ს.“-სთვის თანხის დაბრუნების მიზნით მოამზადა წერილობითი შეტყობინება. საჩივრის ავტორებსა და ადვოკატ მ. ბ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო ადვოკატ მ. ბ.-სთან სამართლებრივ საკითხებზე მოლაპარაკებით, როდესაც მან მიიყვანა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი და საჩივრის ავტორებთან ერთად ისაუბრეს კომპანიის საქმიანობაზე და

სამომავლო გეგმებზე. შესაბამისად, ადვოკატმა მ. ბ.-მა მიიღო კონფიდენციალური ინფორმაცია და საადვოკატო მოქმედებების განხორციელება განაგრძო მაშინაც, როდესაც შპს „მ.ს.“ პარტნიორად შესვლის შემდეგ მოამზადა წერილობითი შეტყობინება კომპანიის კუთვნილი თანხის დაბრუნების მიზნით.

ერთი მხრივ დადგინდა საადვოკატო მომსახურების გაწევა ლ. ნ.-სთვის და კომპანიისთვის, იმ პირების მხრიდან, რომლებიც მანამდე არათუ ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, არამედ საერთოდ არ იცნობდენ ლ. ნ.-ს, მეორე მხრივ, დროის იმავე პერიოდში ლ. ნ. მათ უფორმებს უსასყიდლოდ მის კუთვნილ წილს კომპანიაში 25%-ს. კომისიამ დაადგინა, რომ ლ. ნ.-მ კომპანიის 25% წილი გადასცა ადვოკატ მ. ბ.-ს და იურისტ ნ. ს.-ს სწორედ საადვოკატო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები ზოგადად არ არის დამოკიდებული იმაზე, იღებს თუ არა ადვოკატი ანაზღაურებას მომსახურებაში, თუმცა ეს შეფასება მნიშვნელოვანია იმის დასადასტურებლად, რომ საჩივრის ავტორს ლ. ნ.-ს და მ. ბ.-ს შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

საადვოკატო ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატს დამატებით სამეწარმეო სამართლიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები წარმოეშვა საჩივრის ავტორთა და კომპანიის მიმართ, ვინაიდან 2015 წლის 5 იანვრიდან ის გახდა შპს „მ.ს.-ს“ პარტნიორი, ხოლო 2015 წლის 20 მაისს დაინიშნა შპს „მ.ს.“-ს დირექტორად. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატი ვერ იქნებოდა დამოუკიდებელი კლიენტისგან, რომელიც დირექტორია და რომლის მეუღლეც ამავე კომპანიის პარტნიორია, რადგან პარტნიორებს აქვთ სამეწარმეო სამართლიდან გამომდინარე დამატებითი უფლებები და ვალდებულებები კომპანიის დირექტორის და პარტნიორების მიმართ. თუ კომპანიის დირექტორი ამავდროულად კლიენტია, ხოლო მისი ცოლი – კომპანიის პარტნიორი, შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ასეთი ადვოკატი ვეღარ იქნება დამოუკიდებელი საკუთარი ინტერესისგან. მხედველობაში არ

მიიღება უკვე წარმოშობილი კონფლიქტი, არამედ კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. აღნიშნული საფრთხე გამოვლინდა მომავალში, როდესაც ადვოკატი გახდა დირექტორი და სხვადასხვა ორგანოებში საჩივრები წარადგინა ყოფილი კლიენტის და მისი მეუღლის მიმართ. სახეზეა დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა და მისი კერძო შემთხვევაც, როდესაც ადვოკატის და კლიენტის ინტერესებს შორის არის კონფლიქტის მნიშვნელოვანი საფრთხე. ეს საფრთხე ადვოკატს გონივრულად უნდა ევარაუდა, რადგან მან იცოდა, რომ უკვე არსებობდა უთანხმოება პარტნიორებს შორის და შესაძლოა პარტნიორებს გასჩენოდათ მოთხოვნები დირექტორის მიმართ.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ გადასახდელი ჰონორარის სანაცვლოდ იმ კომპანიის პარტნიორად გახდომა, რომლის დირექტორიც იყო კლიენტი, ასევე ამ კომპანიის სხვა პარტნიორი იყო კლიენტის მეუღლე, აღარ ქმნიდა იმის საშუალებას, რომ მ. ბ.-ს საადვოკატო საქმიანობა განეხორციელებინა დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით. ადვოკატ მ. ბ.-ის, როგორც პარტნიორის ინტერესებსა და კლიენტის, როგორც კომპანიის დირექტორის და სხვა პარტნიორის მეუღლის ინტერესებს შორის წარმოიშვა წინააღმდეგობა, რაც თავიდანვე სავარაუდო იყო. შესაბამისად, ადვოკატ მ. ბ.-ის ქცევა აპეკ-ის 2.1, 2.2 და 6.2 –„ბ“ მუხლების დარღვევად შეფასდა.

კომისიამ ამავე საქმეში სარწმუნო და ცხად მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვერ დაადგინა ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ სხვა კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა, რომელსაც ლ. ნ.-ს ან შპს მ.ს-ის საწინააღმდეგო ინტერესი ჰქონდა. საჩივრის ავტორის განმარტება და შპს „მ.ს.-ის“ და შპს „ღ-ის“ სამუშაო მისამართის დამთხვევა არ აღმოჩნდა საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატი მოქმედებდა სხვა კლიენტის ინტერესების შესაბამისად, რაც ყოფილი კლიენტის, ლ. ნ.-ს ან შპს „მ.ს.-ის“ ინტერესების საწინააღმდეგო იყო. შპს „მ.ს.-ის“ მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართვა და კომპანიაში საპატრულო ეკიპაჟის გამოძახება მოხდა მაშინ, როდე-

საც მ. ბ. იყო შპს „მ.ს.-ის“ დირექტორი და მას ჰქონდა ფიდუციური მოვალეობები კომპანიის მიმართ. გარკვეულ პირობებში დირექტორის ვალდებულებაც კი შეიძლება იყოს შესაძლო დარღვევაზე კომპეტენტური ორგანოსთვის მიმართვა. თუმცა ამავდროულად ეს შეიძლება უკავშირდებოდეს პროფესიულ ვალდებულებას, თუ დირექტორი ვალდებულია საგამოძიებო ორგანოსთვის განაცხადით მიმართვისას გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მან ყოფილი კლიენტის წარმომადგენლობის დროს მიიღო. ასეთი ადვოკატი დაარღვევს პროფესიულ ვალდებულებებს. ამიტომ ეთიკის კომისიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დამოუკიდებლობის ძირეული პრინციპის მნიშვნელობას, რომელიც ავალდებულებს ადვოკატს კლიენტისგან დამოუკიდებელი იყოს. თუ ადვოკატი გახდება კლიენტის დირექტორი, მცირე ვადაში წარმომადგენლობის დასრულების შემდეგ, ამან შეიძლება წარმოშვას კონფლიქტური ვალდებულებები, ერთი მხრივ ყოფილი კლიენტის მიმართ, და მეორე მხრივ კომპანიის პარტნიორების და კომპანიის კრედიტორების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დარღვევა ვერ დადგინდა, კომისიამ საჭიროდ ჩათვალა იმ რისკებზე მითითება, რაც ადვოკატის მიერ სხვადასხვა როლის მორგებისას შეიძლება წარმოიშვას. საპროცესო და ზოგიერთი სხვა ფუნქციის აღრევის აკრძალვა პირდაპირ მითითებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3. მუხლში: „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მედიატორის, არბიტრის, აღმასრულებლის, მოსამართლის თანაშემწის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.“ მსგავსი რეგულაცია არის სხვადასხვა კანონებში უკუმიმართულებითაც, მაგალითად მოსამართლე ვეღარ იქნება საქმეზე, თუ ის უკვე

იყო ადვოკატი და ა.შ. მართალია, ამ ჩამონათვალში არ არის მითითებული ადვოკატის მიერ დირექტორის უფლებამოსილების შესრულება, შესაბამისად არ არსებობს უპირობო აკრძალვა, მიუხედავად ამისა, ადვოკატები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ისეთი ფუნქციის თავის თავზე აღებას, რომელიც შეიძლება დაუპირისპირდეს მათ პროფესიულ ვალდებულებებს.

5.2.5 კლიენტის წარმომადგენლობისას მესამე პირთა მხრიდან შესაძლო გავლენა ადვოკატზე

წერილობითი რეკომენდაცია 009/18,
2018 წლის 5 ნოემბერი[52]

შეკითხვა: ადვოკატ C-ს აქვს იურიდიული ფირმა, რომელიც კლიენტებს უწევს ე.წ. აუთსორსინგულ მომსახურებას, აგრეთვე, გასცემს კონსულტაციას პირადად. დღეის მდგომარეობით, ადვოკატი C კონსულტაციას უწევს A კომპანიას, უახლოეს მომავალში კი გეგმავს მასთან გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმებას იურიდიული მომსახურების შესახებ. გარდა კომპანიისა, ადვოკატი C იურიდიულ კონსულტაციას უწევს A კომპანიის დირექტორს, როგორც ფიზიკურ პირს. კომპანიისთვის კონსულტაციის გაწევისას აღმოჩნდა, რომ A კომპანია ეძებს სამშენებლო კომპანიას თავისი პროექტების განსახორციელებლად. ადვოკატსა და მის ძმას აქვთ სამშენებლო კომპანია B, რომლის დირექტორიც არის ადვოკატ C-ს ძმა, მას აქვს ასევე ამ კომპანიაში 80% წილი, ხოლო ადვოკატ C-ს – 20%. აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატმა C-მ აცნობა A კომპანიის დირექტორს. ადვოკატი C გეგმავს, რომ წერილობითი ფორმით შეატყობინოს ორივე კომპანიას მისი დაკავშირებულობის შესახებ. ზეპირი კონსულტაციის შემდეგ, არც ერთი კომპანიის დირექტორს არ გამოუთქვამს, რომ არ სურთ აღნიშული ხელშეკრულება მოა-

[52] https://gba.ge/pdf/5c17c81a0987d.pdf/5c17c81a0987d.pdf

მზადოს ადვოკატმა. ამასთან, მხარეები თანახმანი არიან, რომ მათ შორის დავის არსებობის შემთხვევაში, არც ადვოკატმა C-მ და არც მისმა კომპანიამ არ გაუწიოს იურიდიული მომსახურება არც ერთ მათგანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დავის შემთხვევაში, ადვოკატი C არც ერთ მათგანს არ გაუწევს იურიდიულ მომსახურებას კონკრეტულად ამ დავის ფარგლებში.

მსგავსი დოკუმენტაციის შედგენისა და ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში დაარღვევს თუ არა ადვოკატი რაიმე ეთიკურ ვალდებულებას. როგორ აირიდოს თავიდან ეთიკური დილემა ადვოკატმა.

ანალიზი: ადვოკატის მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს როგორც დამოუკიდებლობის პრინციპი, ასევე პროფესიული ქცევის სტანდარტებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის არიდების ვალდებულება.

დამოუკიდებლობა არა მხოლოდ მესამე მხარის მიერ ზეწოლის ან გავლენისაგან თავისუფალ მოქმედებას გულისხმობს, არამედ ასევე, საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების შეზღუდვასაც მოიცავს. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ჩნდება ადვოკატის ინტერესიც, ეს ასახვას ჰპოვებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის ობიექტურობასა და მისი დამოუკიდებლობის ხარისხზე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ადვოკატმა ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ქცევის წესებით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის პრინციპი.

ადვოკატი C უწევს სამართლებრივ მომსახურებას კომპანია A-ს და მის დირექტორს. მომსახურების პერიოდში ადვოკატი C გეგმავს სხვაგვარ სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდეს კლიენტთან – კომპანია A-სთან. კერძოდ, მისი და მისი ძმის სამშენებლო კომპანიის სახელით გააფორმოს მის კლიენტთან მომსახურების ხელშეკრულება სამშენებლო დარგში.

წარმომადგენლობის პროცესში ადვოკატის მიერ კლიენტთან სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლამ, შესაძ-

ლოა, გავლენა მოახდინოს ადვოკატის დამოუკიდებლობის ხარისხზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალსახა შეზღუდვა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი წარმომადგენლობის პერიოდში არ უნდა შევიდეს კლიენტთან სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში, ადვოკატმა მაინც უნდა შეიკავოს თავი მსგავსი ქმედებისაგან, რადგან სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისას მაღალია ალბათობა იმისა, რომ მხარეთა ინტერესები გაიყოს, რაც საბოლოო ჯამში ასახვას ჰპოვებს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე და კლიენტის ინტერესების დაცვისას ადვოკატის მიერ ობიექტური და დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაზე. ამ დროს, ასევე შესაძლებელია, დაირღვეს ნდობის ვალდებულებაც, რაც პირდაპირ აისახება ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივ ურთიერთობასა და ადვოკატის რეპუტაციაზე.

გარდა დამოუკიდებლობისა, გამოიკვეთა ასევე ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, რადგან ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა გააჩნია, არა მხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართაც. კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას პირადად ადვოკატისა და კლიენტის ინტერესებს შორის.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის დადგენა. შესაძლებელია, ადვოკატსა და პოტენციურ კლიენტს შორის არ გაფორმდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მათ შორის ურთიერთობა შეწყდეს პოტენციური კლიენტის მიერ თავისი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ან ადვოკატის მიერ სამართლებრივი რჩევის გაცემის ეტაპზე, რა დროსაც ადვოკატი იღებს კონსულტაციის მსურველი პირისგან კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ეტაპიდანვე, ად-

ვოკატს წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება – დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი.

მნიშვნელოვანია, ადვოკატმა თავიდან აიცილოს პირადი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს ამა თუ იმ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით გააჩნია პირადი ინტერესი, ამავე გარიგების თაობაზე რთულია, ადვოკატმა მისი პირადი ინტერესის გავლენის გარეშე გასწიოს იურიდიული კონსტულაცია. არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადვოკატი წარმომადგენლობას ახორციელებს იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომლის მიმართაც მას აქვს გარკვეული პირადი, მათ შორის ფინანსური ინტერესი, რა დროსაც საფრთხე ექმნება კლიენტის ინტერესებს. (იხ. ABA Model rules of Professional Conduct: Rule 1.8 for specific Rules pertaining to A number of personal interest conflicts, including business transactions with clients).

შეკითხვაში აღნიშნული ადვოკატი C კონსულტაციას უწევდა კომპანია A-ს და შესაბამისად, მათ შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, მით უმეტეს, რომ ორივე მხარე აპირებდა სამომავლოდ მათ შორის ყოფილიყო ხანგრძლივი თანამშრომლობა იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით. ამავდროულად, ადვოკატი კონსულტაციას უწევდა კომპანია A-ს დირექტორს. ადვოკატი აგრეთვე იყო ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია B-ს წილის მფლობელი თავის ძმასთან ერთად, რომელიც აღნიშნული კომპანიის დირექტორი იყო. როგორც შეკითხვიდან გაარკვია კომისიამ, კომპანია A-სა და სამშენებლო კომპანია B-ს შორის უნდა გაფორმებულიყო წერილობითი ხელშეკრულება. ორივე მხარე თანახმაა, რომ ხელშეკრულება ადვოკატ C-ს მოემზადებინა.

კომისიის განცხადებით, სახეზე იყო, ერთი მხრივ, ადვოკატ C-ს, როგორც სამშენებლო კომპანიის 20% წილის მფლობელის პირადი ინტერესი (თავად არის ხელშეკრულების მხარე) და მასთან დაკავშირებული პირის – მისი ძმის (სამშენებლო

კომპანიის 80% წილის მფლობელის) ინტერესი, მეორე მხრივ, აღნიშნულ ინტერესებს დაუპირისპირდა კომპანია A-ს და მისი დირექტორის ინტერესები, რომელთაც საადვოკატო მომსახურებს უწევდა ადვოკატი C. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ C-ს პროფესიული პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებდა ის გარემოება, რომ ორივე მხარე (კომპანია A და კომპანია B) თანხმობას აცხადებდა ადვოკატ C-ს შეედგინა მათ შორის ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების ტექსტი. ასეთ დროს, ადვოკატს ერთდროულად ორი მხარის ინტერესები უნდა გაეთვალისწინებინა, რისი განხორციელებაც შეუძლებელი იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი შეადგენდა ე.წ. „ნეიტრალური ტიპის“ ხელშეკრულებას, მაინც დაარღვევდა პროფესიული ეთიკის ნორმებს, რადგან, ხელშეკრულებაში არ/ვერ გაითვალისწინებდა იმ პრივილეგიებს და უფლებებს, რომელიც მხარეს დაეხმარებოდა მისი დარღვეული უფლებების აღდგენაში. მაგალითისთვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახით პირგასამტეხლოს დაწესება, რაც შედის მხოლოდ ერთი და არა ორივე მხარის ინტერესში და წარმოადგენს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების დამატებით გარანტიას.

კომისიის შეფასებით, საფრთხე ექმნებოდა კომპანია A-ს, როგორც არსებული კლიენტის ინტერესებს, რომელსაც უპირისპირდება ადვოკატისა და მასთან დაკავშირებული პირის – მისი ძმის პირადი ინტერესი. ადვოკატს ჰქონდა ორივე მხარის ინფორმირების ვალდებულება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხის თაობაზე. ინტერესთა კონფლიქტის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენდა ორივე მხარის თანხმობა იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა C-მ გაუწიოს იურიდიული კონსულტაცია. თავის მხრივ, ადვოკატ C-ს არ ეკრძალებოდა იურიდიული მომსახურების გაწევა კომპანია A-სა და მისი დირექტორის სასარგებლოდ, თუმცა შეკითხვაში მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს უნდა დაეცვა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი. შესაძლებელია, ხელშეკრულება

შეედგინა ადვოკატ C-ს, როგორც ხელშეკრულების მხარეს, თავისი ინტერესების გათვალისწინებით და გადაეგზავნა მეორე მხარესთან, კომპანია A-სთან.

ამასთან, ადვოკატ C-ს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია კომპანია A-სთვის, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა კონფლიქტი მათ ინტერესებს შორის და ერჩია ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე, კომპანია დაკავშირებოდა სხვა – დამოუკიდებელ ადვოკატს, რომელიც ამ ხელშეკრულების მომზადებისას წარმოადგენდა მის ინტერესებს და გასცემდა სამართლებრივ კონსულტაციას კომპანია A-ს ინტერესების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, დაცული იქნებოდა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და არ იარსებებდა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკი. სამომავლოდ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოქმნილი დავის დროს, მათ შორის, სამშენებლო კომპანიასა და ადვოკატისა და მისი ძმის კომპანიას შორის არსებული ურთიერთობის შემთხვევებში, ადვოკატ C-ს არ უნდა შეესრულებინა პროფესიული ფუნქციები და არ უნდა გაეწია რომელიმე მხარისთვის მომსახურება და მიეცა იურიდიული კონსულტაცია.

ამასთან, როგორც შეკითხვიდან ირკვეოდა, ადვოკატი C იურიდიულ მომსახურებას უწევდა არა მხოლოდ კომპანია A-ს, არამედ ასევე მის დირექტორს, როგორც ფიზიკურ პირს. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ აქაც შესაძლოა იკვეთებოდეს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე, რაც ასევე უნდა გაეთვალისწინებინა ადვოკატს და დირექტორსა და კომპანიას შორის ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში არცერთ მათგანისთვის გაეწია სამართლებრივი მომსახურება.

დასკვნა: კომისიის შეფასებით, მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებისას, ადვოკატს არ აქვს უფლება, როგორც ორივე მხარის წარმომადგენელმა შეადგინოს აღნიშნული ხელშეკრულება და მათ ერთდროულად გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია, მათ შორის თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადვოკატის და მისი ძმის კომპანია, სადაც

ადვოკატი ფლობს წილის 20%-ს, ხოლო მისი ძმა 80%-ს. ასეთ შემთხვევაში, კლიენტის ინტერესს უპირისპირდება ადვოკატის პირადი ინტერესი, ასევე, ადვოკატთან დაკავშირებული პირის – მისი ძმის ინტერესი. გარდა ინტერესთა კონფლიქტისა, მოცემული ხელშეკრულების გაფორმებისას, ადვოკატის მხრიდან არსებობს დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხეც, რადგან საადვოკატო საქმიანობისას ადვოკატი C გეგმავს სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას კლიენტთან – კომპანია A-სთან. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის საფრთხე და თავი შეიკავოს მოცემული ხელშეკრულების გაფორმებისაგან საადვოკატო მომსახურების გაწევის პროცესში.

წერილობითი რეკომენდაცია N012/18, 2018 წლის 22 ნოემბერი[53]

შეკითხვა: თუ ადვოკატს მიმართა (პოტენციურმა) კლიენტმა, რომელიც აღმოჩნდება რომ არის ამ ადვოკატის მეგობრის მოწინააღმდეგე მხარე მიმდინარე სასამართლო დავაში, რა უნდა მოიმოქმედოს ადვოკატმა – აიღოს ეს საქმე, თუ უარი თქვას ამ კლიენტის წარმომადგენლობაზე? ანუ, რამდენად შეიძლება მოვიდეს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში კლიენტის ინტერესები და ის ფაქტი, რომ ადვოკატი მის მოწინააღმდეგე მხარეს კარგად იცნობს და მისი მეგობარია?

ანალიზი: ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას არსებულ კლიენტებს შორის, კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც დაკავშირებულია ადვოკატის ინტერესები, პირადად ადვოკატსა და კლიენტს შორის – პირადი ინტერე-

---

[53] https://gba.ge/pdf/5c74017b2ad6a.pdf/012.18opinion%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%98%2022.11.18.pdf

სთა კონფლიქტი, ყოფილ კლიენტსა და არსებულ კლიენტს შორის.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის განსაზღვრა. შესაძლებელია, ადვოკატსა და პოტენციურ კლიენტს შორის არ გაფორმდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მათ შორის ურთიერთობა შეწყდეს პირის მიერ თავისი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ან ზეპირი კონსულტაციის მიღების ეტაპზე, რა დროსაც ადვოკატი იღებს კონსულტაციის მსურველი პირისგან კონფიდენციალურ ინფორმაციას და აღნიშნული ეტაპიდანვე მას წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება დაიცვას ის და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი.

მნიშვნელოვანია, ადვოკატმა თავიდან აიცილოს პირადი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, მათ შორის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის ინტერესისა და მასთან (ადვოკატთან) დაკავშირებული პირის ინტერესის კონფლიქტი და მისი წარმოქმნის საფრთხე.

ადვოკატს მიმართა კონსულტაციის მსურველმა პირმა და შესაძლებელია, მან გაანდო მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია, რაც ამავე ადვოკატის მეგობრის წინააღმდეგ დავის წარმოებას უკავშირდება. მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რა შემთხვევაშიც ადვოკატმა უნდა დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი.

დასკვნა: კომისიის შეფასებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ადვოკატის მეგობარია, არ წარმოადგენს საკმარის და უპირობო საფუძველს იმისათვის, რომ დადგინდეს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. ადვოკატმა თავად უნდა გადაწყვიტოს და შეაფასოს რისკები, რამდენად იქნება დაცული პროფესიული ვალდებულებები ისეთი წარმომადგენლობისას, როდესაც იმ პირს უწევს მომსახურებას, ვისი მოწინააღმდეგე მხარეც მისი მეგობარია.

მუხლი 6.

განმარტებები ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებაზე

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.

ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა თუ ადვოკატის მიერ განსახორციელებელ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ. ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს თავი უნდა აარიდოს და კლიენტი ისე წარმოადგინოს, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში.[54]

6.1 ვინ არის კლიენტი? არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობად მიიჩნევა: „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი)“, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილიც უთითებს „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე ...“. კომისიის შეფასებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობისათვის მნიშვნელობას იძენს კლიენტის დამოკიდებულება, რომელიც ადვოკატს აღიქვამს მისი ინტერესების დამცველ პირად. ადვოკატ-კლიენტის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა კი გულისხმობს, რომ კლიენტს აქვს ადვოკატისაგან დამოუკიდებელი რჩევის მიღების მოლოდინი და როდესაც ადვოკატი პირს

[54] საქმე N027/11, 2011 წლის 20 აგვისტო; დარღვევა: ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება; შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4837a7a52f3.pdf/5c4837a7a52f3.pdf

სამართლებრივ მომსახურებას სთავაზობს, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდანვე მათ შორის ადვოკატ-კ-ლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ითვლება და ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება ევალება.

კომისიის შეფასებით, შესაძლებელია ადვოკატი და პოტენ-ციური კლიენტი კონსულტაციისა და დოკუმენტაციის გაცნო-ბის შემდეგ ვერ შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების ხელ-შეკრულების პირობებზე, მაგრამ ადვოკატი კონსულტაციის შემდეგ იღებს რა კონფიდენციალურ ინფორმაციას, ეკისრება მისი დაცვის ვალდებულება.[55]

წერილობითი რეკომენდაცია N013/18, 2018 წლის 3 დეკემბერი[56]

შეკითხვა: წარმოადგენს თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევას ადვოკატის ან იურიდიული ფი-რმის/ბიუროს მიერ უფასო კონსულტაციის გაწევა პირისთვის სარჩელის აღძვრის თაობაზე და ამის შემდეგ უკვე (სხვა წარმო-მადგენლის მეშვეობით, რომელსაც კავშირი არ აქვს აღნიშნულ საადვოკატო ფირმასთან/ბიუროსთან) პირის მიერ აღძრულ საქმეში მონაწილეობა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენ-ლად? როგორია ვითარება, თუ კონსულტაციის გაწევიდან სა-რჩელის შეტანამდე გასულია 3 ან 5 წელი? უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევისას ხდება თუ არა კონსულტაციის მიმ-ღები პირი „კლიენტი“ აპეკ-ის მიხედვით?

ანალიზი: ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე

---

[55] კონსულტაციის მიღების მსურველი პირის მიმართ ეთიკურ ვალდებუ-ლებებზე დამატებით იხილეთ წერილობითი რეკომენდაცია N005/19, 2019 წლის 25 ივნისი. https://gba.ge/pdf/5d2c697c3d760.pdf/005.19%20werilobiti%20rekomendacia%2025.06.19.pdf

[56] https://gba.ge/pdf/5c74019c3f8bd.pdf/013.18opinion%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%98%2003.12.18.pdf

მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, რადგან ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა გააჩნია არამხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი კლიენტების მიმართაც, როგორიცაა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, რაც ახალი კლიენტის მიღებისას უნდა გაითვალისწინოს.

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა არის „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის საფუძველზე ხორციელდება საადვოკატო საქმიანობა. ეს ნიშნავს იმას, რომ საადვოკატო საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები და მათი განმარტებები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ პრინციპთან. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავენ პროფესიული საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობას საადვოკატო საქმიანობაში. ამ პრინციპით უზრუნველყოფილია კლიენტის უფლების დაცვის საიმედოობა და სანდოობა.

ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა წარმოეშობა იმ ეტაპიდან, როდესაც მას შესაძლოა, მხოლოდ კონსულტაციის მიღებისათვის მიმართონ ან შესაძლებელია, მას გაანდოს პირმა მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია მოქმედებები, რომელიც წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას, მათ შორის საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი) ". შესაბამისად, იმ ეტაპიდან, როდესაც პირი მიმართავს ადვოკატს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, გაანდობს მას საქმის თაობაზე ინფორმაციას და მიიღებს იურიდიულ რჩევას ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ნორმების დაცვის ვალდებულება.

შეკითხვაში აღნიშნულმა პირმა ადვოკატს მიმართა კონ-

სულტაციის მიღების მიზნით, მიიღო ადვოკატისგან იურიდიული რჩევა სარჩელის აღძვრის თაობაზე და შესაბამისად, მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ჩამოყალიბდა და ადვოკატს წარმოეშვა პროფესიული პასუხისმგებლობა დაეცვა ეთიკური ნორმები.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იწყება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე (იხ. აპეკ-ის 8.1) და შესაბამისად, შეთანხმება შესაძლებელია მხარეთა შორის დაიდოს როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი ფორმით და განსაზღვრონ საადვოკატო მომსახურების საგანი და მათ შორის, ჰონორარის ოდენობა. აპეკ-ის 8.8: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის". რაც ეხება უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევისას, რამდენად წარმოიშობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატი ორივე შემთხვევაში – გასამრჯელოს მიღების გარეშე ან ჰონორარის მიღების დროს საადვოკატო მომსახურების გაწევისას (იურიდიული რჩევის მიცემისას) ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ღირებულებების შესაბამისად. კლიენტის წინაშე ეთიკური ვალდებულებების დაცვა არ არის დამოკიდებული იმაზე, ადვოკატის მიერ გაწეული კონსულტაცია ფასიანი იქნება თუ არა.

ადვოკატის მიერ იმ პირის (შემდგომში ყოფილი კლიენტის) წინააღმდეგ წარმომადგენლობა, რომელსაც წარსულში იგივე საქმეზე გაუწია კონსულტაცია, წარმოადგენს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ იგივე საქმეზე საადვოკატო მომსახურების განხორციელებას. კომისიამ შეკითხვაში აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე დაინახა ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან, ადვოკატს ყოფილმა კლიენტმა გაანდო თავისი საქმე და აღნიშნულ საქმეზე მან მიიღო ადვოკატისგან იურიდიული კონსულტაცია. შესაბამისად, მათ შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და თავის მხრივ, ადვოკატს წარმოეშვა პროფესიული ნორმების დაცვის ვალდებულება, მათ შორის კონფიდენციალობის პრინციპის შესაბამისად მოქმედების ვალდებულება.

დასკვნა: კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ იმ საქმის წარმოება, რომელზეც უკვე ყოფილმა კლიენტმა ადვოკატისგან მიიღო იურიდიული რჩევა, წარმოადგენს ყოფილი და არსებული კლიენტების ინტერესების დაპირისპირებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პროფესიული ვალდებულებების დარღვევა, მათ შორის საფრთხე ექმნება ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, რა გარემოებაშიც შეუძლებელია ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის ინტერესების სრულყოფილად და დამოუკიდებლად წარმოდგენა.

6.2 ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების შეზღუდვა; ინტერესთა კონფლიქტი არსებულ და ყოფილ კლიენტს შორის

ადვოკატს ეზღუდება პროფესიული საქმიანობა, თუ საქმეში ჯერ არბიტრის სახით მონაწილეობდა, ხოლო შემდეგ იმავე საქმეზე რომელიმე მხარის სასარგებლოდ სურს საადვოკატო საქმიანობა, რადგან „საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, არბიტრაჟის მიერ კერძო სამოქალაქო დავის განხილვა და გადაწყვეტა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და, შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის განმხილველი არბიტრი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ მოსამართლესთან უნდა იქნეს გათანაბრებული.“[57] ეთიკის კომისიის შეფასებით,

[57] საქმე N100/11, 2013 წლის 08 იანვარი; დარღვევა: ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების შეზღუდვა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება, შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – საქმიანობის უფლების შეჩერება 6 (ექვსი) თვის ვადით https://gba.ge/pdf/5c4728f4799c9.pdf/5c4728f4799c9.pdf
ეთიკის კომისიამ გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეზე (1996 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/1/10) „ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გაკეთებული განმარტება არბიტრის უფლებამოსილების შესახებ

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება და მასზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა ერთიანი პროცესია, რაც მიზნად ისახავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე კონკრეტული პრეტედენტისათვის სამართლებრივი შედეგის მიღებას – გადაწყვეტილების აღსრულებას. არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სააღსრულებო ფურცლის გაცემა არ შეიძლება განხილული იქნეს სააღსრულებო წარმოებისაგან განცალკევებულად; საარბიტრაჟო პრეტენზიაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის დღესვე, კლიენტისაგან მინდობილობის მიღებით, ადვოკატმა დაადასტურა თანხმობა, ადვოკატის სტატუსით მიეღო მონაწილეობა იმავე საქმეზე, სადაც როგორც არბიტრს უკვე შესრულებული ჰქონდა პროფესიული ფუნქცია. შესაბამისად, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების დაუშვებლობის ვალდებულება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.[58]

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №092/10 ფართოდ განმარტა „ერთი და იგივე" საქმის ცნება და ასეთად მიიჩნია არსობრივად ურთიერთდაკავშირებული საქმეც, ვინაიდან ამ დროს ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ასევე წარმოიშობა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ადვოკატი დაარღვევს ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას ან რისკის ქვეშ დადგება მის მიერ კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

ადვოკატის სტატუსით ადვოკატი თავდაპირველად წარმოადგენდა კლიენტის (ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორი) ადვოკატს სადავო უძრავ ქონებაში მცხოვრები პირის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. ადვოკატის ჩართულობა კლიენტის საქმეში

[58] ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილებით, საქმეში №026/11, დაადგინა, რომ ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელსაც უკავშირდება მის მიერ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება (მოსამართლის, პროკურორის და ა.შ) და კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე.

გამოიხატა ამ უკანასკნელისათვის გაწეული სამართლებრივი კონსულტაციებით, კლიენტისათვის კონკრეტული მასალების მომზადებასა და სასამართლო წარმოებაში მონაწილეობით. კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატი გახდა საკუთარი მეუღლის, იმავე უძრავი ქონების პირველი რიგის იპოთეკარის ადვოკატი, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, სესხის თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის შესახებ წარმოებულ დავაში თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ის საქმეები, რომელსაც ადვოკატი აწარმოებდა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ფორმალურ-იურიდიული საფუძვლით ერთი და იგივე საქმეს არ წარმოდგენდა, თუმცა, ადვოკატის პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებისათვის მიიჩნეოდა არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებად. ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის (საჩივრის ავტორი), მეორე რიგის იპოთეკარის ინტერესებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაში, შესაბამისად პირველი რიგის იპოთეკარის (ადვოკატის მეუღლე), მოთხოვნის სასამართლოს წესით დაყენებისას, შეიქმნა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ადვოკატი დაარღვევდა ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას, დაკარგავდა ერთ-ერთი კლიენტის ნდობას ან რისკის ქვეშ დადგებოდა მის მიერ ერთ-ერთი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ იმ კლიენტის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში. ადვოკატის მიერ განხორციელებული მომდევნო წარმომადგენლობა მოიცავდა ყოფილი კლიენტისათვის – საჩივრის ავტორისათვის არახელსაყრელ პოზიციას და ადვოკატს უფლება არ ჰქონდა წარმოედგინა

მეუღლის ინტერესები, რადგან პირველი რიგის იპოთეკარის მიერ მოთხოვნის დაყენებამდე, ადვოკატი წარმოადგენდა საჩივრის ავტორის, როგორც კლიენტის ინტერესებს და ფლობდა მისგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ იმავე საქმეზე საკუთარი მეუღლის, როგორც პირველი რიგის იპოთეკარის წარმომადგენლობა, ქმნიდა ყოფილი კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხეს და რისკის ქვეშ აყენებდა არსებული კლიენტის დასაცავად ადვოკატის მიერ ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა დაარღვია ეთიკური ვალდებულება, თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისათვის ყოფილ კლიენტსა და არსებულ კლიენტს შორის.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დს-შ/3-13 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.[59]

6.5 ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას რა შემთხვევაშია შესაძლებელი ინფორმირებული თანხმობით საადვოკატო მომსახურების გაგრძელება?

წერილობითი რეკომენდაცია N016/18, 2019 წლის 27 მაისი[60]

შეკითხვა: ადვოკატი წარმომადგენლობას უწევდა „ა“-ს (კლიენტი) ორი სამოქალაქო საქმის წარმოებაში სასამართლოში.

[59] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/3-13; https://gba.ge/pdf/5c4c048023217.pdf/5c4c048023217.pdf

[60] https://gba.ge/pdf/5daf14b070f62.pdf/016.18%20rekomendacia%20gacemis%20tarigi%2027.05.19.pdf

ინფორმირებულ თანხმობაზე შეგიძლიათ იხილოთ 2020 წლის 15 აპრილის წერილობითი რეკომენდაცია 002/20 https://gba.ge/pdf/5f02e4564a92a.pdf/werilobiti%20rekomendacia%20%20002.20%2015.04.20.pdf

წინამდებარე საქმეებში „ა“-ს სარჩელები მიმართული იყო მოპასუხე – შპს „ბ“-ს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ერთ საქმეზე საიჯარო თანხების დაკისრება და მეორე საქმეზე ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) ანაზღაურება. ორივე საქმის წარმოება დასრულდა ადვოკატის კლიენტის („ა“-ს) სასარგებლოდ. აღნიშნულ საქმეებში მოპასუხედ გამოსული კომპანიის – შპს „ბ“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და პარტნიორი იყო მოსარჩელე „ა“-ს მეუღლე (ქმარი). მოგვიანებით, იგივე ადვოკატმა, წარმომადგენლობა გაუწია სასამართლოში „გ“-ს, რომელიც იყო „ა“-ს მეუღლე და შპს „ბ“-ს პარტნიორი. „გ“-ს სარჩელი, რომელზეც ადვოკატმა გაუწია წარმომადგენლობა სასამართლოში, მიმართული იყო შპს „ბ“-ს დირექტორის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა დირექტორის მიერ ზიანის ანაზღაურება საზოგადოების (შპს „ბ“-ს) სასარგებლოდ. ადვოკატის მოქმედება ეწინააღმდეგება თუ არა პროფესიული ქცევის სტანდარტებს.

ანალიზი: ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მოქმედება შესასწავლი იყო ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი წესების დაცვის კუთხით. ადვოკატმა არ უნდა წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი ყოფილი და ამჟამად არსებული კლიენტის ინტერესებს შორის. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება დაკავშირებულია კონფიდენციალური ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნებასთან.

ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს, ამასთან ადვოკატმა უნდა აიცილოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლო საფრთხის შექმნა (ეთიკის კომისიის 2015 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N023/15).

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესებით განმარტებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, წარმომადგენლობის განხორციელების დაშვება: „ადვოკატის განგრძობად ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, შეაფასოს პოტენციურად არსებული ინტერესთა კონფლიქტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმომადგენლობა განახორციელოს მხოლოდ მოდელური წესის 1.6-ის დაცვით – კლიენტისგან მიღებული ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში (ამერიკის იურისტთა ასოციაცია ABA _ The „Confidential Information" Conflict Is It Time For The ABA To Rethink Its Position On Waiver? By Brian J. Redding; ABA opinion 90-358).

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა არის „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის საფუძველზე ხორციელდება საადვოკატო საქმიანობა. ეს ნიშნავს იმას, რომ საადვოკატო საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები და მათი განმარტებები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ პრინციპთან.

შეკითხვიდან ირკვეოდა, რომ ადვოკატი წარმომადგენლობას უწევდა მოსარჩელე მხარეს „ა"-ს (შემდგომში – „პირველი მოსარჩელე") შპს „გ"-ს (შემდგომში – „კომპანია") წინააღმდეგ ფულადი მოთხოვნის დაკისრების საქმეზე. პირველმა მოსარჩელემ აღნიშნული დავა მოიგო და კომპანიას მოუწია ზიანის ანაზღაურება მის სასარგებლოდ. ზემოაღნიშნული დავის დასრულების შემდეგ, კომპანიის პარტნიორმა, რომელიც ამავდროულად პირველი მოსარჩელის მეუღლეა, დერივატიული სარჩელით მიმართა სასამართლოს კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ, მის მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. აღნიშნული სასამართლო დავები კომისიამ ურთიერთდაკავშირებულად შეაფასა, რადგან მეორე დავის საფუძველი წარმოშვა პირველი დავის კომპანიის საწინააღმდეგოდ დასრულებამ. შედეგად, პირველ დავაზე მიღებული ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო მეორე დავაში კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ.

ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრის ჭრილში, კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა

კლიენტის საქმის მიმართ და ის ვალდებულია შემდგომში პროფესიულ ვალდებულებასთან შეუთავსებელი მოქმედებები არ განახორციელოს, მათ შორის, მეორე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ არ გამოიყენოს პირველი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს თავდაპირველი კლიენტის საქმეს. შესაძლებელია, არსებობდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმეთა შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობით, კლიენტის საქმეს შედეგობრივად ზიანი არ ადგებოდეს, თუმცა ახალ საქმეში ადვოკატის ჩართვა საზიანო იყოს კლიენტისთვის, იმდენად, რამდენადაც ადვოკატს მან გაანდო კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც მხოლოდ აპეკ-ის 4.4.-ის შემთხვევაში – ინფორმირებული თანხმობით შეეძლება.

საქმეების დაკავშირებულობის მიუხედავად, ადვოკატის კლიენტი თავიდან იყო პირველი მოსარჩელე. თუ ადვოკატი ჩაერთვებოდა მეორე დავაში, მისი კლიენტი იქნებოდა – კომპანიის პარტნიორი. კითხვაში მოცემული გარემოებები არ იძლეოდა შესაძლებლობას დადგენილიყო წარმოადგენდა თუ არა კომპანიის პარტნიორის ინტერესს პირველი დავის პირველი მოსარჩელის თუ კომპანიის სასარგებლოდ დასრულება. თუმცა, რადგან პირველი მოსარჩელე და კომპანიის პარტნიორი მეუღლეები იყვნენ, კომისიამ ივარაუდა, რომ მათი ინტერესები თანმხვედრი იყო. მათ შორის რაიმე კავშირის არარსებობისას, ბუნებრივია, რომ კომპანიის პარტნიორი დაინტერესებული იქნებოდა დავის კომპანიის სასარგებლოდ გადაწყვეტით და შესაძლებელია სხვაგვარი ყოფილიყო რეკომენდაციის შინაარსი და შედეგიც.

კომისიის შეფასებით, რადგან კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შემოსაზღვრული დროში, წარმომადგენლობის დასრულების შემდეგაც კომპანიის პარტნიორის ინტერესების დაცვის დაწყებამდე, ადვოკატმა უნდა შეამოწმოს, ხომ არ ექმნება საფრთხე პირველი მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას ახალ დავაში პარტნიორის ინტერესების კეთილსინდისიერად და კვალიფიცი-

ურად დაცვისას. კლიენტი ანდობს მისი საქმის თაობაზე ინფორმაციას ადვოკატს ეფექტური იურიდიული მომსახურების უზრუნველსაყოფად. „კლიენტისათვის ეს არის წამახალისებელი ფაქტორი, რათა მოიძიოს იურიდიული დახმარება და სრულყოფილად და გულწრფელად დაამყაროს კომუნიკაცია, მიაწოდოს ინფორმაცია ადვოკატს ნებისმიერ საკითხზე, რამდენადაც უხერხული და სამართლებრივად საზიანო არ უნდა იყოს ეს მისთვის“ (იხ. ჯეიმს მოლიტერნო, ჯორჯ ჩ.ჰარისი, „ადვოკატთა პროფესიული გლობალური საკითხები“, თბილისი, 2014 წ. გვ.116).

დავების კავშირი წარმოშობს გონივრულ ვარაუდს, რომ პირველი მოსარჩელისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია ადვოკატს შეიძლება დაეხმაროს მეორე დავაში კომპანიის დირექტორის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ადვოკატის ორი ვალდებულება: პირველი მოსარჩელის მიმართ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება (აპეკ 4.1 მუხლი) და კომპანიის პარტნიორის მიმართ ვალდებულება, იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი სხვა პირების ინტერესებზე მაღლა (აპეკ 5 მუხლი). შედეგად, ადვოკატს აპეკ-ის 6.2.ა მუხლის საფუძველზე ეკრძალება კომპანიის პარტნიორის წარმომადგენლობა კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მიზნით. თუმცა კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის ადვოკატის აბსოლუტური ვალდებულება და არსებობს პროფესიული რეგულაციებით დადგენილი გამონაკლისები.

აპეკ-ი ითვალისწინებს კლიენტის თანხმობის შემთხვევაში, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევას. კომისიის შეფასებით, ინფორმირებული თანხმობის მიღება – ეს არის ინტერესთა კონფლიქტის უფლებაზე უარის თქმა. შესაბამისად, თუ ადვოკატი მიიღებდა მკაფიოდ და ცხადად გამოხატულ ინფორმირებულ თანხმობას პირველი მოსარჩელისგან, მაშინ აღარ იარსებებდა დაპირისპირებული ვალდებულებები პირველი მოსარჩელის და კომპანიის პარტნი-

ორის მიმართ. ადვოკატს შეეძლებოდა კომპანიის პარტნიორის ინტერესების საუკეთესოდ დაცვა, მათ შორის პირველი დავიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებით.

ამერიკის მოდელური წესით Model Rules of Professional Conduct (1.7) დარეგულირებულია ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, როდის შეუძლია ადვოკატს აწარმოოს წარმომადგენლობა: 1. ადვოკატი აცნობიერებს, რომ ორივე კლიენტისთვის უზრუნველყოფს კომპეტენტურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას; 2. წარმომადგენლობა კანონით არ არის აკრძალული; 3. წარმომადგენლობა არ მოიცავს საქმისწარმოებას სასამართლოში ერთ დავაში ან სხვა საპროცესო მოქმედებაში, როდესაც მხარეები მოწინააღმდეგენი არიან; 4. თითოეული კლიენტი, რომელზეც ინტერესთა კონფლიქტი ახდენს გავლენას, იძლევა ინფორმირებულ წერილობით თანხმობას.

კომისიის განმარტებით, ამერიკის მოდელური წესებისგან განსხვავებით, აპეკ-ის 6.2 ა მუხლი არ ითვალისწინებს გამონაკლისს. თუმცა, რადგან ამ ნორმაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი კლიენტის მიმართ ვალდებულებები, რომელთაგან ერთი ვალდებულება არ არის აბსოლუტური და კლიენტის ინფორმირებული თანხმობით ექვემდებარება გაუქმებას, ეს ეს თავად აპეკ-ის 6.2 ა მუხლს აქცევს მუხლს აქცევს არააბსოლუტურ ვალდებულებად, რომელიც გარკვეულ გამონაკლისებს ექვემდებარება.

ინფორმირებული თანხმობის მისაღებად ადვოკატმა პირველ მოსარჩელეს გასაგებად უნდა აუხსნას შესაძლო უარყოფითი შედეგები, რაც ამ თანხმობის გაცემას უკავშირდება, ურჩიოს რომ მან აიღოს დამოუკიდებელი საადვოკატო რჩევა გადაწყვეტილების მიღებამდე. სასურველია, რომ თანხმობა გაცემული იყოს იმგვარი ფორმით, რომელიც მისი გაცემის მარტივი შემოწმების საშუალებას იძლევა, მაგ. მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

მხოლოდ პირველი მოსარჩელისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შეთხვევაში, რომელიც ადვოკატს უფლებას

აძლევს გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კომპანიის პარტნიორის სასარგებლოდ ახალ დავაში, ადვოკატი უფლებამოსილია წარმოადგინოს კომპანიის პარტნიორის ინტერესები დირექტორის წინააღმდეგ.

დასკვნა: „ა“-ს დავა შპს „ბ“-ს წინააღმდეგ და „გ“-ს დავა შპს „გ“-ს დირექტორის წინააღმდეგ დაკავშირებული საქმეებია. ადვოკატის ვალდებულება, დაიცვას „ა“-ს მიმართ კონფიდენციალობა, დაუპირისპირდება „გ“-ს მიმართ ვალდებულებას დააყენოს მისი ინტერესები სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. შესაბამისად, ამ პირობებში ზოგადი წესით ადვოკატს ეკრძალება „გ“-ს წარმომადგენლობა. ადვოკატს შეუძლია „გ“-ს წარმომადგენლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ა“-გან მიიღებს ინფორმირებულ თანხმობას, რომ მან გამოიყენოს პირველ დავასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია იმ ფარგლებში, რაც აუცილებელი იქნება „გ“-ს ინტერესების კვალიფიციურად დასაცავად კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის შესაბამისად.

6.6 ადვოკატის მოვალეობა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დასაცავად: კლიენტის ინფორმირების მოვალეობა; წარმომადგენლობის შეწყვეტა

ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატის გადაწყვეტილება ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ სამიდან ერთი კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაგრძელების თაობაზე და განმარტა, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ. სისხლის სამართლის საქმეში, კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი კლიენტი საქმის მსვლელობის პროცესში ადანაშაულებს სხვა კლიენტს ან მის მიერ ადვოკატისათვის მი-

წოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სხვა კლიენტების მიერ წარმოდგენილ გარემოებებს.[61]

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში; ხოლო თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა.

რამდენიმე კლიენტის დაცვის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას, რამდენად შეძლებს ადვოკატი დარჩენილი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებას? ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტის ინტერესების დაცვის გაგრძელება ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას ერთის მხრივ დაიცვას ყოფილი კლიენტების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხოლო მეორე მხრივ, დარჩენილი კლიენტის ინტერესების დასაცავად გამო-

---

[61] საქმე N015/10, 2011 წლის 20 აპრილი; დარღვევა: ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი; შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5da04ed1d2aee.pdf/015.10%2020.04.2011%20%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D.pdf

ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა ადვოკატის არგუმენტი, რომ იგი მოქმედებდა არსებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას რამდენიმე კლიენტის დაცვის განხორციელების პროცესში, ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას, გააგრძელოს ერთ-ერთი კლიენტის ინტერესების დაცვა და განმარტა, რომ კლიენტთან ურთიერთობისას ადვოკატმა უნდა იმოქმედოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ დაეყრდნოს რაიმე სახის პრაქტიკას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის პროფესიულ სტანდარტებთან.

იყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება. ადვოკატის მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ერთმანეთის კონკურენტულია და წარმოიშვება ადვოკატის მიერ ერთ-ერთი ვალდებულების დარღვევის საფრთხე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ყოფილი კლიენტის ან არსებული კლიენტის ინტერესებზე.

ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა უნდა თავი აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი.

წერილობითი რეკომენდაცია N003/19, 2019 წლის 18 ივნისი[62]

შეკითხვა: ადვოკატ „გ“-ს კლიენტს თავის ყოფილ მეუღლესთან აქვს დავა სასამართლოში, დავის საგანი – ბავშვის ნახვა და მასთან ურთიერთობა. სასამართლოში დავის განხილვის დროს სასამართლომ მეუღლეებს დაავალა ფსიქო-კონსულტირება. ადვოკატ „გ“-ს კლიენტის „ც“-ს ყოფილი მეუღლე წავიდა ფსიქო-კონსულტირებაზე „------ ცენტრში“. კლიენტი „ც“ იძულებული იყო წასულიყო იგივე ცენტრში, ვინაიდან აუცილებელი იყო მეუღლეებს ერთ ფსიქოლოგთან გაევლოთ კონსულტირება. „----- ცენტრში“ მისულ ადვოკატ „გ“-ს კლიენტს შეხვდნენ იურისტი და ფსიქოლოგი და გაესაუბრნენ საქმის ყველა დეტალზე. გარკვეული პერიოდი „ც“ დადიოდა ამ ცენტრში და იღებდა რჩევებს, ასევე გადიოდა თერაპიას. „ცენტრის“ იურისტმა „ც“-ს დააწერინა განცხადება და უთხრა, რომ იგი გახდებოდა აღნიშნული ორგანიზაციის ბენეფიციარი და დაეხმარებოდნენ მეუღლესთან კონფლიქტის მოგვარებაში. „ც“-ს „ცენტრის“ იურისტზე

[62] https://gba.ge/pdf/5daf14cf40602.pdf/werilobiti%20rekomendacia%20003.19%20gacemis%20tarigi%2018.06.19.pdf

არ გაუცია მინდობილობა, თუმცა ადვოკატი „ც“-სთან შეხვედრებს ესწრებოდა და ისმენდა ყველა დეტალს დავის საკითხზე. ორგანიზაციის უფროსის დავალებით ესწრებოდა შეხვედრებს ეს იურისტიც. „ც“-ს უთხრეს, რომ ის გახდა ამ ორგანიზაციის ბენეფიციარი და მიიღებდა ყველა სერვისს ორგანიზაციისაგან. ის იურისტი, რომელიც „------ ცენტრში“ დახვდა „ც“-ს და გაესაუბრა, რომელმაც ყველაფერი მოისმინა „ც“-სგან სადავო საკითხზე თავის ყოფილ მეუღლესთან სასამართლო დავასთან დაკავშირებით, რამოდენიმე კვირის შემდეგ სასამართლო სხდომაზე წარსდგა, როგორც „ც“-ს ყოფილი მეუღლის ადვოკატი და შეიქმნა ზიანის მიყენების საფრთხე „ც“-სთვის. აღნიშნულის გამო, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა „გ“-მ, როგორც „ც“-ს წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა ადვოკატის აცილებაზე, თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ადვოკატის აცილებას და აღნიშნულზე ვერ იმსჯელებდა. სასამართლო სხდომა გადაიდო, თუმცა არსებობს საფრთხე, რომ შემდეგ სხდომაზე იგივე ადვოკატი გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე და მიაყენოს ზიანი „ც“-ს. შესაბამისად, როგორ უნდა შეფასდეს „----- ცენტრის“ ადვოკატის ქმედება და როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი „გ“ და კლიენტი „ც“ .

ანალიზი: ეთიკის კომისიამ ადვოკატის მოქმედება შეისწავლა კანონიერების პრინციპის და ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი წესების დაცვის კუთხით.

პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ ადვოკატი მისი სტატუსიდან გამომდინარე არის ვალდებული დაიცვას პროფესიული ეთიკა, რაც მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას, შესაბამისად, ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და კორპორაციულ ავტორიტეტზე.

2017 წლის 24 თებერვლის №002/17 რეკომენდაციაში, კომისიამ იმსჯელა ადვოკატის, როგორც სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ეთიკური ვალდებულების დაცვის თაობაზე და აღნიშნა: „კოლეგია განიხილავს შეკითხვაში დასახელებული პირის – კომპანიის შიდა იურისტის ქმედებას, როგორც ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმებით შეზღუდული პირის ქმედებებს, ვინაიდან, სიტუაციიდან გამომდინარე, განსახილველი საკითხები შეეხება ისეთ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატმა მიიღო კომპანიის იურისტის მოვალეობების განხორციელებისას“.

ცენტრის ადვოკატი ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობას კლიენტ „ც“-სთვის კონსულტაციის მიღებისას და აგრეთვე, ექიმთან ვიზიტებზე დასწრებისას, იღებდა „ც“-ს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშვა პროფესიული პასუხისმგებლობა ემოქმედა ეთიკური ვალდებულებების ფარგლებში, მათ შორის თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისგან და დაეცვა კონფიდენციალობის პრინციპი. მით უფრო, რომ ის როგორც თანამშრომელი, წარმოადგენდა რა სამედიცინო ცენტრს და შესაბამისად, როგორც სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებული იყო პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაეცვა („პაციენტთა უფლებების შესახებ“ კანონი, მუხლი 27).

ცენტრის ადვოკატი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს – „ც“-ს უწევდა კონსულტაციას, სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლად „ც“-ს წინააღმდეგ გამოვიდა. უდავოა, რომ ადვოკატმა, რომელმაც ერთის მხრივ, იურიდიული კონსულტაცია გაუწია სასამართლო დავაში არსებულ ერთ-ერთ მხარეს – იმოქმედა ამავე საქმეში მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე პირთა ერთდროულად წარმომადგენლობამ წარმოქმნა ინტერესთა კონფლიქტი, რამაც თავისთავად, საფრთხე შეუქმნა კლიენტ „ც“-ს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. ამავდროულად, ადვო-

კატმა, რომელიც არამხოლოდ ადვოკატის სტატუსით ჩაერთო მოცემულ საქმეში, ის წარმოადგენდა ფსიქოკონსულტირების ცენტრს – მან იმოქმედა კანონსაწინააღმდეგოდ, კერძოდ, დაარღვია „პაციენტთა უფლებების“ შესახებ კანონის 27-ე მუხლი.

კომისიის შეფასებით, კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედება წარმოადგენს ეთიკური ვალდებულების დარღვევას. შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის დარღვევასთან ერთად ადვოკატი დაარღვევდა კანონიერების პრინციპს, იმ შემთხვევაში, თუ ის დაიცავდა კლიენტ „ც“-ს მოწინააღმდეგე მხარეს – „ც“-სგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით და ის, როგორც მისი დამსაქმებლის პაციენტის კონფიდენციალურ ინფორმაციას ხელყოფდა. შედეგად, ასეთი ხელყოფის ან ხელყოფის საფრთხის გარეშე, ის ვერ დაიცავდა სრულად მეორე მხარის ინტერესებს.

კომისიამ ადვოკატის ქცევა განიხილა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3 მუხლის ფარგლებში და ყურადღება გაამახვილა ადვოკატის მიერ მოცემულ საქმეში ჩართვის თავისებურებაზე. კერძოდ, ადვოკატს არამხოლოდ, როგორც დასაქმებულ პირს აკისრია სამსახურეობრივი ვალდებულება იმოქმედოს კანონის შესაბამისად, არამედ, საქმის სასამართლოში განხილვიდან გამომდინარე, მას, როგორც პროცესის მონაწილეს გააჩნია განსაკუთრებული სტატუსი. ის სწორედ სასამართლოს მითითების საფუძველზე (და არა კლიენტთა არჩევანის შესაბამისად) ჩაერთო ამ დავაში, როგორც ადვოკატი. კერძოდ, სასამართლოს მითითებიდან გამომდინარე, ერთ სამედიცინო დაწესებულებას დაევალა მხარეთა ფსიქო-კონსულტირება, რაც სასამართლო დავის გადაწყვეტისთვის იყო მნიშვნელოვანი. შესაბამისად, სამედიცინო ცენტრის დასკვნა მოცემული საქმისთვის შესაძლოა, წარმოადგენდა საექსპერტო დაწესებულების დასკვნას (ეს არის დაშვება, რადგან არ არის ცნობილი სასამართლოს განჩინება). აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატმა, როგორც საექსპერტო დაწესებულების წარმომადგენელმა ჩაატარა სამედიცინო გამოკვლევა,

მასზე გავრცელდება კანონით დადგენილი აკრძალვა – „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3 მუხლი და არ უნდა იქნეს დაშვებული პროცესზე ადვოკატად.

დასკვნა: ადვოკატს, რომელიც ახორციელებდა სამსახურეობრივ უფლებამოსილებას, კერძოდ წარმოადგენდა ფსიქო-კონსულტირების ცენტრის ადვოკატს, გააჩნდა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ცენტრის მიმართ. თავის მხრივ, ცენტრი იყო სამედიცინო მომსახურების გამწევი და ჰქონდა ვალდებულება დაეცვა პაციენტის უფლებები (პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია). შედეგად, თუ ცენტრის ადვოკატი ამავე სამედიცინო დაწესებულების მომხმარებელ „ც“-ს სასამართლოს დავალების შესაბამისად, გაუწევდა კონსულტაციას, ის ვალდებული იქნებოდა არ გაეთქვა მისგან, როგორც კლიენტისგან, მიღებული ინფორმაცია და იმავე საქმეზე სასამართლოში „ც“-ს წინააღმდეგ არ წარმოედგინა მეორე მხარის ინტერესები კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებით, რადგან მხარეთა ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატი დაარღვევდა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა და კანონიერების პრინციპებს.

მუხლი 8.

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წესების განმარტებები

8.1. ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.[63]

8.2 კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულების ვალდებულება

8.2. ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.

სისხლის სამართლის საქმეში დაცვისას, ადვოკატმა ისე გააფორმა კლიენტის მეუღლესა და დაზარალებულს შორის ზარალის ანაზღაურების ხელშეკრულება, რომ კლიენტისგან მსგავსი მითითება ადვოკატს მიღებული არ ჰქონია და კლიენტთან ხელშეკრულების პირობები შეთანხმებული არ ყოფილა. კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად კლიენტის კანონშესაბამისი მითითებები და იმოქმედოს მასთან შეთანხმებით.[64]

---

[63] მოცემული მუხლის დარღვევაზე კომისიის განმარტება ხელმისაწვდომია 2012 წლის 25 მაისის დისციპლინური საქმის N112/11 მიმოხილვაში, დამოუკიდებლობის პრინციპის თავი https://gba.ge/pdf/5c4729396cddb.pdf/5c4729396cddb.pdf

[64] საქმე N049/12, 2014 წლის 13 ივნისი; დარღვევა: კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულების ვალდებულება, საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კეთილსინდისიერად და

კომისიის განმარტებით, კლიენტთან კომუნიკაციის გარეშე, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს, ადვოკატის მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები, არ შეიძლება შეფასდეს კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად.[65]

8.3 გარანტიის მიცემის დაუშვებლობა

8.3. ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემის აკრძალვის პრინციპთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდება დაპირება საქმის წარ-

---

კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c484a17effe2.pdf/5c484a17effe2.pdf

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმე N026/10, განმარტა, რომ „ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი. თუმცა, კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატოს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა, ამ დროსაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმე N096/11, დაადგინა: „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.“

[65] იქვე

მატებით დასრულების შესახებ (რაც აკრძალულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით) და დაპირება კვალიფიციურ წარმომადგენლობაზე. კვალიფიციური წარმომადგენლობის შესახებ დაპირება არ წარმოადგენს საქმის შედეგის შესახებ გარანტიის მიცემას და ასეთი დაპირება დასაშვებია.[66] ხოლო 21.10.2011 წელს დისციპლინურ საქმეში 054/11 კომისიამ გარანტიის მიცემად ჩათვალა ადვოკატის შემდეგი განცხადება: „მან მკითხა, დარწმუნებული თუ ვიყავი იმაში, რომ თანხას მიიღებდა. მე ვუპასუხე, რომ 100 %-ით დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ამ თანხას არც ერთი თეთრი არ დააკლდებოდა.“ ადვოკატის განცხადება შეფასდა გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე თანხის მიღების თაობაზე კლიენტისათვის გარანტიის მიცემად და არა საადვოკატო მომსახურების კვალიფიციურად წარმართვის დაპირებად. კომისიის განმარტებით, საქმეზე გარანტიის მიცემა კლიენტისთვის, იქნება ეს სასამართლო პროცესი თუ ადმინისტრაციული საქმისწარმოება, მაშინ როდესაც ადვოკატის მიერ დაპირებული პირობები არ სრულდება, იწვევს ნდობის დაკარგვას ადვოკატთა პროფესიისადმი და, დამატებით, მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციას. ამიტომ ეს აკრძალულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით და ადვოკატებმა მკაცრად უნდა დაიცვან ეს აკრძალვა, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ადვოკატებმა არ შეიძლება აცნობონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული ამა თუ იმ რისკის დონის და პროცესის სავარაუდო დასრულების მათი შეფასების შესახებ.[67]

---

[66] საქმე N037/11, 2011 წლის 19 სექტემბერი; სავარაუდო დარღვევა: გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარი https://gba.ge/pdf/5c582a2e4a337.pdf/5c582a2e4a337.pdf

[67] საქმე N054/11, 2011 წლის 21 ოქტომბერი; დარღვევა: პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახსრებისგან დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება https://gba.ge/pdf/5c4722ed9b6ef.pdf/5c4722ed9b6ef.pdf

ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.[68]

დისციპლინურ საქმეში, სადაც კლიენტთან შეთანხმებით ადვოკატმა სასარჩელო რისკები დაიანგარიშა და კლიენტს აცნობა, თუმცა საქმე ადვოკატის ვარაუდისამებრ არ დასრულდა, კლიენტმა რისკების შეფასება გარანტიად განიხილა და გამოთქვა პრეტენზია. კომისიამ ადვოკატის ქცევა არ შეაფასა გარანტიის მიცემად, ვინაიდან საქმის პერსპექტიულობის შეფასება საადვოკატო საქმიანობის ნაწილია და არ არღვევს გარანტიის მიცემის დაუშვებლობის პრინციპს. ადვოკატმა კლიენტს უნდა აცნობოს ყველა ის მოსალოდნელი რისკი, რომელიც ახლავს კონკრეტული საქმის წარმოებას. საქმის მსვლელობის წინასწარი ზუსტი შეფასება შეუძლებელია, ვინაიდან იქნება ეს სასამართლო წარმოება, თუ საქმის მედიაციით განხილვა, ბევრი

[68] საქმე N077/13, 2014 წლის 12 ივნისი; დარღვევა: კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, ინფორმირების ვალდებულება; ნდობის პრინციპი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c484a807dbf8.pdf/5c484a807dbf8.pdf

ისეთი საკითხი შეიძლება წამოიჭრას, რაც გავლენას მოახდენს დავის გადაწყვეტაზე.[69]

დისციპლინურ საქმეში, სადაც ხუთი წლის წინ მოგებულ საქმეში გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე ჩაერთო ადვოკატი, სრულად მიიღო მომსახურების საზღაური, კლიენტს კონკრეტულ ვადაში შეპირდა გადაწყვეტილების აღსრულებას, ხოლო აღუსრულებლობის შემთხვევაში აიღო ვალდებულება სრულად დაებრუნებინა მისთვის მიღებული მომსახურების საზღაური, კომისიამ იმსჯელა გარანტიის მიცემის დაუშვებლობის პრინციპზე და კლიენტის ინფორმირების ვალდებულებაზე. ხელშეკრულებით ადვოკატის მიერ გასაწევი მომსახურება განისაზღვრა შემდეგნაირად: „ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული პროცესებით დააბრუნებინოს კლიენტს თანხა, რომელიც მას თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ეკუთვნის. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტის ინტერესები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიაში. ადვოკატი ვალდებულია საქმიდან გამომდინარე ჩაატაროს ტელეკომპანიების მეშვეობით „ბრიფინგები“ და შეხვედრები.“[70]

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა ორ გარემოებაზე: ა) კლიენტის მიერ ადვოკატის მოწვევის მიზეზი იყო არა საადვოკატო საქმიანობის გზით მისი უფლებების დაცვის/რეალიზაციის განხორციელების განმარტება, არამედ ძირითადად კანონისმიერი პროცედურების გარეშე შე-

[69] საქმე N083/18, 2019 წლის 28 თებერვალი; ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა https://gba.ge/pdf/5e613377e2183.pdf/083_18%20ar%20agdzvra%2028.02.19.pdf

[70] საქმე N044/16, 2016 წლის 19 დეკემბერი; დარღვევა: ნდობის პრინციპი, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება, მინდობილი ფულადი სახსრების უკან დაბრუნების ვალდებულება, გამოუმუშავებელი საზღაურის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c62b8681abeb.pdf/044.16%2019.12.2016.%20gafrtxileba.pdf

დეგის მიღების დაპირება; ბ) ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა განუმარტოს კლიენტს სამართალწარმოების შესახებ.

ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის კომპონენტია თავად განსაზღვროს კლიენტის ინტერესების დაცვის გზა და სტრატეგია, გამოიყენოს თავისუფლად დისკრეცია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არსებობდა მაღალი ალბათობა იმისა, რომ კლიენტისა და ადვოკატის შეთანხმების ერთ-ერთი საფუძველი იყო კლიენტის მოლოდინი, რომ მიიღებდა ფულად ანაზღაურებას ადვოკატის მიერ კერძო ურთიერთობების გამოყენებით და თანაც საჯარო სამართალწარმოების უწყებებთან (პროკურატურა, საკონსტიტუციო სასამართლო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია) ურთიერთობის გზით. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტის მიზანი იყო ფულადი თანხების მიღება, ნიშანდობლივია სისხლის სამართალწარმოების ამოცანები, რაც წლებია აღარ მდგომარეობს ქონებრივი ზიანის განხილვის ან მის ანაზღაურებაში და წარმოადგენს სამოქალაქო კერძო სამართალწარმოების საგანს. ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები არ წარმოადგენდა კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივ წარმოებას. ადვოკატმა კლიენტის დაცვის განხორციელებისათვის აირჩია საჯარო წარმოება – სისხლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოება. კომისიის შეფასებით, ასეთი შეთანხმება და ადვოკატის მიერ კლიენტისთვის არასწორი მოლოდინის შექმნა, ასევე მოცემულ შემთხვევაში არჩეული საქმიანობის ფორმა აზიანებს ადვოკატის პროფესიულ ავტორიტეტს, საადვოკატო საქმიანობის მომხმარებელში ქმნის არაკვალიფიციურობის განცდას და აზიანებს ნდობას ადვოკატის მიმართ.

კომისიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების შეთანხმების წესზე, კერძოდ საზღაურის დანიშნულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა გარკვეული იურიდიული მოქმედებები განახორციელა მომჩივანთან შეთანხმების დადებისას, გამოიკვეთა, რომ ჰონორარის გადახდის მოტივაცია იყო ადვოკატის მხრიდან შედეგზე დაპირება, კლიენტის მოლოდინი ადვოკატის მიერ შესრულებული არაო-

ფიციალური სახის მოქმედებების შედეგად ფულადი ანაზღაურება მიეღო. კომისიის განმარტებით, საადვოკატო საქმიანობას წარმოადგენს: იურიდიული მოქმედებების განხორციელება (კლიენტისათვის რჩევის მიცემა, ასევე ნებისმიერი იურიდიული ხასიათის საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით და რომელიც რეგულირდება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით), ასევე, ყველა სახის სამართალწარმოებაში ჩართვა და კლიენტის ინტერესების წარმოდგენა. კომისიის შეფასებით, ადვოკატს უნდა განემარტა კლიენტისათვის თუ რისთვის იღებდა საადვოკატო მომსახურების საზღაურს, სწორად უნდა განემარტა თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონოდა ადვოკატისგან, ხელშეკრულების შინაარსი უნდა განემარტა კლიენტისთვის გასაგები ფორმით მაშინ, როდესაც კლიენტმა არ იცოდა სამართალი, არ ფლობდა ქართულ ენას და ადვოკატს ჰქონდა მომეტებული პასუხისმგებლობა, რომ არ დარღვეულიყო საქმის შედეგზე დაპირების მიცემის დაუშვებლობის პრინციპი. ადვოკატმა ზემოთნახსენები შეთანხმებით კლიენტს შეუქმნა პროფესიული საქმიანობის არაოფიციალურობის, რომელსაც ფაქტიურად არ გააჩნია პასუხისმგებლობის იურიდიული მხარე, არაკვალიფიციურობის მოლოდინები და იმოქმედა იმდაგვარად, რომ საფრთხე შეუქმნა პროფესიისადმი ნდობას. ადვოკატები კლიენტის ინტერესებს მხარს უჭერენ, ადვოკატირებენ ნებისმიერ უწყებასთან, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები და თავად არჩევენ რა საპროცესო საშუალებებს გამოიყენებენ, აქვთ შეხვედრები კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ყველა მოქმედებების საგანი და მოტივაცია უნდა გამომდინარეობს კანონიერების პრინციპიდან, ამ კუთხით საგნობრივად და შინაარსობრივად ჯდებოდეს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

კომისიის მოსაზრებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობები შეიცავდა გარანტიის მიცემის ელემენტებს და მსგავსი შეთანხმებით ადვოკატმა დაარღვია საქმის შედეგზე დაპირების მიცემის დაუშვებლობის პრინციპი. კერ-

ძოდ: 1. ადვოკატმა აიღო ვალდებულება კანონით გათვალისწინებული პროცესებით დაებრუნებინა კლიენტისთვის თანხა, რომელიც მას ადვოკატთან ხელშეკრულების დადებამდე ხუთი წლით ადრე მიღებული გადაწყვეტილებით ეკუთვნოდა. 2. აღნიშნული ვალდებულების შესრულება ადვოკატმა გარკვეული ვადით შეზღუდა, 3. ხელშეკრულებით ადვოკატმა აიღო ვალდებულება კლიენტისთვის სრულად დაებრუნებინა მის მიერ გადახდილი ჰონორარი მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში, თუ ის სრულად არ დააკმაყოფილებდა კლიენტის სამართლებრივ პრობლემას. კომისიის შეფასებით, ადვოკატს ჰქონდა მატერიალური ინტერესი, კერძოდ ადვოკატმა წინასწარ მიიღო თანხა იმისდა მიუხედავად, როგორი შედეგი დადგებოდა საქმეზე და შესაძლებელია ხელშეკრულების მიხედვით, თანხა კლიენტისათვის დასაბრუნებელი ყოფილიყო. ადვოკატმა ფაქტიურად აიძულა კლიენტი მიეცა მისთვის სესხი და ვალდებულების შესრულებისთვის კონკრეტული ვადა დაუთქვა.

კომისიამ ხელშეკრულების შინაარსზე დაყრდნობით განმარტა, რომ მას მერე, რაც კლიენტმა ვერ მიიღო ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული შესრულება და გაირკვა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული თანხა საადვოკატო მომსახურების საზღაურად არ გარდაიქმნა ადვოკატის ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული დროის უშედეგოდ გასვლის გამო, მიღებული თანხა ადვოკატს კლიენტისთვის უნდა დაებრუნებინა. იმ დროიდან, როცა თანხა ადვოკატმა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაიტოვა, კომისიამ მოცემული თანხა მიბარებულ თანხას გაუთანაბრა და მასზე აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული რეგულაციები გაავრცელა. ადვოკატს ურთიერთობის დასრულების შემდეგ კლიენტისათვის დასაბრუნებელი ჰქონდა მისგან მიღებული ფულადი სახსრები, იმის გათვალისწინებით, რომ მას უფლება ჰქონდა კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოექვითა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

8.5 კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება

8.5. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

8.5.1 კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის კომპონენტები

ეთიკის კომისიამ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა:

კვალიფიციურობა გულისხმობს ადვოკატის მიერ ცოდნის კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას და კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობას.[71]

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის სახელით მოიპოვოს საქმისათვის მნიშნელოვანი მტკიცებულებები და წარმოადგინოს კლიენტი სხვადასხვა ორგანოსა თუ დაწესებულებაში. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა.[72]

თუ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს და, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ ახო-

---

[71] საქმე N122/18, 2019 წლის 10 ოქტომბერი; დარღვევა: კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5e4bf8c14722C.pdf/122.18%20kerdzo%20sarekomendacio%2010.10.2019.pdf

[72] იქვე

რციელებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა, მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრება, ვერ შეფასდება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ საადვოკატო მომსახურებად. ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ უნდა დაემსგავსოს ფორმალურ წარმომადგენლობას, ვინაიდან კლიენტი იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას აქვს ის სპეციალური ცოდნა და უნარები, რაც კლიენტს არ გააჩნია.[73]

---

[73] საქმე 096/14, 2015 წლის 22 ოქტომბერი; დადგინდა კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულების, საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევა, შედეგი: გაფრთხილება
https://gba.ge/pdf/5c484f5ad6ba2.pdf/5c484f5ad6ba2.pdf
ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N035/10 განმარტა, რომ კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს კლიენტის დასაცავად ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. მათ შორის ადვოკატის ეს ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ადვოკატს ევალება „მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისთვის.“ http://gba.ge/uploads/resolutions/2014/01/27/113ab58ee29283413992269638c9c8eC.PDF
ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N096/11 განმარტა, რომ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი დაცვის ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება საქმის მასალების ფორმალური გაცნობა, თუმცა, თავად გაცნობის ხარისხი არ ექვემდებარება ეთიკის კოდექსის რეგულირებას.
მოცემულ გადაწყვეტილებაში კომისიამ ასევე განმარტა, რომ კლიენტთა მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება ეკისრება საზოგადოებრივ ადვოკატს. რადგან სავალდებულო დაცვისას სახეზე არ არის „კლასიკური“ ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა. საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებაც განსაკუთრებულ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კონტროლი შეიძლება განხორციელდეს თავად

ადვოკატმა კლიენტთან უნდა შეათანხმოს ამ უკანასკნელის საქმეზე განსახორციელებელი მოქმედებები, რაც გულისხმობს კლიენტისგან ინფორმაციის მიღებას, მისი პოზიციის, მოთხოვნის გაგებას და შემდეგ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის პროფესიული რჩევის მიცემას, მომავალში განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე; ადვოკატი და კლიენტი ერთდროულად შეიმუშავებენ საადვოკატო მომსახურების ტაქტიკას ან ადვოკატი დამოუკიდებლად შეიმუშავებს საქმეზე წარმომადგენლობის სტრატეგიას კლიენტისათვის ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და საპროცესო მოქმედებათა განსახორციელებლად მისგან უფლებამოსილების მინიჭებით.[74]

ადვოკატი იურიდიული მომსახურების გაწევისას დაწვრილებით უნდა ეცნობოდეს საქმის თითოეულ გარემოებას და აფასებდეს სავარაუდო საფრთხეებს, ვინაიდან შესაძლებელია აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს კლიენტის ინტერესებისათვის და სასამართლო საქმის შედეგისათვის. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა და-

---

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, ასევე, ეთიკის კომისიის მიერ პროფესიულ ეთიკის საკითხებზე.
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/01/27/2f91fff70520921d5169672b565db288.pdf

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N024/12 კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად შეაფასა ადვოკატის ქცევა, როდესაც ადვოკატმა ბრალდების მხარეს და სასამართლოს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე არ გადასცა ინფორმაცია, რომ მას წარდგენილი ჰქონდა ექპერტიზის ბიუროში მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე. ამ პროცესუალური შეცდომის გამო დაცვის მხარეს წაერთვა სასამართლო პროცესზე ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. კომისიამ აღნიშნა „ადვოკატმა უნდა განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები, რათა ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული ექპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით წარადგინოს სასამართლოში და დაურთოს საქმეს“. http://gba.ge/uploads/resolutions/2014/01/27/72b3682545d799dcf4944fdf0bf54d24.pdf

[74] საქმე 061/12, 2014 წლის 14 აპრილი, დადგინდა კვალიფიციურად მომსახურების დარღვევა, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c484a3fa4a48.pdf/5c484a3fa4a48.pdf

ცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, ამასთან, კლიენტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით, სამართლებრივად შეაფასოს და კლიენტთან ერთად გადაწყვიტოს სხდომაზე წარსადგენ მოწმეთა განმარტებების მნიშვნელობა კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის, კანონით მინიჭებული შესაძლებლობის ფარგლებში. ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტთან შეთანხმებით, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, შეაფასოს მოწმის ხელთ არსებული ინფორმაცია და ამის მიხედვით ურჩიოს კლიენტს სამართლებრივად რამდენად მნიშვნელოვანი იქნება მისი სადავო საკითხისათვის კონკრეტული მოწმის წარდგენა სასამართლო სხდომაზე გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად და მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინოს კონკრეტულ მოწმეთა მოწვევის შუამდგომლობა.[75]

კვალიფიციურად წარმომადგენლობა ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.[76]

კვალიფიციური წარმომადგენლობა მოითხოვს ადვოკატმა სწორად გამოთვალოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ვადები. ადვოკატს აღნიშნული ევალება, როდესაც შეთანხმების მიხედვით თავად უნდა იზრუნოს გადაწყვეტილების ჩაბარებასა და მის კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებაზე ან/და კლიენტის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარების შემთხვევაში გასაჩივრების ვადა სწორად გამოთვალოს.[77]

---

[75] იქვე

[76] საქმე N096/11, 2012 წლის 25 ივლისი; დადგინდა კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულების დარღვევა, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c4838a722edb.pdf/5c4838a722edb.pdf

[77] ეთიკის კომისიამ 2014 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N090/13 ადვოკატის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქცევად ჩათვლა მოქმედება, როდესაც ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო სარჩელზე გა-

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქცევა, როდესაც მან მის მიერ მომზადებულ სარჩელს არ დაურთო დაყენებული შუამდგომლობის – მოპასუხეზე სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის მომსახურების თანხის დაკისრების დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და კლიენტის მიერ საზღაურის გადახდის ქვითარი, შეაფასა არაკვალიფიციურ მომსახურებად. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს ევალებოდა მტკიცებულებების სარჩელზე დართვა, ვინაიდან ხელთ ჰქონდა და კლიენტსაც შეუთანხმდა სასამართლოში წარდგენაზე.[78]

ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს

დასახდელი სახელმწიფო ბაჟი, მაშინ როდესაც კლიენტი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან და აღნიშნული გარემოება ცნობილი იყო ადვოკატისთვის. ადვოკატმა სარჩელში სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების საფუძვლად მიუთითა სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი და სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია. https://gba.ge/pdf/5c484abdbcdb9.pdf/5c484abdbcdb9.pdf

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმეზე 047/11 დაადგინა, რომ: „კვალიფიციურობას არა აქვს ადგილი, თუ ადვოკატი ვერ გაწევს სათანადო წარმომადგენლობას, რაც შეესაბამება ადვოკატის მიერ თუნდაც საშუალო კომპეტენციით გაწეულ მომსახურებას. ამ დროს ადვოკატს მოეთხოვება დააკმაყოფილოს კონკრეტული სპეციალიზაციის ან დამატებითი ცოდნის საშუალო სტანდარტები. კვალიფიციურად მიიჩნევა ადვოკატი, რომელმაც სამართლის ცოდნასთან ერთად იცის, თუ როგორ იპოვოს პასუხები სამართალთან დაკავშირებულ კითხვებზე, შეუძლია სათანადო ხარისხით დაასრულოს კლიენტის საქმე და ვისთვისაც დამახასიათებელია კეთილსინდისიერება კლიენტის სამუშაოს შესრულებისას.“

https://gba.ge/pdf/5c4c54547df21.pdf/5c4c54547df21.pdf

[78] საქმე 007/16, 2016 წლის 25 ოქტომბერი, დადგინდა შემდეგი დარღვევები: კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესისა და განაკვეთის კლიენტისთვის წინასწარ ინფორმირების ვალდებულება, კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯების სრული და ზუსტი ჩანაწერის წარმოების ვალდებულება https://gba.ge/pdf/5c5826a50715e.pdf/5c5826a50715e.pdf

სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი – როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.[79]

ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ადვოკატმა, როგორც წარმომადგენელმა, უნდა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საპროცესო ღონისძიება იმისთვის, რომ სარჩელი წარმოებაში მიიღოს სასამართლომ. მათ შორის, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სარჩელზე დადგენილი ხარვეზი შეავსოს და თუ ასეთი ხარვეზის შევსება კლიენტის ჩართულობას მოითხოვს, მაშინ კლიენტს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ხარვეზის შევსების საჭიროებაზე.[80]

საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით „ადვოკატთა შესახებ“ (მუხლი – 2, 3, 6) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელო-

---

[79] საქმე N062/15, 2015 წლის 30 ოქტომბერი; არ დადგინდა ადვოკატის მხრიდან კვალიფიციურად მომსახურების სტანდარტის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c4ec20cd61fa.pdf/5c4ec20cd61fa.pdf

[80] საქმე 074/10, 2011 წლის 28 იანვარი, დარღვევა: საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება http://gba.ge/uploads/resolutions/2014/01/27/113ab58ee2928341399226963 8c9c8eC.PDF

ბის მქონე მტკიცებულებები, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისთვის.[81]

კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმებისას მის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, რაც საადვოკატო საქმიანობის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპის მაღალი სტანდარტით განხორციელების საწინდარია.[82]

ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ, ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კომისია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი

---

[81] საქმე 066/10, 2010 წლის 23 სექტემბერი; დარღვევა: ანაზღაურების გამოთვლის წესისა და განაკვეთის წინასწარ კლიენტთან შეთანხმების ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, საქმეზე უარი თქმის წესის დარღვევა, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი https://gba.ge/pdf/5c49d7dedf601.pdf/5c49d7dedf601.pdf

[82] საქმე N100/17; დადგინდა კვალიფიციურად მომსახურების ვალდებულების დარღვევა https://gba.ge/pdf/5c628da5045f8.pdf/100_17,%2024.12.18.%20kerdzo%20sarekomendacio%20barati.pdf

ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება. თუმცა პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმეზე, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.[83]

ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის ეთიკის კომისია შეთანხმდა დისციპლინური წარმოების პროცესში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლებზე და მიიჩნია, რომ მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები:[84]

- ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში;
- ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში;
- ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის;

---

[83] საქმე N083/18, 2019 წლის 28 თებერვალი; არ დადგინდა ადვოკატის მხრიდან კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად მომსახურების სტანდარტის დარღვევა https://gba.ge/pdf/5e613377e2183.pdf/083_18%20ar%20agdzvra%2028.02.19.pdf

[84] ეთიკის კომისიის 2019 წლის 4 მარტის სამუშაო შეხვედრა ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, ოქმი N04/19

- ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად.

კლიენტის საქმეზე, როდესაც ადვოკატი უშვებს გასაჩივრების ვადას, როდესაც კლიენტს აქვს პრეტენზია საპროცესო ვადის გაშვებაზე, ადვოკატმა უნდა დაასაბუთოს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები.

შერჩეული სტრატეგიის სისწორის ან გაწეული მომსახურების სამართლებრივი ხარისხის შეფასება სცდება კომისიის კომპეტენციას.

ადვოკატის მიერ კონკრეტული საკითხის ცოდნის ხარისხის შეფასება სცდება კომისიის კომპეტენციას; კომისიამ შეიძლება მომსახურების სტანდარტი შეამოწმოს მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მიუდგა კლიენტის წარმომადგენლობას, არ შეამოწმა კანონი, არ შეისწავლა მტკიცებულებები, არ შეისწავლა სასამართლო პრაქტიკა. მხოლოდ შეცდომა კანონის გამოყენებაში, თუნდაც სასამართლო პრაქტიკის ან ნორმატიული აქტის არცოდნა, არ უნდა იყოს დისციპლინირების საფუძველი, როდესაც ადვოკატი ადასტურებს, რომ მან მიიღო გონივრული ზომა საქმეში გასარკვევად.

რაც შეეხება კეთილსინდისიერად მომსახურების სტანდარტს, კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის – კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია

ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (საქმე N089/17, პარ. 6.3.8).[85]

საქმე N033/17, 2018 წლის 3 დეკემბერი[86]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობა

დარღვევა: კეთილსინდისიერების, საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ნდობის პრინციპები

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – წევრობის შეწყვეტა

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

სამოქალაქო საქმეზე მომსახურების დაწყების შემდეგ ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შემდეგ საკითხებზე: ადვოკატს სამჯერ ეთქვა უარი სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე; ადვოკატმა ჩაიბარა განჩინება სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ, რაც ასევე არ უცნობებია კლიენტისთვის; ადვოკატის მიერ კლიენტისთვის მიწოდებული შემდეგი ინფორმაცია არ აღმოჩნდა სწორი: ადვოკატმა კლიენტს გაუგზავნა ელექტრონული წერილი, რომ საქმეს განიხილავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, მაშინ, როდესაც სარჩელი წარმოებაში მიღებული არ ყოფილა. შესაბამისად, არსებითი განხილვის საგანი არ გამხდარა მხარეთა შო-

---

[85] საქმე N083/18, 2019 წლის 28 თებერვალი; არ დადგინდა ადვოკატის მხრიდან კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად მომსახურების სტანდარტის დარღვევა https://gba.ge/pdf/5e613377e2183.pdf/083_18%20ar%20agdzvra%2028.02.19.pdf

[86] https://gba.ge/pdf/5d00c5429dc0f.pdf/033.17%2003.12.2018.pdf

რის მიმდინარე დავა და ადვოკატის მიერ შესატან სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს არ მიუღია. შემდეგ ადვოკატმა კლიენტს ელ. ფოსტით გაუგზავნა არასწორი სასამართლოს გადაწყვეტილება თითქოს კლიენტის სასარჩელო მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა; ადვოკატმა კლიენტს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოპასუხე მხარესთან გააფორმა ვალის აღიარების შესახებ შეთანხმება, რაც აგრეთვე არასწორი აღმოჩნდა.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, კლიენტის არაინფორმირებულობით გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე და არასწორი ინფორმაციის განზრახ მიწოდებით ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ნორმებით გათვალისწინებული კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, თუმცა ადვოკატი არ ჩაერთო დისციპლინურ წარმოებაში.

კლიენტისათვის არასწორი სასამართლო გადაწყვეტილების გადაგზავნით, ადვოკატმა ასევე დაარღვია კეთილსინდისიერებისა და კანონიერების ფარგლებში მოქმედების ეთიკური ვალდებულება.

ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც მოიცავს კანონიერად მოქმედების ვალდებულებასაც. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს, უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შენების პროცესში. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატის ყოველი ქმედება ჯდებოდეს კანონის ჩარჩოებში. ადვოკატი, როგორც უფლებების დამცველი, არა მხოლოდ კლიენტის უფლებების დაცვაზე და დარღვეული უფლებების აღდგენაზე უნდა ზრუნავდეს, არამედ თავად უნდა იყოს მაგალითი სხვებისთვის. საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიის წარმომადგენლები მაღალი ნდობით სარგებლობენ და

ადვოკატმა არაკეთილსინდისიერი, არაკანონიერი დამოკიდებულებით არათუ ზიანი უნდა მიაყენოს მის პროფესიას, არამედ პირიქით, პროფესიული საქმიანობის პერიოდში, ადვოკატი ყოველთვის უნდა ცდილობდეს გააღრმავოს და გაამყაროს საზოგადოების ნდობა.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც ადვოკატმა კლიენტს ელ. ფოსტით (ადვოკატს ადვოკატთა ერთიან ბაზაშიც იგივე ელ. ფოსტა ჰქონდა მითითებული) გაუგზავნა, არ არსებობდა. სასამართლოს მიერ გამოგზავნილი წერილით დადგინდა, რომ ამავე ნომრით არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, იმავე მხარეებს შორის, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსარჩელე მხარეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და აღნიშნული დავა სასამართლოს არსებითად არ განუხილავს.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატს გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა საადვოკატო საქმიანობისას ზიანი არ მიაყენოს ადვოკატის პროფესიას. თითოეული ადვოკატის ქმედება ზეგავლენას ახდენს ადვოკატთა კორპუსის და პროფესიის სახეზე, ადვოკატის პროფესიის მიმართ პატივისცემასა და მისდამი საზოგადოების ნდობაზე. ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ეს თვისებები იმავდროულად ადვოკატის ვალდებულებაა და ამ ვალდებულებათა შორის იგულისხმება ყველა ის თვისება, რაც კონკრეტული ადვოკატისადმი და ზოგადად პროფესიისადმი ნდობას ბადებს საზოგადოებაში. კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიუწოდებლობით, არასწორი სასამართლო გადაწყვეტილების გადაგზავნით, კლიენტთან გართულებული კომუნიკაციით, ადვოკატმა ასევე დაარღვია ნდობის პრინციპიც.

საქმე N039/18, 2019 წლის 24 აპრილი[87]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, გამოუმუშავებელი მომსახურების საზღაურის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – გაფრთხილება

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კლიენტის დედამ, ლ. ქ.-მ, ნაცნობის, მ. დ-ს მეშვეობით გაიცნო ადვოკატი, რომელსაც მისი შვილის ინტერესები უნდა დაეცვა სისხლის სამართლის საქმეზე. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა, ლ. ქ.-ს, მ. დ.-ს და ადვოკატს შორის. კლიენტს სურდა ადვოკატის მომსახურება საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცედურებში, საგამოძიებო ორგანოებში, პროკურატურაში და საჭიროების შემთხვევაში, საapელაციო სასამართლოში. პარალელურად გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება მხარეებს შორის, რომლის თანახმად მ. დ.-მ აიღო ვალდებულება ლ. ქ.-სთვის დაებრუნებინა ადვოკატისთვის გადახდილი საზღაური, თუ ერთი თვის ვადაში ადვოკატი ვერ შეძლებდა საპროცესო შეთანხმების მიღწევას. ლ. ქ.-მ ადვოკატს სრულად გადაუხადა შეთანხმებული მომსახურების საზღაური. ადვოკატს არ უწარმოებია კლიენტის საქმე იმ ფარგლებში, რისთვისაც მან მიიღო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, კერძოდ, ადვოკატი ორჯერ იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გ. ბ.-ს მოსანახულებლად, ზეპირად გაესაუბრა პროკურორსა და მის მოადგილეს, თუმცა წერილობითი კომუნიკაცია საქმეზე საგამოძიებო ორგანოსთან არ ჰქონია. საგამოძიებო ორგანოსთან ზეპირ გასაუბრებას კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ რაიმე შედეგი არ მოჰყოლია და საადვოკატო მომსახურების დაწყებიდან მცირე პერიოდის

[87] https://gba.ge/pdf/5d6cf75db74fC.pdf/039.18%20%2024.04.19%20%20gafrtxileba.pdf

გასვლის შემდეგ, ლ. ქ.-ის ინიციატივით შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ურთიერთობის დასრულების შემდეგ ადვოკატმა საპროცესო შეთანხმების მოთხოვნის თაობაზე წერილობითი განცხადება პროკურატურაში წარსადგენად შეადგინა კლიენტის ახლობლის თხოვნით. ადვოკატს კლიენტისთვის მომსახურების საზღაურის გამოუმუშავებელი ნაწილი არ დაუბრუნებია.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმებით, მისი ინტერესების გათვალისწინებით, მით უფრო, თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა, ადვოკატს არ აქვს უფლებამოსილება თავისი ინიციატივით მესამე პირთან შეთანხმებით, განახორციელოს რაიმე იურიდიული მოქმედება ყოფილი კლიენტის საქმეზე, თუნდაც მიიჩნევდეს, რომ ეს ყოფილი კლიენტის ინტერესებისთვის სასარგებლო იქნება.

კომისიამ ყურადღება გაამახვილა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე, რომელიც ადვოკატმა დადო არამხოლოდ კლიენტის დედასთან, არამედ მესამე პირთანაც – მ. დ.-სთან, რომელსაც არ ჰქონდა კლიენტის სტატუსი, თუმცა ხელშეკრულების პირველ ნაწილში (ხელშეკრულების მხარეები) მითითებულია, როგორც „კლიენტი“. ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა გააჩნდა კლიენტთან – გ. ბ.-სთან და მასთან ურთიერთობაში უფლებამოსილ პირთან – დედასთან. წერილობითი ხელშეკრულებიდან არ ირკვეოდა, რა მიზნით გააფორმა ადვოკატმა მ. დ.-სთან, როგორც „კლიენტთან“ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

ურთიერთობის შეწყვეტისას ლ. ქ.-მ ადვოკატს მოსთხოვა მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურის დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა უარი განუცხადა ჰონორარის დაბრუნებაზე. ადვოკატმა დაადასტურა, რომ მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების მოცულობა ნაკლები იყო, ვიდრე მის მიერ მიღებული ჰონორარის ოდენობა, თუმცა ადვოკატის

შეფასებით, ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება მ. დ.-ს გააჩნდა, რადგან მან ნოტარიული აქტის გაფორმებით, დაადასტურა, რომ საპროცესო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ის იკისრებდა ვალდებულებას დაებრუნებინა გადახდილი ჰონორარი საჩივრის ავტორისთვის. მ. დ.-მ დაადასტურა, რომ მისი ნებით განხორციელდა სანოტარო აქტის გაფორმება, რის საფუძველზეც იკისრა ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება, თუმცა მიუთითა, რომ ადვოკატს არ განუხორციელებია რაიმე იურიდიული მოქმედებები საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის და შესაბამისად, ადვოკატს ჰქონდა ვალდებულება დაებრუნებინა მიღებული ჰონორარი.

კომისიამ განმარტა, რომ შესაძლებელია, ადვოკატ-კლიენტის შეთანხმება ითვალისწინებდეს მესამე პირის პასუხისმგებლობას ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნების შემთხვევებზე, თუმცა ადვოკატი კვლავ რჩება პროფესიულად პასუხისმგებელ პირად დაიცვას ქცევის სტანდარტები. კომისიამ დაადგინა გადაცდომა აპეკ-ის 8.15 მუხლის თანახმად, მიღებული ჰონორარის არაპროპორციული მომსახურებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაუბრუნებლობის გამო.

საქმე N020/15, 2018 წლის 19 აპრილი[88]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – გაფრთხილება

---

[88] https://gba.ge/pdf/5ccb006615728.pdf/020.15%2019.04.18.pdf
საქმეში N153/13, 2018 წლის 1 აგვისტო; კომისიამ დაადგინა კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა, როდესაც ადვოკატმა უმოქმედობით, რომლის მიზეზიც ვერ დადგინდა, გაუშვა საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადები. შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5e29a25ba44d8.pdf/153.13%20gafrtxileba%2001.08.2018.pdf

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს სამივე ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესახლებულ კლიენტს საკასაციო საჩივარზე ხელი მოაწერინა გასაჩივრების საპროცესო ვადის გასვლამდე ორი დღით ადრე და საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გააგზავნა დაჩქარებული გზავნილით. ფოსტაში ადვოკატს განუმარტეს, რომ საკასაციო საჩივარი უფლებამოსილ პირს ჩაბარდებოდა მომდევნო დღეს. აღნიშნული ქმედებით ადვოკატმა მსჯავრდებულის ბედი ანდო ფოსტის მუშაკს. მას შეგნებული ჰქონდა, რომ საკასაციო საჩივრის უფლებამოსილი პირისათვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი კარგავდა განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლებას. საჩივარი სასამართლოს ჩაბარდა გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევით. ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებისათვის გაცდენილი ვადის აღდგენის მოთხოვნით. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან ადვოკატმა ვერ მიუთითა საპატიო მიზეზზე.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ დარღვეულად მიიჩნია კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება და მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დადასტურდა, საპატიო მიზეზის არსებობის გარეშე საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევა. ადვოკატს საკასაციო საჩივარი ერთი თვის ვადაში უნდა ჩაებარებინა უფლებამოსილი პირისათვის, რომელიც იქნებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ან მსჯავრდებულის ადგილსამყოფელი სასჯელაღსრულების შესაბამისი ადმინისტრაცია. ადვოკატმა კლიენტის მითითებით არ ჩააბარა საჩივარი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციას, ასევე პირადად ვერ შეძლო საჩივრის წარდგენა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან ჰქონდა სხვა

საქმეზე პროცესი და ფოსტის დაჩქარებული გზავნილის მეშვეობით გააგზავნა საჩივარი. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ფოსტის მიერ საჩივრის შეთანხმებულ დროს ჩაუბარებლობის შემთხვევაში, კლიენტი კარგავდა უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას და არ იარსებებდა დამატებითი გასაჩივრების შესაძლებლობა. საბოლოოდ, საპროცესო ვადაში ვერ მოესწრო საჩივრის ჩაბარება.

შენიშვნა: ადვოკატმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2018 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმე Nსსდ-07-18, უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება.[89]

ადვოკატის პოზიციით, მან საკასაციო საჩივარი ვადის ამოწურვამდე ორი დღით ადრე გააგზავნა, მისი ჩაბარება ფოსტის მიერ ვადაში ვერ მოხერხდა, რაც ფოსტის პასუხისმგებლობა იყო, ეს წარმოადგენდა საპატიო მიზეზს და სააპელაციო სასამართლომ არასწორად თქვა უარი საკასაციო საჩივრის მიღებაზე. სადისციპლინო პალატამ აღნიშნა, რომ მოქმედი 09.10.2009წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სხვაგვარად ადგენს ამა თუ იმ მოქმედების ათვლის ვადას, კერძოდ, სსსკ-ის 87.1 მუხლის თანახმად, საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე უნდა ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი შეიძლება ნებისმიერი საშუალებით ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონი ითვალისწინებს წერილობითი დოკუმენტის ნებისმიერი საშუალებით ადრესატისათვის ჩაბარებას (ფოსტით, ელექტრონული საშუალებით ან უშუალოდ ჩაბარებას). მოცემული საშუალებების გამოყენების შედეგად დაცული უნდა იქნეს კანონით განსაზღვრული ვადები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საპროცესო ვადების გამოთვლის წესს საათების, დღე-ღამეებისა და თვეე-

[89] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2-oqtomberi-07-18.pdf

ბის მიხედვით. სააპელაციო სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის ბოლო დღე ემთხვეოდა არასამუშაო დღეს (შაბათი). სსსსკ-ის 86.2 მუხლის მიხედვით, საპროცესო ვადაში ითვლება არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეები, რაც იმას გულისხმობს, რომ მითითებულ დღეებში საპროცესო ვადის დინება არ ჩერდება. კანონის ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, ვინაიდან დასვენების დღე საპროცესო ვადის დინებას არ აჩერებს, საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში უნდა შეტანილიყო წინა სამუშაო დღეს. მართალია, ადვოკატმა საკასაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით გასაჩივრების ვადაში გააგზავნა, თუმცა მისი ჩაბარება კანონით დადგენილ საპროცესო ვადაში ვერ მოხერხდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გაცდენილი ვადის აღდგენის შესაძლებლობას საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებისათვის გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე და მიუთითა, რომ საკასაციო საჩივრის დროულად ჩაუბარებლობა გამოწვეული იყო ფოსტის მუშაკების ბრალით, რომლებიც მას შეჰპირდნენ, რომ საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ჩაბარდებოდა მომდევნო დღეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აღნიშნული მიზეზი არ ჩაითვალა საპატიოდ, რადგან ადვოკატს საკასაციო საჩივარი განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში უნდა ჩაებარებინა უფლებამოსილი პირისათვის, რომელიც იქნებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ან ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად ჩაითვლებოდა მსჯავრდებულის ადგილსამყოფელი, სასჯელაღსრულების შესაბამისი ადმინისტრაცია.

სადავო სამართალურთიერთობების წარმოშობის პერიოდში მოქმედი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 30.05.2011წ. N97 ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობის, თავისუფლების

აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტის დებულების“ (ძალადაკარგულია 01.09.2015წ. N105 ბრძანებით) მე-12 მუხლით, რომლის თანახმად, კანცელარიის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა დაწესებულების კორესპონდენციისა და ბრალდებულთა წერილების, საჩივრების, მოთხოვნების, განცხადებების აღრიცხვა, მათი დროული მიღებისა და გაგზავნის ორგანიზება. შესაბამისად, სადისციპლინო პალატამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ საკასაციო საჩივრის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩაბარება შექმნიდა საკასაციო საჩივრის კანონით განსაზღვრულ დროში ჩაბარების საფუძველს. ამასთანავე, ადვოკატმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში სხვა საქმეზე სასამართლო პროცესში მონაწილეობის გამო არ მიიტანა საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და იგი გააგზავნა ფოსტის დაჩქარებული გზავნილის მეშვეობით. ამდენად, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, ადვოკატს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ფოსტის მიერ საჩივრის შეთანხმებულ დროს ჩაუბარებლობის შემთხვევაში კლიენტი კარგავდა უზენაეს სასამართლოში განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას და მისი საჩივარი განუხილველი დარჩებოდა. მიუხედავად ამისა, ადვოკატი დაეყრდნო ფოსტის მუშაკების სიტყვიერ დაპირებას, რამაც გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის დარღვევა გამოიწვია.

შპს „საქართველოს ფოსტა“ მოქალაქეებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს შპს „საქართველოს ფოსტის“ მომხმარებლის სახელმძღვანელოთი, რომლის 10.1.1 მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო შემომავალი და ადგილობრივი წერილობითი კორესპოდენციის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადებია: 3 (სამი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან – გარდა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულში ჩასაბარებელი გზავნი-

ლებისათვის. ამავე სახელმძღვანელოს 35.4 მუხლის თანახმად, კურიერის მიერ ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება პირობით – „სასწრაფო“ ხორციელდება მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში, შეკვეთის მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს. ვინაიდან კორესპოდენციის გაგზავნა მოცემულ შემთხვევაში ცდებოდა ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებს, შპს „საქართველოს ფოსტის“ ბათუმის ფილიალს ვალდებულება არ ჰქონდა გზავნილი ჩაებარებინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მეორე სამუშაო დღესვე. მიუხედავად ამისა, ადვოკატი ენდო ფოსტის თანამშრომლების განმარტებას, თუმცა კანონით დადგენილ დროში საკასაციო საჩივარი ვერ ჩაბარდა უფლებამოსილ პირს დროულად, რითაც კლიენტის ინტერესებს მიადგა ზიანი – მან დაკარგა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება. სადისციპლინო პალატამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ წარმომადგენლობითი ფუნქციის არასათანადო შესრულების გამო, მსჯავრდებულმა ვერ ისარგებლა გასაჩივრების უფლებით.

8.5.2 რწმუნებულების მიუხედავად ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება

კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმისწარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.[90]

---

[90] საქმე N054/11, 2011 წლის 21 ოქტომბერი; დარღვევა: პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება, კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახსრებისგან დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება, შედეგი: საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით https://gba.ge/pdf/5c4722ed9b6ef.pdf/5c4722ed9b6ef.pdf

კომისიამ რწმუნებულებაში მინიჭებული უფლებამოსილების მიუხედავად, ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება განმარტა გადაწყვეტილებაში, სადაც ადვოკატმა მიმართა სასამართლოს სარჩელის გამოხმობის შუამდგომლობით, მაშინ როდესაც ამაზე თანხმობა კლიენტს არ განუცხადებია. კომისიის მოსაზრებით, ადვოკატი ვალდებულია წინასწარ მიიღოს ნებართვა კლიენტისგან, „თუნდაც რწმუნებულებით კლიენტს თავის დროზე გაცემული ჰქონდეს თანხმობა სარჩელის უკან გამოხმობის თაობაზე, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის/შემცირების და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილი რწმუნებულისთვის გადაცემული სხვა უფლებამოსილების თაობაზე."[91]

8.5.3 ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა იმ სფეროში, რომელშიც მას სპეციალიზაცია არ აქვს

ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევა იმ მიმართულებით, რომლითაც არ ყოფილა სპეციალიზირებული, არღვევს კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულებას, ვინაიდან ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული.[92]

---

[91] საქმე N092/11, 2012 წლის 22 მარტი, დარღვევა: აპეკ-ის 8.5, 8.6 მუხლები, შედეგი: საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით https://gba.ge/pdf/5c47281d2769C.pdf/5c47281d2769C.pdf

[92] საქმე N055/12, 2013 წლის 20 თებერვალი; დარღვევა: აპეკ-ის 8.5 მუხლი, შედეგი: ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა https://gba.ge/pdf/5c4729d428e1f.pdf/5c4729d428e1f.pdf

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით დს-შ/15-13 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/15-13; https://gba.ge/pdf/5c4c05bfcbd2f.pdf/5c4c05bfcbd2f.pdf

თავისთავად, ადვოკატს აქვს იურიდიული უფლებამოსილება, განახორციელოს წარმომადგენლობა, მაგრამ ადვოკატის სტატუსი მას ავალდებულებს, როგორც ადვოკატმა გასწიოს საადვოკატო მომსახურება იმ სფეროში, რომლის სპეციალიზაცია (კვალიფიკაცია) გააჩნია. ადვოკატი ვალდებულია კონსულტაციის ეტაპის დაწყებამდე განუმარტოს პოტენციურ კლიენტს რომელი სპეციალიზაციით შეუძლია (ადვოკატის სტატუსით) განახორციელოს წარმომადგენლობა. ადვოკატის მიერ არასპეციალიზებული მიმართულებით იურიდიული მომსახურების გაწევა ვერ ჩაითვლება კვალიფიციურად.[93]

ადვოკატმა კლიენტს ურთიერთობის დაწყების ეტაპზე უნდა აცნობოს სპეციალიზაციის შესახებ და განუმარტოს სპეციალიზაციიდან გამომდინარე უფლებამოსილება.[94]

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევისას სამოქალაქო სამართლის საქმეზე მნიშვნელოვანი საკითხია მტკიცების ტვირთის გადანაწილება დისციპლინური წარმოებისას. კომისიის წევრთა შეთანხმებული მოსაზრებებით:[95]

ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის დარღვევით განხორციელებულ მომსახურებაზე:

საქმე N053/18, 2018 წლის 24 დეკემბერი, https://gba.ge/pdf/5d838d186b2d1.pdf/053.18%20%20gafrtxilebA-%2024.12.2018.pdf

საქმე N064/16, 2017 წლის 9 ნოემბერი, https://gba.ge/pdf/5e623b2f338af.pdf/064.16%20gaftxileba%2009.11.2017.pdf

საქმე №035/13, 2013 წლის 26 მარტი, https://gba.ge/pdf/5c471fecb6f7b.pdf/5c471fecb6f7b.pdf

საქმე №125/13, 2014 წლის 21 აგვისტო, https://gba.ge/pdf/5c471fa773abd.pdf/5c471fa773abd.pdf

საქმე №017/11, 2011 წლის 6 ივლისი, https://gba.ge/pdf/5c471b583fd7a.pdf/5c471b583fd7a.pdf

საქმე №030/11, 2011 წლის 26 აგვისტო, https://gba.ge/pdf/5c4722ca469d0.pdf/5c4722ca469d0.pdf

[93] საქმე №100/17; 2018 წლის 24 დეკემბერი https://gba.ge/pdf/5c628da5045f8.pdf/100_17,%2024.12.18.%20kerdzo%20sarekomendacio%20barati.pdf

[94] საქმე N064/16, 2017 წლის 9 ნოემბერი; ადვოკატის მხრიდან დადგინდა კლიენტის ინფორმირების, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევა https://gba.ge/pdf/5e623b2f338af.pdf/064.16%20gaftxileba%2009.11.2017.pdf

[95] ეთიკის კომისიის 2019 წლის 4 მარტის სამუშაო შეხვედრა ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, სხდომის ოქმი N04/19

ადვოკატმა, რომელსაც აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია და კლიენტს მომსახურებას სთავაზობს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეზე, მომსახურებაზე შეთანხმების ეტაპზე უნდა განუმარტოს მას, რომ იგი არ იქნება სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ დავაში ადვოკატი, განუმარტოს სპეციალიზაციიდან გამომდინარე უფლებამოსილება, რომ ეთიკის კოდექსით და კანონით არ იქნება შებოჭილი, მასთან კომუნიკაციას ვერ დაიცავს ადვოკატ-კლიენტის საუბრის ხელშეუხებლობის პრინციპს. აქედან გამომდინარე არსებულ რისკებთან ერთად, თუ კლიენტი ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, მაინც მისცემს ინფორმირებულ თანხმობას ადვოკატს, ადვოკატის ქცევა ეთიკურია;

ადვოკატმა, რომელსაც აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, კლიენტთან დადოს იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, სადაც არ იქნება მითითებული მისი სიითი ნომერი და არ იქნება იგი წარმოდგენილი ადვოკატის სტატუსით, რადგან სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმეებისთვის იგი არ წარმოადგენს ადვოკატს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის გამო;

მტკიცების ტვირთი, რომ ადვოკატმა კლიენტს თავიდანვე მიაწოდა ინფორმაცია სპეციალიზაციისა და აქედან გამომდინარე უფლებამოსილებაზე, არის ადვოკატზე. ისეთ დროს, როცა დისციპლინურ საქმეში არსებობს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ ან სამართლებრივი დოკუმენტები, სადაც ადვოკატი პირდაპირ უთითებს სტატუსს ადვოკატის სახით და სიით ნომერს, კომისიას ექმნება გონივრული ვარაუდი იმისა, რომ მას კლიენტი ინფორმირებული არ ჰყავდა თავისი უფლებამოსილების თაობაზე და კომისია განუმარტავს ადვოკატს, თუ როგორ უნდა დაიწყოს სწორი ფორმით ურთიერთობა კლიენტთან, იმისათვის რომ არაეთიკური ქცევა თავიდან აირიდოს; ისეთ დროს, როცა დისციპლინურ საქმეში არსებობს მხოლოდ მინდობილობა და ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია, აღნიშნული მინდობი-

ლობა შეიძლება არასაკმარისი იყოს გონივრული ვარაუდის შექმნისთვის ადვოკატის მიერ კლიენტისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შესახებ (მინდობილობაში ხშირად ნოტარიუსი უთითებს ყველა ინსტანციის სასამართლოს), თუმცა, კომისიას შეუძლია რეკომენდაცია გასცეს, რომ ადვოკატებმა აცნობონ კლიენტებს სპეციალიზაცია და ნოტარიუსს მინდობილობაში არ მიათითებინონ ყველა ინსტანციის სასამართლო, როცა რეალურად მსგავსი უფლებამოსილების ფარგლებში ვერ იმოქმედებენ; ადვოკატს აქვს მტკიცების ტვირთი, რომ ეს ყველაფერი განუმარტა კლიენტს. ფაქტიურად, აღნიშნული სადავო გარემოება შესაძლოა დამტკიცდეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებით ან გათანაბრებული სახით. მოწმეთა ჩვენებებით მტკიცება თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ რადგან მესამე პირი, როგორც წესი არ ესწრება ადვოკატ-კლიენტის საუბარს, კლიენტის სხვაგვარი პოზიციისას, ადვოკატი მოკლებული იქნება შესაძლებლობას ასწიოს მტკიცების ტვირთი.

8.5.4 კლიენტის სახელისა და გვარის მითითებით ადვოკატის მიერ ხელმოწერის შესრულების დაუშვებლობა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედება, როდესაც ის ხელს აწერს სამართლებრივ დოკუმენტებს კლიენტის სახელისა და გვარის მითითებით, შეაფასა, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის მიერ კანონით აკრძალული საშუალებების გამოყენება. ადვოკატმა, რომელმაც სარჩელის გამოხმობის განცხადებას ხელი მოაწერა მარწმუნებლის სახელისა და გვარის მითითებით, გაუფრთხილებლობით დაარღვია გონივრული წინდახედულობის ფარგლები. კლიენტის ინტერესების დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტმა შესაძლოა მოიწონოს ადვოკატის ქცევა, ადვოკატს აღნიშნული არ აძლევს უფლებას კლიენტისათვის სასურველი შედეგს არა-

კანონიერი საშუალების გამოყენების გზით მიაღწიოს.[96] ადვოკატს არ აქვს უფლება იმოქმედოს ეთიკური ვალდებულების საწინააღმდეგოდ და კონკრეტული შედეგის მიღწევისათვის გამოიჩინოს მსგავსი დაუდევრობა, რაც ხელყოფს კანონიერების პრინციპსა და ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობას.[97]

---

[96] საქმე N157/13, 2013 წლის 20 თებერვალი; დარღვევა: კლიენტის კანონიერი საშულებებით დაცვის უფლებამოსილება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c471f6612b5a.pdf/5c471f6612b5a.pdf

ეთიკის კომისია მოცემულ გადაწყვეტილებაში დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეზე Brandstetter v Austria გაკეთებულ განმარტებას, (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) რომლის თანახმად: „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში."

[97] ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე №010/10 დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად." https://gba.ge/pdf/5c59bf53684a9.pdf/010_10_22.07.2010%20kerdzo%20sarekomendacio%20barati.pdf

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში, საქმეზე №106/12 აღნიშნა: „... ხელმოწერის გრაფაში ნიმუშად დოკუმენტის ნამდვილი ავტორის ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია; ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება. სხვისი სახელით ხელმოწერილმა დოკუმენტმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან ხელმოწერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმომწერის ნების გამოვლენა. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის არასწორად გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს, როგორც ხელმომწერი პირისათვის, ასევე იმ პირისათვის, ვისი სახელითაც განხორციელდა ხელმოწერა... ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ გონივრულ ფარგლებში წინდახედულების საზომით მოქმედება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა და ამ საკითხისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება მოეთხოვება ადვოკატს."

8.6 კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

8.6. ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

8.6.1 საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება

ეთიკის კოდექსი სავალდებულოდ არ განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტთან შეთანხმების წერილობით ფორმას, მაგრამ კომისიის შეფასებით, რეკომენდირებულია ადვოკატმა წერილობითი ხელშეკრულებით დაიწყოს კლიენტთან ურთიერთობა. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში ზუსტად მიეთითება ხელშეკრულების საგანი და ადვოკატის ვალდებულებები.[98]

ეთიკის კომისიის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება უპირობოდ უნდა გადაეცეს კლიენტს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კლიენტისგან ხელშეკრულების გადაცემის მოთხოვნა. ხელშეკრულება ადვოკატმა კლიენტს

---

https://gba.ge/pdf/5c4c373385822.pdf/5c4c373385822.pdf
ეთიკის კომისიამ 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებაში, საქმეზე №025/13 ასევე დაადგინა ადვოკატის მიერ შესაგებელზე კლიენტის სახელით ხელმოწერის შესრულება იმ დროს, როდესაც მასზე გაცემული არ იყო ამ კლიენტის მიერ მინდობილობა. კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ შესაგებელზე კლიენტის ნაცვლად მისი სახელისა და გვარის დაფიქსირებით ხელმოწერისას და ასეთი შესაგებლის სასამართლოში წარდგენისას, მარწმუნებელთა ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების შემთხვევაშიც, სახეზეა ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენება, მიუხედავად იმისა ეს ქმედება ექცევა თუ არა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო სფეროში. ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედება, კლიენტთა ნაცვლად შესაგებელზე ხელმოწერა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ეწინააღმდეგება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ უფლებას. https://gba.ge/pdf/5d71fdc7c175d.pdf/025_13_16.04.2014.pdf

[98] საქმე N015/16, 2017 წლის 3 აგვისტო, დადგინდა კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა https://gba.ge/pdf/5c62b548bad9C.pdf/015-16___03.08.2017%20kerzo%20sarekomendacio.pdf

უნდა გადასცეს დადებისთანავე, ან თუ არსებობს ობიექტური ხელისშემშლელი გარემოება, რაც ხელს უშლის ხელშეკრულების კლიენტისთვის დაუყოვნებლივ გადაცემას, ამ გარემოების აღმოფხვრისთანავე. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, მისი დადასტურების შემთხვევაშიც კი, რომ მხარეები ადვოკატის თანდასწრებით გაეცნენ ხელშეკრულებას და ამის შემდეგ მოაწერეს ხელი, რადგან შეუძლებელია, რომ მხარემ გონივრულად გაითვალისწინოს, რომ მეორე მხარე, მით უმეტეს, თუ ის მომხმარებელია, ზეპირად დაიმახსოვრებს რამდენიმე გვერდიან ხელშეკრულებას, რომელიც, როგორც წესი, შეიცავს სტანდარტულ პირობებს, რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლებისთვის სსკ-ის 343.1.ა მუხლის თანახმად. აღნიშნული ნორმა კომისიამ განმარტა იმგვარად, რომ კლიენტისთვის არამარტო ხელშეკრულების დადებისას, არამედ მისი მოქმედების განმავლობაშიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. კლიენტისთვის ხელშეკრულების მიწოდების ვალდებულება კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შემადგენელი ელემენტია.[99]

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისთვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება.[100]

---

[99] საქმე 066/10, 2010 წლის 23 სექტემბერი; ადვოკატის მხრიდან დადგინდა ანაზღაურების გამოთვლის წესისა და განაკვეთის წინასწარ კლიენტთან შეთანხმების ვალდებულების, კლიენტის ინფორმირების ვალდებულების, საქმეზე უარი თქმის წესის დარღვევა, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c49d7dedf601.pdf/5c49d7dedf601.pdf

[100] იქვე

8.6.2 ინფორმაციის „სათანადოდ“ მიწოდების ვალდებულება

კლიენტის ინფორმირების ვალდებულებაUუშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.[101]

კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას ადვოკატი იმ შემთხვევაში ასრულებს, თუ:

კლიენტს ინფორმაციას აწვდის სათანადოდ, რაც გულისხმობს სწორი, სრული[102] ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად.

ადვოკატი უკავშირდება კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მისაწოდებლად, ასევე, კლიენტს არ უზღუდავს მასთან დაკავშირებას.[103]

---

[101] საქმე 074/10, 2011 წლის 28 იანვარი, დარღვევა: საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება https://gba.ge/pdf/5d8c96810e4e1.pdf/074.10%2028.01.2011%20gafrtxileba.pdf

[102] საქმე 096/14, 2015 წლის 22 ოქტომბერი; დადგინდა კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულების, საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c484f5ad6ba2.pdf/5c484f5ad6ba2.pdf

[103] ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N022/10 დაადგინა: „ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები.“ https://gba.ge/pdf/5c58272e399d2.pdf/5c58272e399d2.pdf

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N030/12 დაადგინა, რომ „ადვოკატი და კლიენტი შეიძლება შეთანხმდნენ კომუნიკაციის ისეთ ფორმაზე, რაც უზრუნველყოფს კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას. ასეთი ფორმა შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ თანამოსარჩელეების ან თანამოპასუხეების ინტერესების დაცვისას, ერთ-ერთი კლიენტის ინფორმირებას და მის მიერ ამ გზით სხვა კლიენტების ინფორმირებას. ბუნებრივია, კომუნიკა-

კლიენტის მოთხოვნაზე ადვოკატმა აცნობოს საქმის მიმდინარეობა, საქმის შესახებ ზოგადი განმარტება და დაიმედება, რომ ყველაფერი კარგად იქნება, არ მიიჩნევა კლიენტის ინფორმირებად. კომისიის შეფასებით, პროფესიული საქმიანობისას კლიენტის ინტერესებისადმი ადვოკატის ამგვარი დამოკიდებულება არის გულგრილობა საქმისადმი.[104]

საქმე N069/18, 2019 წლის 23 აპრილი[105]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა[106]

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის ფარგლებშიც ადვოკატმა

ციის შეთანხმებული ფორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებს.“ https://gba.ge/pdf/5c4c56c3632f6.pdf/5c4c56c3632f6.pdf

[104] საქმე N054/13, 2014 წლის 21 მარტი, ადვოკატმა საქმის წარმოებისა და საქმის მასალების, კლიენტთან შეთანხმების გარეშე, სხვა ადვოკატისთვის მინდობით, დაარღვია როგორც ინფორმაციის მიწოდების, ისე ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება. https://gba.ge/pdf/5c471fcce4137.pdf/5c471fcce4137.pdf

დამატებით იხილეთ საქმე N033/17, 2018 წლის 3 დეკემბერი, სადაც კომისიამ დაადგინა ინფორმირების ვალდებულების დარღვევა

[105] https://gba.ge/pdf/5e3156414fff2.pdf/069.18%2023.04.2019%20%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D.pdf

[106] ადვოკატის მიმართ კომისიამ გამოიყენა სახდელის ფორმა – გაფრთხილება, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე Nსსდ-24-19, შეიცვალა კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში და ადვოკატის მიმართ სასამართლომ პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

კლიენტს გაუწია შეთანხმებული მომსახურება, თუმცა მხარეებს შორის გართულდა ურთიერთობა. პარალელურად, ადვოკატმა საოლქო პროკურატურიდან მიიღო წერილობითი პასუხი, რომლის მიხედვით კლიენტის საქმეზე გამოძიება შეწყდა. აღნიშნული წერილობითი პასუხის მიღება ადვოკატმა კლიენტს არ აცნობა და არც დოკუმენტი გადასცა, რადგან მათ შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ დარღვეულად მიიჩნია ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატმა თავად განმარტა, რომ ჩაიბარა პროკურატურის წერილობითი პასუხი და მხარეებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, ამის თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია. კომისიის შეფასებით, ადვოკატს უნდა ჰქონოდა კლიენტთან კომუნიკაციის მცდელობა ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მიუხედავად მათ შორის არსებული ურთიერთობისა, ვინაიდან კლიენტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საქმეზე მიღებული დოკუმენტი წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და მას უნდა გადაეცეს.

8.6.3 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების შეწყვეტის თაობაზე

კომისიის განმარტებით, პროფესიული ეთიკური ვალდებულება მოიცავს კლიენტისთვის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების გაწევას. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მის პროფესიულ სტატუსთან დაკავშირებული ყველა ვალდებულების შესრულება, მათ შორის საწევრო გადასახადის გადახდა, რათა ხელი არ შეეშალოს კლიენტის წარმომადგენლობაში. ადვოკატს ევალება საკუთარი საადვოკატო სტატუსის შესახებ ინფორმაციის ფლობა, გადამოწმება, ამის თაობაზე კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება. კლიენტის დროული

ინფორმირება აუცილებელია იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთარი ინტერესების დასაცავად და არიდებული იქნეს ადვოკატის გარეშე საქმის წარმოების რისკი.[107]

8.6.4 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას

ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს უპირობო, ნათელი და დროული, რომ არ დაირღვეს უწყვეტი დაცვის პრინციპი ან კლიენტს არ დარჩეს იმედი, რომ ადვოკატი გააგრძელებს მის მომსახურებას და არ არის სხვა ადვოკატის აყვანის აუცილებლობა.[108]

ადვოკატის უფლება-მოვალეობები არ სრულდება საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული მოქმედების შესრულებისთანავე, მას ევალება კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია მისი, როგორც ადვოკატის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.[109]

საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტის განსაზღვრა ზეპირად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში განსაკუთრებით რთულია. რეკომენდირებულია, რომ საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ზეპირად დადების შემთხვევაში, ადვოკატმა, როგორც სამართლებრივი განათლებისა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე პირმა, ურთიერთობის შეწყვეტისას, სულ მცირე, უზრუნველყოს კლიენტის საბოლოო პოზიციის წერილობითი ასახვა ან მიღება-ჩაბარების

---

[107] საქმე 052/13, 2014 წლის 23 ივნისი, დაირღვა საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება https://gba.ge/pdf/5c5c280109e1f.pdf/052_13_23.06.2014-%20gafrtkhileba.pdf

[108] საქმე N074/11, 2012 წლის 09 იანვარი https://gba.ge/pdf/5c4722373507e.pdf/5c4722373507e.pdf

[109] იქვე

აქტის შედგენა წერილობითი ფორმით, რაც შემდგომში დაადასტურებს მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობისა და შეწყვეტის ფაქტს.[110]

კომისიამ განმარტა, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქმის არაპერსპექტიულობის თაობაზე და ამ საფუძვლით კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის კლიენტისთვის დროული მიწოდება, მით უფრო მაშინ, როდესაც კლიენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე სამართლებრივი მოქმედების განხორციელება შეზღუდულია კონკრეტული ვადით და არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ვეღარ შეძლებს საკუთარი უფლებების რეალიზაციას.[111]

საქმე N141/18, 2019 წლის 15 ივლისი[112]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი

---

[110] საქმე N050/16, 2018 წლის 19 აპრილი; დადგინდა კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა https://gba.ge/pdf/5c62ac2526465.pdf/050.16%2019.04.18%20kerZo%20sarekoemndacio..pdf

[111] საქმე N027/11, 2011 წლის 20 აგვისტო; დარღვევა: ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება; შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი
https://gba.ge/pdf/5c4837a7a52f3.pdf/5c4837a7a52f3.pdf
ადვოკატმა კლიენტს ინფორმაცია მისი საქმის უპერსპექტივობისა და ამ საფუძლით მისი მომსახურების შეწყვეტის შესახებ არაგონივრულ ვადაში მიაწოდა, კერძოდ, ადვოკატისთვის დოკუმენტების დატოვებიდან ერთ წელში, რა დროსაც გასული იყო კლიენტის უფლებების რეალიზაციის ვადა. მოცემული ქცევით ადვოკატმა დაარღვია კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, არ მისცა კლიენტს საშუალება დროულად მიემართა სხვა ადვოკატისთვის.

[112] https://gba.ge/pdf/5f719a4867443.pdf/141.18%20kerdzo%20sarekomendacio%20barati%2015.07.2019.pdf

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატმა პირველ ინსტანციაში სისხლის სამართლის საქმის დასრულების შემდეგ ჩაიბარა განაჩენი და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ კლიენტს დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას სხვა ინსტანციებში ვეღარ წარმოადგენდა. აღნიშნულის გამო კლიენტმა, რომელსაც მოლოდინი ჰქონდა, რომ ადვოკატი გაასაჩივრებდა განაჩენს, გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. სასამართლომ გასაჩივრების ვადა ათვალა ადვოკატის მიერ კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ და სააპელაციო სასამართლომ კლიენტის საჩივარი დატოვა განუხილველი გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის განმარტებით, კლიენტის ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულება უმნიშვნელოვანესია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში, რადგან ინფორმირებით კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა სრულყოფილად ჩაერთოს თავისი საქმის განხილვის პროცესში და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ადვოკატმა, კლიენტთან ურთიერთობის დაწყების ეტაპიდანვე უნდა განსაზღვროს კომუნიკაციის რა ფორმას გამოიყენებს კლიენტთან და მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტის ინფორმირება ისეთ საკითხებზე, რომელიც არსებითად უკავშირდება კლიენტის საქმის შედეგს. ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კლიენტის ინტერესების დასაცავად, არამედ, ასევე ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გასაღრმავებლად. ამასთან, კომისიამ განმარტა, რომ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი აწევს ადვოკატს.

კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს არ სურდა გადაწყვეტილების გასაჩივრება ეკისრება ადვოკატს. ადვოკატს გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე წა-

რმოეშვა კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატს ან (1) არ უნდა ჩაებარებინა გადაწყვეტილება და განემარტა სასამართლოსათვის, რომ ის აღარ წარმოადგენდა საჩივრის ავტორის ინტერესებს და გადაწყვეტილება პირდაპირ მხარისთვის გაეგზავნათ; ან (2) უმოკლეს ვადებში უნდა ეცნობებინა ამის შესახებ მისი ყოფილი კლიენტისათვის და განემარტა გასაჩივრების ვადები და პროცედურები.

კომისიის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს არ ჰქონდა ვალდებულება გაეგრძელებინა კლიენტის საქმის წარმოება სააპელაციო წესით, მას კლიენტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, უნდა ჩაებარებინა კლიენტისათვის, რათა იგი ყოფილიყო ინფორმირებული და მას ჰქონოდა გონივრული ვადა უფლებების დასაცავად მიემართა სხვა ადვოკატისათვის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.7).

8.6.5 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარისთვის (რომელიც არ არის კლიენტი)

კლიენტს წარმოადგენს პირი, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი. კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას, აღნიშნული პირი წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც ევალება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მაგრამ ადვოკატს ვალდებულები უშუალოდ წარმოეშვება იმ პირის მიმართ, ვისი დაცვაც უნდა განახორციელოს ამ ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისად, ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობად ითვლება ადვოკატისა და იმ პირის ურთიერთობა, უშუალოდ ვისი სახელითაც მოქმედებს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.[113] ეთიკის

[113] საქმე N029/11, 2011 წლის 09 ივლისი, დარღვევა: კონფიდენციალობის პრინციპი, შედეგი: დისციპლინური წარმოების შეწყვეტა https://gba.ge/pdf/5c4c47fbd8450.pdf/5c4c47fbd8450.pdf

კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ „პროფესიული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად, ადვოკატს ვალდებულებები ეკისრება კლიენტის წინაშე და ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მისი საქმის წარმოებასთან არის დაკავშირებული, უშუალოდ მას უნდა შეუთანხმოს, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე ინფორმირებულია თავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.“[114] [115]

საქმე N074/17, 2018 წლის 30 ივლისი[116]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი შეუთანხმდა ქ. ხ.-ს, რომ დაიცავდა მისი მეუღლის ი. კ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში. შეთანხმების თანახმად, ადვოკატს დაევალა პენიტენციურ დაწესებულებაში კლიენტთან კომუნიკაცია.

ადვოკატმა კლიენტის დაცვის განხორციელება შეწყვიტა უშუალოდ კლიენტის ინფორმირების გარეშე, ინფორმაცია მიაწოდა საქმის განმხილველ მოსამართლეს და საადვოკატო

---

[114] საქმე N111/13, 2014 წლის 29 მარტი; დადგინდა კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა https://gba.ge/pdf/5c47205baf953.pdf/5c47205baf953.pdf

[115] ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, საქმეზე N109/12 დაადგინა კლიენტის ინფორმირების მოვალეობის დარღვევა, ვინაიდან ადვოკატმა კლიენტის მომსახურება შეწყვიტა კლიენტის ოჯახის წევრების მოთხოვნით, კლიენტის ინფორმირების გარეშე შეხვდა მათ და გადასცა კლიენტისგან მინდობილი თანხა. https://gba.ge/pdf/5d230ac28315b.pdf/109.12%2010.02.2014%20gafrtxileba,%20etikis%20komisia.pdf

[116] https://gba.ge/pdf/5c6293391b988.pdf/074-17%20%20%20%2012.04.18%20%20%20%20kerZo%20sarekomendacio%20barati.pdf

მომსახურების ხელშეკრულების მხარეს, კლიენტის მეუღლეს. კლიენტს, ი. კ.-ს, ადვოკატის საქმიდან გასვლის შესახებ ინფორმაცია პირადად ადვოკატისგან არ მიუღია. ადვოკატის მიერ ი. კ.-ის საადვოკატო მომსახურების განმავლობაში და მომსახურების შეწყვეტის დროისთვის ი. კ.-ის ინტერესებს იმავე სისხლის სამართლის საქმეზე იცავდნენ სხვა ადვოკატებიც.

სამართლებრივი შეფასება

დაცვის განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება – დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშვება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი. სსსსკ-ის 41-ე მუხლის მიხედვით, „ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.“ ზეპირი ფორმით დადებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ ადვოკატი და მისი კლიენტის მეუღლე.

ადვოკატმა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება შეწყვიტოს იმ პირობებსა და გარემოებებში, როდესაც ადვოკატმა აღნიშნულის თაობაზე ნათლად განუმარტა კლიენტს და დაასრულა მასთან ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა, მათ შორის კლიენტთან შეთანხმებით ან მისი მეშვეობით უნდა გაუქმდეს ყველა სამა-

რთლებრივი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ადვოკატის ვალდებულებები კლიენტის მიმართ.[117]

კლიენტის მეუღლე წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს და კლიენტთან ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროისათვის. მხარეთა შეთანხმების თანახმად, ადვოკატი ახორციელებდა ი. კ.-ის ინტერესების დაცვას, რაც გამოიხატებოდა მასთან პენიტენციურ დაწესებულებაში კომუნიკაციასა და ინფორმაციის მიწოდებაში. შესაბამისად, კლიენტად მიიჩნეოდა ი. კ. და ადვოკატს კლიენტის მიმართ გათვალისწინებული პროფესიული ვალდებულებების დაცვა უშუალოდ კლიენტის წინაშე ეკისრებოდა.

ადვოკატმა კლიენტის მომსახურების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელშეკრულების მხარეს და კლიენტის მეუღლეს მიაწოდა, თუმცა კომისიის შეფასებით, ადვოკატს ევალებოდა შეხვედროდა კლიენტს და პირადად მისთვის განემარტა საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის მოტივი და კლიენტთან შეეთანხმებინა გადაწყვეტილება.

კომისიის განმარტებით, ადვოკატი და კლიენტი შესაძლოა შეთანხმდნენ კომუნიკაციის გარკვეულ ფორმაზე, რაც უზრუნველყოფს კლიენტის ინფორმირებას. ასეთი ფორმა შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარის ინფორმირებას და ამ გზით აგრეთვე კლიენტის ინფორმირების უზრუნველყოფას. კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია თავისი არსით ისეთი მნიშვნელობის ინფორმაციაა, რომლის კლიენტთან მისვლაშიც და კლიენტის მიერ ამ ინფორმაციის სათანადოდ გაცნობაში უნდა დარწმუნდეს ადვოკატი. სხვა შემთხვევაში, თუ კლიენტი სასამართლოსგან შეიტყობს, რომ ადვოკატი მას აღარ იცავს, შეიძლება დაეკარგოს ნდობა არა-

[117] საქმე N047/12, 2012 წლის 13 დეკემბერი; დარღვეულად დადგინდა კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის წესი; შედეგი – გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c4837cdaddfb.pdf/5c4837cdaddfb.pdf

მარტო კონკრეტული ადვოკატის, არამედ ადვოკატის პროფესიის მიმართ. შესაძლოა ადვოკატს ხელშეკრულების მხარის ინფორმირების დროს ევარაუდა, რომ ინფორმაცია მიუვიდოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, თუმცა ადვოკატს უნდა მიეღო ზომები, რათა დარწმუნებულიყო კლიენტის მიერ ინფორმაციის მიღებაში და ინფორმაციის სათანადოდ მიუღებლობის შემთხვევაში შესაძლო ზიანის თავიდან აცილებისთვის, რაც ადვოკატს არ განუხორციელებია.

8.7 კლიენტის მომსახურებაზე უარის თქმა

8.7. ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

გონივრული ვადა კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე

წერილობითი რეკომენდაცია N008/19, 2019 წლის 22 ნოემბერი[118]

შეკითხვა: ადვოკატს სურს შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა საქმის სასამართლოში წარმოების ეტაპზე. კერძოდ, კლიენტის დაზუსტებული სარჩელი უნდა ჩაბარდეს მოპასუხეს. ადვოკატს აინტერესებს რამდენად დაიცავს იგი ურთიერთობის შეწყვეტის წესს ასეთ დროს.

ანალიზი: კლიენტის საქმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმ გონივრული ვადის განსაზღვრა, რაც ახალი ადვოკატის საქმეში ჩართვის შესაძლებლობას უზრუნველყოფს ისე, რომ თავიდან იქნება აცილებული კლიენტის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს საქმე

[118] https://gba.ge/pdf/5e28057a8322d.pdf/008.19%20werilobiti%20rekomendacia%2022.11.19.pdf

მარტივი კატეგორიისაა თუ რთული, რაც ერთ-ერთი ინდიკატორია ახალი ადვოკატის აყვანამდე გონივრული ვადის განსაზღვრისთვის. როდესაც საქმე მარტივი კატეგორიისაა, შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს სულ ცოტა ორი კვირა პროცესის დანიშნულ დღემდე ან სხვა საპროცესო მოქმედებამდე, რასაც კლიენტი ახალი ადვოკატის მოძიებისთვის, ხოლო ახალი ადვოკატი საქმის გაცნობისთვის გამოიყენებს. რთული კატეგორიის საქმისთვის შედარებით დიდი პერიოდი იქნება საჭირო, როგორც ადვოკატის მოძიებისთვის, ისე ახალი ადვოკატის მიერ საქმის გაცნობისთვის.

კომისიის შეფასებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გონივრული ვადა საქმის სირთულის, საქმეზე მოპოვებული მასალის მოცულობის, კლიენტის გათვითცნობიერებულობის, საქმის წარმოების ეტაპის, და სხვა გარემოებების მიხედვით არის შესაფასებელი. შესაძლოა რთული კატეგორიის საქმეებში ის 2 თვესაც შეადგენდეს, ასევე არ იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ ადვოკატმა უარი უთხრას კლიენტს კერძო, სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის წარდგენაზე კანონში განსაზღვრული მცირე საპროცესო ვადების გათვალისწინებით და ა.შ.

დისციპლინურ საქმეში კომისიამ იმსჯელა თუ რამდენად იყო ადვოკატის მიერ დაცული „გონივრული ვადა" კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე.[119] გონივრული ვადის შეფასებისას, კომისიამ მხედველობაში მიიღო ის დრო, რომელიც საკმარისი იქნება კლიენტის მიერ ახალი ადვოკატის მოსაძიებლად და ამ ახალი ადვოკატის მიერ საქმის გასაცნობად. „ორივე ფაქტორის გათვალისწინება არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ახალი ადვოკატის ჩართულობისა და საქმის გაცნობის მოტივით სხდომის გადადება არ წარმოადგენს მოსამართლის ვალდებულებას, ეს მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილებაა. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ სასამართლომ ამ მოტივით არ გადადოს სხდომა, ყოველთვის არსებობს. აქედან გამომდინარე,

[119] საქმე N026/17, 2015 წლის 22 მაისი https://gba.ge/pdf/5e17077c7f495.pdf/026-17%2022.05.18%20gafrtxileba.pdf

ეს რისკი, რომელმაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს კლიენტის ინტერესებს და შეუზღუდოს მას დაცვის უფლებით სარგებლობა, ადვოკატმა არ უნდა გაწიოს... მოცემულ შემთხვევაში, კოლეგიამ მიიჩნია, რომ სამდღიანი ვადა არ შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის ინიციატივით სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისათვის დადგენილ გონივრულ ვადად.

მომსახურების შეწყვეტისას, ადვოკატმა მასთან არსებული საქმის მასალები არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა დაუბრუნოს კლიენტს, მისი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების, მათ შორის, ახალი ადვოკატის მიერ საქმის გაცნობის ხელშეწყობის მიზნით.

დასკვნა: ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია, როდესაც კლიენტს აქვს საკმარისი დრო ახალი ადვოკატის ასაყვანად. მარტივი კატეგორიის საქმეებზე გონივრული დრო შეიძლება იყოს ორი კვირა, თუმცა რთული კატეგორიის საქმეებზე გაცილებით მეტი ვადა შეიძლება იყოს საჭირო, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს. ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი მომსახურების საზღაური.

8.8; 8.9 ადვოკატის ჰონორარი; საქმის წარმოებაზე უარი

8.8. ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. (08.12.2012)

8.9. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.

დისციპლინურ საქმეში, სადაც ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია მისი ანაზღაურების გამოთვლის წესისა და

შესაბამისი განაკვეთის, მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კომისიამ დაადგინა კლიენტის საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისა და გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა.[120]

პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს არა მხოლოდ ჰონორარის ოდენობის მითითებას, არამედ იმის განსაზღვრასაც, თუ როგორ გამოითვლება ეს ოდენობა. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ადვოკატის მიერ შეთავაზებული ჰონორარის ექვივალენტური მომსახურების ფარგლებს.[121]

ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმები ავალდებულებს წინასწარ განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და გაანგარიშების წესი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს. დაუშვებელია ადვოკატმა მიუთითოს ჰონორარის ოდენობა და არ განუმარტოს კლიენტს მომსახურების ფარგლები, რომლისთვისაც განსაზღვრა ადვოკატმა მითითებული ჰონორარი. ამასთან, ადვოკატმა ცალკე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. ადვოკატმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და მისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს მოსალოდნელი ხარჯების ოდენობა, რადგან ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას, ხოლო ხარჯების სახით კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხა წარმოდგენს კლიენტის და არა ადვოკატის საკუთრებას, რის გამოც ამ თანხების – მინდობილი თანხების მიმართ ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ვალდებულებებს აწესებს ადვოკატისათვის.[122]

---

[120] საქმე N011/18, 2019 წლის 10 იანვარი; შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5d3ed7b8cff41.pdf/011.18%2010.01.19%20gafrtxileba.pdf

[121] იქვე

[122] საქმე N125/18, 2018 წლის 13 ნოემბერი, ადვოკატის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის მე-3, 8.5, 8.6, 8.8, 8.12, 8.13, 8.15 ნაწილების შესაძლო დარღვევის გამო, დისციპლინური წარმოება მიმდინარეა

ადვოკატს პროფესიული რეგულაცია ავალდებულებს, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოხმარდება კლიენტის მიერ გადახდილი თანხა... კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს წინასწარ მოაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და შემდეგ წარუდგინა ანგარიშგება, ეკისრება ადვოკატს.[123]

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ უცხოურ ვალუტაში მომსახურების საზღაურის მიღება კანონიერების ფარგლებში მოქმედებისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევად მიიჩნია და განმარტა, რომ დაუშვებელია ადვოკატმა არა მხოლოდ ანგარიშსწორება განახორციელოს, არამედ მომსახურება შესთავაზოს კლიენტს უცხოურ ვალუტაში. ადვოკატებმა მათ მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარი უნდა განსაზღვრონ ეროვნულ ვალუტაში – ლარში. მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34.21).[124]

ადვოკატს პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკისრებს კანონიერების ფარგლებში მოქმედებისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 3(ა), 5(ა), 6.1). კანონის ფარგლებში კლიენტის ინტერესების დაცვა გულისხმობს კანონის შესაბამისად მოქმედებას; შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში ფასის შეთავაზებასა და ანგარიშსწორებასთან იმ აკრძალვების გათვალისწინებას, რასაც საქართველოს კანონმდებლობა

[123] საქმე N084/13, 2018 წლის 16 ოქტომბერი; დარღვევა: მომსახურების საზღაურის ოდენობისა და გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის წინასწარ ინფორმირება; შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5cb586a8ee7aa.pdf/085.13%2016.10.18,%20kerzo.pdf

[124] საქმე N011/18, 2019 წლის 10 იანვარი; შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5d3ed7b8cff41.pdf/011.18%2010.01.19%20gafrtxileba.pdf

აწესებს. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფასის შეთავაზებას და ანგარიშსწორებას უცხოურ ვალუტაში თავად კლიენტი – საჩივრის ავტორი ითხოვდა, ადვოკატს მაინც უნდა დაეცვა კანონის მოთხოვნები და ანგარიშსწორება განეხორციელებინა ეროვნულ ვალუტაში, რადგან კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე, მათ შორის კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობაზე მაღლა დგას.[125]

ჰონორარის ადვოკატისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში ეთიკურად ითვლება ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმა იმ დათქმის გათვალისწინებით, რომ კლიენტი ადვოკატმა არ უნდა დატოვოს უძლურ მდგომარეობაში, როდესაც იგი მოკლებულია შესაძლებლობას დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი ფართოდ უნდა განიმარტოს და საქმეზე უარის თქმის უფლება ადვოკატისთვის ჰონორარის გადაუხდელობის გარდა, უნდა გავრცელდეს საქმის წარმოების ხარჯების გადაუხდელობის შემთხვევაზეც, თუ ადვოკატს კლიენტი წინასწარ ჰყავდა ინფორმირებული მოცემული ხარჯების გადახდის შესახებ.[126]

8.10 ადვოკატის რეკომენდირებისათვის კომპენსაციის გადახდის/მიღების დაუშვებლობა

8.11 საქმის მინიმალური დანახარჯებით წარმოების ვალდებულება

10. ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის

---

[125] იქვე

[126] საქმე N032/17, 2017 წლის 20 ოქტომბერი; სავარაუდო დარღვევა: საქმის წარმოებაზე უარი https://gba.ge/pdf/5c471847bf2b9.pdf/5c471847bf2b9.pdf

დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს.(08.12.2012)

11. ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. (08.12.2012)

ადვოკატის მხრიდან რეკომენდირების გადასახადის გადახდის აკრძალვა ეხება არა მხოლოდ გადასახდის, საკომისიოს ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაციის გადახდას, არამედ აღნიშნულის დაპირებას და/ან შეთავაზებასაც. კომპენსაციის გადახდის აკრძალვა მოიცავს, რომ რეკომენდატორ პირს ადვოკატი არ უნდა დაპირდეს არანაირ ქონებრივ სარგებელს. ამ შემთხვევაში ნორმა მოიცავს არა მარტო ქმედებას, არამედ ამ ქმედების დაპირებას, იმის მიუხედავად, შემდგომში შეასრულა თუ არა ადვოკატმა აღნიშნული ქმედება.[127]

„ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაციის“ გადახდის შეპირებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ადვოკატმა აღნიშნული რეკომენდაციის სანაცვლოდ საჩივრის ავტორს შესთავაზა, რომ მიყვანილი კლიენტისაგან საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული ჰონორარიდან გადაუხდიდა მას იმ თანხას, რომლის დაბრუნებასაც სთხოვდა ყოფილი კლიენტი. მოცემული ქცევით ადვოკატმა დაარღვია რეკომენდირების გადასახადის გადახდის აკრძალვის პრინციპი.[128]

---

[127] საქმე N047/11, 2011 წლის 18 ოქტომბერი; სავარაუდო დარღვევა: რეკომენდირების გადასახადის გადახდის აკრძალვა, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის, დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტის პრინციპები https://gba.ge/pdf/5c4c54547df21.pdf/5c4c54547df21.pdf

[128] იქვე

საქმეში, სადაც ადვოკატმა პირადი ინტერესიდან გამომდინარე მოწინააღმდეგე მხარესთან კლიენტის ინფორმირების გარეშე აწარმოა მოლაპარაკება, რითიც კონკურენცია გაუწია კლიენტს და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა, კომისიამ განმარტა: „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას, გამოიყენოს მხარეების მორიგების შესაძლებლობა, რათა დავის მინიმალური დანახარჯებით აწარმოოს კლიენტის საქმე".[129]

ადვოკატის ვალდებულება შეეცადოს საქმე მინიმალური დანახარჯით გადაწყვეტოს ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც დავის მოგვარების ხარჯიან და ნაკლებად ხარჯიან გზას შორის ადვოკატი კლიენტის ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე ირჩევს ხარჯიან გზას.[130]

8.12 კლიენტის ფულადი სახსრების ჩანაწერი

8.12. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.

ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა. ეს ნორმა აწესებს ადვოკატის ვალდებულებას აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას.[131]

---

[129] საქმე N094/11, 10 აპრილი, 2012 წელი; დარღვევა: კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოების პრინციპი, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ინფორმაციის კონიდენციალურად დაცვის ვალდებულება https://gba.ge/pdf/5c47284380180.pdf/5c47284380180.pdf

[130] იქვე

[131] https://gba.ge/pdf/5d3ed7b8cff41.pdf/011.18%2010.01.19%20gafrtxileba.pdf

კლიენტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი იმ თანხის მიზნობრიობა, რასაც ის ადვოკატს გადასცემს. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადაცემულ ყველა თანხასთან დაკავშირებით და კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებზე ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის" წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრების, საგადასახადო დავალებები, ცნობები და ა.შ.) სკურპულოზურად წარმოებას (მაგ. საგადასახდო დავალებაში გადამხდელის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემების, ასევე, გადახდის დანიშნულებაში: მაგ. კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის სარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟი, მართებულად მითითებას). აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას.[132]

ადვოკატის ქცევა, როდესაც ის არ აწარმოებს კლიენტისგან მიღებული თანხებისა და საქმის წარმოების ხარჯის შესახებ ჩანაწერებს, შეფასდება კლიენტის მიერ გადახდილი საქმის

---

[132] საქმე N007/16, 2016 წლის 25 ოქტომბერი, დადგინდა შემდეგი დარღვევები: კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესისა და განაკვეთის შესახებ კლიენტის წინასწარ ინფორმირების ვალდებულება, კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯების სრული და ზუსტი ჩანაწერის წარმოების ვალდებულება https://gba.ge/pdf/5c5826a50715e.pdf/5c5826a50715e.pdf

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით დს-შ/1-17 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/1-17; https://gba.ge/pdf/5c4c0f4db075e.pdf/5c4c0f4db075e.pdf

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/5-14; https://gba.ge/pdf/5c4c08f47e6ff.pdf/5c4c08f47e6ff.pdf

წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულების დარღვევად. ადვოკატის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოების შესახებ ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული კლიენტის მოთხოვნასთან. მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა, ადვოკატს საქმისწარმოების პროცესში ევალება აღნიშნული ფიდუციური ვალდებულების შესრულება.[133]

ეთიკის კომისიის განმარტებით, კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის" წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას.[134]

კომისიის შეფასებით, ადვოკატს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ის აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას და კლიენტს მისთვის გადაცემული თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ადვოკატს ვალდებულება აქვს ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს მოთხოვნისთანავე და კლიენტის ინფორმირება დაადასტუროს ეთიკის კომისიაში.[135]

---

[133] საქმე N125/18, 2018 წლის 13 ნოემბერი; ადვოკატის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის მე-3, 8.5, 8.6, 8.8, 8.12, 8.13, 8.15 ნაწილების შესაძლო დარღვევის გამო, დისციპლინური წარმოება მიმდინარეა

[134] საქმე N133/13, 2015 წლის 02 თებერვალი; დარღვევა: კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ადვოკატისთვის მინდობილი თანხის დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება, სასამართლოსთვის წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულების მიწოდების აკრძალვა, კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება https://gba.ge/pdf/5c484f79da0dd.pdf/5c484f79da0dd.pdf

[135] იქვე

8.13. კლიენტის ფულადი სახსრებისა და ქონების შენახვა და განკარგვა

8.13. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება.(08.12.2012)

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ იმისათვის, რათა დაცული იყოს კლიენტის ქონება და მასზე არ გავრცელდეს ადვოკატის პირადი ფინანსური ვალდებულებები, ადვოკატმა მინდობილი თანხები უნდა განათავსოს არა პირად, არამედ დამოუკიდებელ/ნეიტრალურ ანგარიშზე.[136]

მინდობილი ხარჯების განკარგვისას ადვოკატს განსაკუთრებული გულისხმიერება მართებს. კერძოდ, ადვოკატი ვალდებულია მართოს მინდობილი ხარჯები კეთილსინდისიერად და აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები განკარგვასთან დაკავშირებით. მინდობილი ხარჯები არ წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას და შესაბამისად, პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე, ადვოკატს ურთიერთობის შეწყვეტისას აკისრია მისი დაბრუნების ვალდებულება.[137]

ეთიკის კომისიამ კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება ფართოდ განმარტა და აღნიშნა, რომ იგი მოიცავს მესამე პირის მიერ ადვოკატისათვის კლიენტისათვის გადასაცემი თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვის, მისი კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულებასაც.[138]

---

[136] საქმე N011/18, 2019 წლის 10 იანვარი; შედეგი – გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5d3ed7b8cff41.pdf/011.18%2010.01.19%20gafrtxileba.pdf

[137] 052/16, 2018 წლის 8 მაისი; შედეგი – გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c62b68eee7cf.pdf/052.16%2008.05.2018%20gafrtxileba.pdf

[138] საქმე N054/11, 2011 წლის 21 ოქტომბერი; დარღვევა: პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება, კვალი-

საქმე №098/17, 2018 წლის 31 მაისი[139]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ადვოკატისთვის მინდობილი თანხის დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება, კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება, საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაუბრუნებლობა

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – გაფრთხილება

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი კლიენტს მომსახურების სახით უნდა დახმარებოდა უძრავი ქონების დაკანონებაში. ადვოკატმა კლიენტისგან საადვოკატო ჰონორარი სრული სახით, ასევე ხარჯის სახით გარკვეული ოდენობის თანხა მიიღო. ხარჯის სახით მიღებული თანხის საჭიროებების შესახებ ადვოკატმა დეტალური ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს; ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად მოამზადა აზომვითი ნახაზი, ელ. ვერსია და ორთოფოტო; საჯარო რეესტრში კლიენტთან ერთად ორჯერ წარადგინა დოკუმენტაცია და მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია; მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო

ფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახსრებისგან დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება https://gba.ge/pdf/5c4722ed9b6ef.pdf/5c4722ed9b6ef.pdf

139 https://gba.ge/pdf/5e6234d130cc0.pdf/098-18%2030.01.2019%20gafrtxileba.pdf

სამსახურისგან უძრავი ნივთის შესახებ სრული ინფორმაციის დედანში გაცნობა. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატს კლიენტის წინაშე აღებული ვალდებულება – უძრავი ნივთის დაკანონება, არ ჰქონდა ბოლომდე შესრულებული. ადვოკატმა არ აწარმოა კლიენტისგან მინდობილი თანხების მოხმარების ხარჯთაღრიცხვა. ადვოკატმა ხელშეკრულების შეწყვეტისას საადვოკატო ჰონორარის ნაწილი, რომელიც შესრულებული სამუშაოს პროპორციული ოდენობის მიღმა დარჩა, არ დაუბრუნა კლიენტს.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6). ამ ნორმის არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ კლიენტს წინასწარ უნდა მიეცეს საშუალება მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის წარმოების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს წინასწარ ექნება ინფორმაცია მისი საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, მას საშუალება მიეცემა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება: 1) გააგრძელოს თუ არა საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, 3) მოურიგდეს თუ არა მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები თუ მიმართოს სხვა კანონიერ საშუალებებს, თავისი უფლებების დასაცავად. შესაბამისად, მოცემული ნორმის დაცვა, ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც საპროცესო ეკონომიურობიდან, ასევე კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ადვოკატმა კლიენტს წინასწარ არ მიაწოდა ინფორმაცია საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, რითაც

კლიენტს არ მიეცა შესაძლებლობა მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის სამართლებრივი ბედის შესახებ. ადვოკატმა კლიენტს ხარჯის სახით დამატებით გამოართვა 300 (სამასი) ლარი, თუმცა არ განუმარტა კონკრეტულად რისთვის იყო გათვალისწინებული ეს ხარჯი, იყო ეს სახელმწიფო ბაჟის სახით შესატანი თანხის ოდენობა, დოკუმენტების თარგმნის, ნოტარიულად დამოწმების, სატრანსპორტო თუ სხვა ხარჯი, რომელიც კლიენტის საქმის წარმოებას უკავშირდებოდა. ადვოკატმა განმარტა, რომ თანხა კლიენტს გამოართვა სამომავლო საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს იყო ზოგადი სახის ხარჯი, რომელიც შესაძლოა მომავალში წარმოშობილიყო. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მიუხედავად არსებული ეთიკური ვალდებულებისა, მითითებული თანხის საჭიროებების შესახებ ადვოკატმა დეტალური ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს, რის გამოც ადვოკატმა დაარღვია აპეკ-ის 8.6 მუხლი.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მინდობილი თანხები წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მისი განკარგვა, რასაც აუცილებლად თან უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი). ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესები ადვოკატს ავალდებულებს განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს კლიენტის მიერ გადაცემულ ფულად სახსრებს (მინდობილ ხარჯებს) და არ განათავსოს ეს მინდობილი თანხები მის ფულად სახსრებთან ერთად (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი), ამავე ნორმაში მითითებულია ადვოკატის კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც მინდობილი ხარჯების კეთილსინდისიერად მართვას ითვალისწინებს. ამ ნორმის არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ ადვოკატის შესაძლო ფულადი ვალდებულები არ უნდა გავრცელდეს კლიენტის თანხებზე (მინდობილ თანხებზე), რადგან ეს არ არის ადვოკატის აქტივი.[140]

[140] კომისია გადაწყვეტილების დასაბუთებისას დაეყრდნო 2012 წლის 02

ადვოკატი არ აწარმოებდა მინდობილი თანხების ხარჯთა-ღრიცხვას, რის გამოც კლიენტს არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა ინფორმაციას მისი კუთვნილი თანხების განკარ-გვასთან დაკავშირებით. კლიენტმა მოსთხოვა ადვოკატს ქვი-თრების წარმოდგენა იმის დასადგენად თუ რაში დახარჯა ად-ვოკატმა გადაცემული თანხა, თუმცა ადვოკატს მისთვის ქვი-თრები არ წარუდგენია და მხოლოდ იუსტიციის სახლიდან ამო-ღებული საბუთები დაუბრუნა. შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი.

ადვოკატმა კლიენტის მიერ ხარჯის სახით გადაცემული თა-ნხა არ განათავსა ცალკე, მისი ფულადი სახსრებისაგან დამო-უკიდებლად, რითიც დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთი-კის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი.[141]

ივლისის გადაწყვეტილებას, საქმე N003/12, სადაც არაეთიკურად შეფასდა ადვოკატის ქცევა, როდესაც ადვოკატმა მიღებული სახელმწიფო ბაჟის თანხა, რომლის გადახდის საჭიროებაც აღარ დადგა, არ დაუბრუნა კლი-ენტს და განმარტა, რომ თანხა მასთან ინახებოდა და კლიენტს ნებისმიერ დროს შეეძლო დაებრუნებინა. კომისიამ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გადასაცემი თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუ-კიდებლად შენახვის, მისი კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულების დარღვევა დაადგინა და განმარტა, რომ ად-ვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოა-დგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ად-ვოკატისთვის, ამ უკანასკნელისთვის წარმოშობს ვალდებულებას მინდო-ბილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გა-მოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობი-ექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებუ-ლებებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგ-ლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველივე შესაძლებ-ლობისთანავე ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გა-რეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების გასახორციელებლად გადამისა-მართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებული თანხა კლიენტს ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ დაუბრუნა. https://gba.ge/pdf/5c472298b5467.pdf/5c472298b5467.pdf

[141] გადაწყვეტილებით ასევე დადგინდა საზღაურის სახით მიღებული

საქმე N096/18, 2019 წლის 6 ივნისი[142]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: ადვოკატისთვის მინდობილი ქონების დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური წარმოების შეწყვეტა

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი კლიენტს საადვოკატო მომსახურებას სამეზობლო დავაზე უწევდა. კლიენტმა ადვოკატს მიანდო მისი ქონება – ავტომანქანა. უშუალოდ მანქანა არ იყო დავის საგანი, თუმცა აღნიშნული მანქანის გაყვანა სასამართლოს ეზოდან ადვოკატის აზრით სასარგებლო იქნებოდა კლიენტის პოზიციისთვის, კერძოდ „სიტუაციის განმუხტვისთვის". კლიენტმა სთხოვა ადვოკატს, რომ ზეთი შეეცვალა მანქანაში ადვოკატის ძმის სახელოსნოში, რისთვისაც წინასწარ გადასცა ზეთის შეცვლის ხარჯი. აღნიშნული ადასტურებს კლიენტის ინტერესს – მანქანის ექსპლუატაციაში, ვარგის მდგომარეობაში მოყვანას. ამასთან, კლიენტი არ შეთანხმებია ადვოკატს მის და მისი ძმის მიერ მანქანით სარგებლობაზე. გარკვეული პერიოდი ადვოკატის ძმა მართავდა მანქანას. ავტომობილი დაზიანდა, რაც მხარეებმა დაადასტურეს. მოგვიანებით ადვოკატსა და კლიენტს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ადვოკატის მფლობელობაში მყოფ კლიენტის ავტომობილზე, თუმცა კლიენტმა ეთიკის კომისიაში სადავოდ გახადა ადვოკატის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.

ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაუბრუნებლობა. მოცემული სტანდარატი განხილულია 8.15 თავში.

[142] https://gba.ge/pdf/5df0cda54085b.pdf/096.18%2006.06.19%20%20%20shewyveta.pdf

სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიის პოზიცია: იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი კლიენტის ნების გარეშე, მის კუთვნილ ავტომანქანას ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა, შესაძლოა, დარღვეული ყოფილიყო მინდობილი ქონების კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება.

კომისიის განმარტებით, ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია, რომ კლიენტმა მიანდოს ქონება ადვოკატს და ეს მინდობა უკავშირდებოდეს ადვოკატის მიერ თავისი პროფესიული ფუნქციის განხორციელებას. ნორმის გამოყენების წინაპირობების დადგენა შედარებით მარტივია, როდესაც ქონება უშუალოდ დავის საგანია, ან უკავშირდება დავის საგანს. წინაპირობების შემოწმება უფრო რთულია, როდესაც ქონება არ არის დავის საგანთან კავშირში.

ადვოკატს ბუნებრივად აქვს კლიენტის მხრიდან მაღალი ნდობა. ადვოკატისადმი ნდობა შეიძლება განაპირობებდეს, როგორც საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას კლიენტის მხრიდან, ასევე საადვოკატო მომსახურების გარეთაც ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ასეთი სპეციფიკური ნდობის არსებობის გარეშე, არ იქნებოდა მიღებული კლიენტის მხრიდან. ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს, ადვოკატისათვის ქონების მინდობა, რომელსაც უცხო პირს, შესაბამისი სახელშეკრულებო დაცვის გარეშე კლიენტი არ მიანდობდა.

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ქონების ცალკე შენახვის ვალდებულება ვერ იქნება შესრულებული, როდესაც ადვოკატი ან მისი ახლო ნათესავი ამ ქონებით გადაადგილდება პირადი საჭიროებისთვის კლიენტისგან თანხმობის მიღების გარეშე. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ადვოკატმა დაარღვია მინდობილი ქონების ცალკე შენახვის ვალდებულება.

შედეგად, როდესაც ქონება უშუალოდ არ არის დავის საგანი, იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად გამომდინარეობს ან

დაკავშირებულია ქონების მინდობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობასთან, შესაძლოა ლოგიკური უარყოფის კონსტრუქციის გამოყენება: მიანდობდა კლიენტი ადვოკატს ქონებას იმ პირობებში, როდესაც ეს პირი არ იქნებოდა მისი ადვოკატი და შესაბამისად, ნდობით აღჭურვილი პირი, სხვა წინაპირობების არარსებობისას, როგორიც შეიძლება იყოს ახლო ნათესაობა, მეგობრობა, პროფესიული საქმიანობა, რომელიც ქონების მართვას ან შენახვას უკავშირდება? თუ შეკითხვაზე პასუხია არა, ეს ნიშნავს, რომ კლიენტის ქონების მინდობით ადვოკატს წარმოეშვება აპეკ-ის 8.13 მუხლიდან გამომდინარე შემდეგი პროფესიული ვალდებულებულებები ქონებასთან მიმართებით: ცალკე შეინახოს ქონება და მართოს ის კეთილსინდისიერად. ამ შემთხვევაში, მინდობილი ქონების მდებარეობა კავშირში იყო დავის საგანთან. შედეგად, ადვოკატს წარმოეშვა აპეკ-ის 8.13 მუხლიდან გამომდინარე პროფესიული ვალდებულებები.

კომისიამ განმარტა, რომ მანქანის დაზიანების ხარისხის შეფასება, მანქანის დაზიანების შემდეგ მხარეებს შორის მიღწეული ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მისი შესრულების შეფასება სცდება კომისიის კომპეტენციას, რადგან აღნიშნული არ არის დარეგულირებული აპეკ-ით. შესაბამისად, კომისიამ შეაფასა მხოლოდ ის გარემოება, რამდენად იყო შესრულებული ქონების ცალკე შენახვის და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება ადვოკატის მიერ.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ კლიენტის ავტომანქანით გადაადგილების მიზანი მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარეობდა, რადგან ავტომანქანა დიდხანს დგომისგან იყო გაუმართავი. თუმცა, ეს მიზანი ვერ ხსნიდა მინდობილი ქონებით არამართლზომიერი მოქმედების – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საჭიროებას, თუნდაც ავტომანქანით გადაადგილება ყოფილიყო ქონების კეთილსინდისიერი მართვის ნაწილი. კოლეგიას მიაჩნია, რომ ქონების ცალკე შენახვის ვალდებულება ვერ იქნება შესრულებული, როდესაც ადვოკატი ან მისი ახლო ნათესავი ამ ქონებით გადაადგილდება პირადი

საჭიროებისთვის კლიენტისგან თანხმობის მიღების გარეშე. შესაბამისად, ადვოკატს სავარაუდოდ დარღვეული ჰქონდა მინდობილი ქონების ცალკე შენახვის ვალდებულება.

ქონების ცალკე შენახვის ვალდებულების დარღვევა ხშირად ასევე იწვევს ქონების კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულების დარღვევას. კეთილსინდისიერება გულისხმობს, რომ ქონების მართვის სახე უნდა იყოს გონივრულად მიღებული და შეთანხმებული ქონების მიმდობთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებას ემუქრება მყისიერი საფრთხე და ობიექტურად შეუძლებელია თანხმობის მიღება. ადვოკატს ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, მიეღო კლიენტისგან თანხმობა, რომ ის და მისი ძმა ისარგებლებდნენ მანქანით. აღნიშნული ადვოკატს არ განუხორციელებია. თუნდაც რომ ჩაითვალოს, რომ ავტომანქანით გადაადგილება ქონების დაცვის ინტერესით იყო განპირობებული, კეთილსინდისიერი მართვა გამორიცხულია, როდესაც ქონების გამოყენება ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩასადენად – კანონის დარღვევით განხოციელებული პარკირებით. კეთილსინდისიერი მართვა ასევე გამორიცხულია, როდესაც ხდება ადვოკატის მინდობაში არსებული ქონების დაზიანება და ადვოკატს არ წარმოუდგენია კანონით დადგენილი წესით გაფორმებული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ქონების დაზიანებაში. შედეგად სავარაუდოდ, ადვოკატის მიერ დარღვეული იყო ასევე ქონების კეთილსინდისიერად მართვის პრინციპი.

განხილვის კოლეგიის პოზიცია: კოლეგიამ მიიჩნია, რომ კლიენტის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია სცდებოდა აპეკ-ის 8.13-ით რეგულირებულ საკითხს, რადგან არ ეხებოდა საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე, კლიენტის კუთვნილი ნივთის ადვოკატის მიერ განკარგვას და აქედან გამომდინარე, პროფესიულ პასუხისმგებლობას. კლიენტს პრეტენზია ჰქონდა ადვოკატისა და მისი ძმის მიმართ ავტომობილზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაც წარმოა-

დგენდა კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას.

კომისიის განმარტებით, მანქანის დაზიანების შემდეგ, ავტომობილის დაზიანების ხარისხის შეფასება, მხარეებს შორის მიღწეული ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მისი შესრულების შემოწმება სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას, რადგან აღნიშნული არ არის დარეგულირებული აპეკ-ით. აგრეთვე, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ კლიენტს ადვოკატის მიმართ და მის მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურების ხარისხზე პრეტენზია არ ჰქონია და მის ინტერესს ადვოკატის დისციპლინირება არ წარმოდგენდა.

საქმე №109/18, 2020 წლის 6 თებერვალი[143]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კლიენტის მიერ მინდობილი თანხის კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური სახდელის დაკისრება – გაფრთხილება

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატმა კლიენტისაგან აიღო თანხა ექსპერტიზის ჩასატარებლად. საქმეზე არცერთი ექსპერტიზა არ ჩატარებულა და კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატს საქმისწარმოების ხარჯის სახით მიღებული თანხა კლიენტისათვის არ დაუბრუნებია.

სამართლებრივი შეფასება

მინდობილი თანხა წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მისი განკარგვა, რასაც აუცილებლად თან უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა (იხ. აპეკ-ის მე-8.12).

კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქო-

---

143 https://gba.ge/pdf/5f71b0146976f.pdf/109.18%20gafrtxileba,%2006.02.2020.pdf

ნების მინდობისას, ადვოკატმა მინდობილი ფულადი სახსრები ან ქონება კეთილსინდისიერად უნდა მართოს და მინდობილ ქონებაზე განხორციელებული ქმედებები აცნობოს კლიენტს. ადვოკატმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების საკუთარი ფულადი სახსრებისგან გამოცალკევებას და მათ მართვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში არსებობს კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების რისკი.[144]

ადვოკატის მიერ მიღებული სადავო თანხა წარმოადგენდა კლიენტის მიერ მისთვის მინდობილ თანხას, რომელიც ადვოკატს კონკრეტული მიზნობრიობით, კერძოდ, ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაეცა. ადვოკატს ევალება მინდობილი ქონება მართოს გულისხმიერად, განსაკუთრებით ისეთ გარემოებაში, როცა კლიენტის მოლოდინი საქმის საბოლოო შედეგზე ემყარება იმ საპროცესო მოქმედებას, რომლის განსახორციელებლადაც ადვოკატს თანხა წინასწარ მიანდო.

ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა, კლიენტს დაუბრუნოს მისთვის მიზნობრივად მინდობილი თანხა, თუ მიზნობრივად ხარჯვის საჭიროება აღარ არსებობს, მიუხედავად იმისა, თუ რა გარემოებებითაა აღნიშნული განპირობებული. მხარეების მიერ სადავოდ არ გამხდარა თანხის გადაცემა, მართალია, ადვოკატმა განმარტა, რომ ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა კლიენტის მიერ მინდობილობის გაცემაზე უარის თქმის გამო, თუმცა მის მიერ ეთიკური ვალდებულება დარღვეულად ჩათვალა კომისიამ კლიენტის მიერ თანხის დაბრუნების მოთხოვნის შემდეგ, როდესაც ადვოკატმა დაუყოვნებლივ ვერ შეძლო მინდობილი თანხის კლიენტისათვის დაბრუნება.

---

[144] დისციპლინური საქმე N004/12, 18.06.2012, ადვოკატის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის 8.13 მუხლის შესაძლო დარღვევის გამო. დისციპლინური წარმოება შეჩერებულია ადვოკატის წევრობის შეჩერების გამო.

საქმე N126/18, 2019 წლის 12 ნოემბერი[145]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კლიენტისგან მიღებული ჰონორარისა და სხვა თანხების დოკუმენტალური წესით აღრიცხვის ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კლიენტისა და ადვოკატის ზეპირი შეთანხმებით, ადვოკატს უნდა მოემზადებინა სააპელაციო საჩივარი, რისთვისაც კლიენტმა გაუფორმა რწმუნებულება. ადვოკატმა მიიღო მომსახურების საზღაური და თანხა სახელმწიფო ბაჟისთვის, თუმცა მას საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია, აღნიშნულზე სასამართლომ დაადგინა ხარვეზი. ვინაიდან ადვოკატმა დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, საჩივარი განუხილველი დარჩა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დადგენილი წესით არ მიიღო კლიენტისგან ჰონორარი და სხვა თანხები და არც დოკუმენტალურად აღრიცხა ისინი, რითიც დაარღვია აპეკ-ით გათვალისწინებული სტანდარტი ეწარმოებინა სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტისგან მიღებულ თანხებზე.

კომისიის განმარტებით, ადვოკატებს გააჩნიათ ფიდუციური ვალდებულებები, რომლებიც ემსახურება, ერთი მხრივ, კლიენტის ინტერესებს – განახორციელოს ნაკისრი მოვალეობები კანონისა და ეთიკური ვალდებულებების გათვალისწინებით, ხოლო, მეორე მხრივ, ადვოკატის მოქმედებები ემსახურება კორპორატიულ ინტერესებს, ადვოკატთა კორპუსის სანდოობის მოპოვებას და პროფესიული ღირსების შენარჩუნებას. ფიდუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის

[145] https://gba.ge/pdf/5f71c99c24302.pdf/126.18%20kerzo%20sarekomendacio%20-%2024.12.2019.pdf

წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის მოთხოვნის არ არსებობის პირობებშიც ხარჯთაღრიცხვის წარმოებას. ადვოკატის მიერ ამ ვალდებულების შესრულებას პრევენციული ხასიათი აქვს მომავალში თანხასთან დაკავშირებული პრეტენზიებისგან თავის დასაცავად, ხოლო მისი შეუსრულებლობა იწვევს სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულების დარღვევას.

მხარეებს შორის არ არსებობდა წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა საადვოკატო საქმიანობის საგანი ან მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე არ არსებობდა კლიენტისგან თანხის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე ადვოკატს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მის მიერ ფინანსური ანგარიშგების სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოება. შესაბამისად, ადვოკატს არ ჰქონდა აღრიცხული კლიენტისგან ჰონორარის ან საქმესთან დაკავშირებული ხარჯებისთვის გათვალისწინებული თანხების მიღება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ადვოკატი შეასრულებდა ეთიკის კოდექსით ნაკისრ მოთხოვნებს, ამასთან მას ექნებოდა საშუალება დაეცვა თავი კლიენტის პრეტენზიებისგან.

8.15. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატის ვალდებულებები და უფლება ჰონორარზე

8.15. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. (08.12.2012)

8.15.1 საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება

2015 წლიდან კომისიაში განვითარდა პრაქტიკა აპეკ-ის 8.15 მუხლის საფუძველზე. კომისიის განმარტებით, აღნიშნული მუხლით დადგენილი ქცევის სტანდარტი ადვოკატს ავალდებულებს კლიენტთან ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ მას მიღებული საზღაურის შესაბამისი შეთანხმებული მომსახურება არ აქვს გაწეული, თანხა, რომლის ტოლფასი მომსახურება არ გაუწევია, დაუბრუნოს კლიენტს. დისციპლინურ წარმოებაში გამოიკვეთა, რომ ადვოკატთა ნაწილს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქვთ პირობა, რომლის თანახმად, თუ კლიენტი ეტყვის მას უარს მომსახურების გაგრძელებაზე, ის დაკარგავს ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი თანხის მოთხოვნის უფლებას. კომისიის განმარტებით, ხელშეკრულების აღნიშნული პირობა წინააღმდეგობაში მოდის განსახილველ პროფესიულ სტანდარტთან და ბათილია.[146] კომისიის პოზიცია მხარდაჭერილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკით.[147]

---

[146] წერილობითი რეკომენდაცია N008/19, 2019 წლის 22 ნოემბერი https://gba.ge/pdf/5e28057a8322d.pdf/008.19%20werilobiti%20rekomendacia%2022.11.19.pdf

[147] საქმე №038/16, 2016 წლის 16 სექტემბერი; დარღვევა: საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაუბრუნებლობა.
ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი, ვინაიდან გასაწევი მომსახურების სრულად შეუსრულებლობა კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო ავალდებულებდა ადვოკატს გაწეული მომსახურების ღირებულების გამოქვითვით, გადახდილი თანხის დაბრუნებას. https://gba.ge/pdf/5c4c34c26ffa7.pdf/5c4c34c26ffa7.pdf
ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით დს-შ/7-16 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

კომისიის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სა-

http://gba.ge/uploads/resolutions/2017/07/12/47733488c936c2526e4fb730fe08b105.pdf
საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის არგუმენტზე, რომელსაც მისი საჩივარი ეფუძნებოდა, კერძოდ, ადვოკატი უთითებდა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლთან – კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ადვოკატს კლიენტთან დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული ჰქონდა, რომ თუკი საადვოკატო მომსახურება შეწყდებოდა მარწმუნებლის მოთხოვნით, წარმომადგენლობისთვის გადახდილი თანხა მას უკან არ დაუბრუნდებოდა. სადისციპლინო პალატამ აღნიშნა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს, სახელშეკრულებო დათქმა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესების თანახმად, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად (სკ-ის 715.1 მუხლი) მათ შორის წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისთვის ანაზღაურების სახით გადახდილი საფასურის თანხის ის ნაწილი, რომელიც ეხება გაუწეველი მომსახურების ღირებულებას. ... განიხილება არა გადახდილი თანხის დაბრუნების, არამედ ადვოკატის მიერ პროფესიული ქცევის სტანდარტის დაცულობის, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. სადისციპლინო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის საგანს შეადგენს ადვოკატის მიერ კორპორაციული წესების დაცვის, სადისციპლინო ნორმის გამოყენების მართლზომიერების და არა ადვოკატისთვის გადახდილი საადვოკატო მომსახურების საფასურის, გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხი. ეს უკანასკნელი განეკუთვნება ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას. რაც შეეხება ადვოკატის ქმედების ეთიკის კოდექსთან შესაბამისობას, აღნიშნული წარმოადგენს სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობის საგანს, სადისციპლინო კოლეგია ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობის შემოწმებისას არ არის შებოჭილი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ტექსტით.“

მუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.[148]

---

[148] საქმე N037/14, 2014 წლის 10 დეკემბერი, დარღვევა: საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაუბრუნებლობა. https://gba.ge/pdf/5c4849fb4eee8.pdf/5c4849fb4eee8.pdf

აპეკ-ის მე-8.15 ნაწილის დარღვევა დადგინდა შემდეგ გადაწყვეტილებებში:

საქმე N096/14, 2015 წლის 22 ოქტომბერი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c484f5ad6ba2.pdf/5c484f5ad6ba2.pdf

საქმე N044/16, 2016 წლის 19 დეკემბერი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c62b8681abeb.pdf/044.16%2019.12.2016.%20gafrtxileba.pdf

საქმე N052/16, 2018 წლის 8 მაისი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c62b68eee7cf.pdf/052.16%2008.05.2018%20gafrtxileba.pdf

საქმე N026/17, 2018 წლის 22 მაისი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5e17077c7f495.pdf/026-17%2022.05.18%20gafrtxileba.pdf

საქმე N098/17, 2018 წლის 31 მაისი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5e6234ec48edC.pdf/098.17%2031.05.2018%20gafrtxileba.pdf

საქმე N077/16, 2018 წლის 25 ივნისი, შედეგი: საქმიანობის უფლების შეჩერება https://gba.ge/pdf/5db1483210a1b.pdf/077.16%2025.06.18%20shechereba.pdf

საქმე N101/17, 2018 წლის 25 ივლისი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c628e76d71cd.pdf/101.17%2025.07.2018%20gafrtxileba.pdf

დისციპლინურ წარმოებაში გამოწვევას წარმოადგენდა გამოუმუშავებელი საზღაურის დაბრუნებული ნაწილის პროპორციულობის შეფასების უფლებამოსილება კომისიის მიერ. ამ საკითხზე მიღებულ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის გადაწყვეტილებაზე დაიწერა განსხვავებული აზრი, კომისიის წევრებმაც იმსჯელეს ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებისთვის და ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებებში კომისიამ განავითარა ხედვა, რომლის მიხედვით ნებისმიერი ოდენობის თანხის დაბრუნება არ შეფასდება აპეკ-ის 8.15 მუხლით დადგენილი სტანდარტის შესრულებად, თუ ადვოკატი ვერ დაასაბუთებს დატოვებული თანხის პროპორციულობას შესრულებულ სამუშაოსთან. დაბრუნებული საზღაურის პროპორციულობის მტკიცების ტვირთი აქვს ადვოკატს, რაც გამომდინარეობს აპეკ-ის 8.15, 8.12 მუხლებით დადგენილი ქცევის სტანდარტებიდან. კომისიის მიდგომით, მტკიცების ტვირთს ამარტივებს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების წერილობით დადება და მომსახურების საგნის, შინაარსის, ანაზღაურების წესის დეტალურად გაწერა.

მოცემულ თავში განხილული გადაწყვეტილებები სწორედ კომისიის ადრინდელ და ამჟამინდელ მიდგომას წარმოაჩენს:

კლიენტმა მომსახურების დაწყებიდან ორ კვირაში უარი უთხრა ადვოკატს მომსახურების გაგრძელებაზე და მოსთხოვა გადაცემული საზღაურის ნაწილის დაბრუნება, ვინაიდან იმ პერიოდისთვის ადვოკატს სრულად არ ჰქონდა შესრულებული შეთანხმებული მომსახურება. ადვოკატმა თავიდან უარი განაცხადა კლიენტისათვის თანხის ნაწილის დაბრუნებაზე, თუ-

---

საქმე N084/17, 2018 წლის 27 ივლისი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5d838dd3c14fC.pdf/084.17%20gafrtxileba.pdf

საქმე N039/18, 2019 წლის 24 აპრილი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5d6cf75db74fC.pdf/039.18%20%2024.04.19%20%20gafrtxileba.pdf

საქმე N030/18, 2019 წლის 14 მაისი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5e6107138a558.pdf/030.18%2014.05.2019%20gaftxileba.pdf

საქმე N015/18, 2019 წლის 1 ოქტომბერი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5e2feaf816a38.pdf/015.18%20gafrtxileba%2001.10.19.pdf

მცა შემდეგ საზღაურის სახით მიღებული 500 ლარიდან ჩაურიცხა მას 100 ლარი, რასაც კლიენტი არ დაეთანხმა, რადგან მისი შეფასებით ადვოკატს მომსახურება ფაქტიურად გაწეული არ ჰქონია და დატოვებული თანხა არ იყო პროპორციული და აპეკ-ის 8.15 სტანდარტის შესაბამისი. კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი საზღაურის კლიენტისათვის დაბრუნების წესის შესაძლო დარღვევაზე და მიიღო დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის გადაწყვეტილება.[149]

კომისიამ გაიზიარა განმარტება, იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე და კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ

---

[149] საქმე N057/17, 2018 წლის 22 თებერვალი; სავარაუდო დარღვევა: საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაუბრუნებლობა; შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი https://gba.ge/pdf/5cb72938afcd9.pdf/057-17%20%20%20%2022.02.18%20%20%20%20ar%20agdzvra.pdf

საქმე N002/18, 2018 წლის 5 მარტი, სავარაუდო დარღვევა: საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაუბრუნებლობა; შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი

აღნიშნულ საქმეში ეთიკის კომისიას არ უმსჯელია ადვოკატის მიერ კლიენტისთვის დაბრუნებული თანხის პროპორციულობაზე, ისე მიიჩნია აპეკ-ის 8.15 ნაწილით დადგენილი ქცევის სტანდარტი შესრულებულად https://gba.ge/pdf/5cb58e53983e2.pdf/002_18,%2005.03.18,%20ar%20aghdzvra.pdf

შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. თუმცა კომისიამ ასევე განმარტა, რომ ეთიკის კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა. ადვოკატის მიერ განხორციელდა იურიდიული მოქმედებები, რომლის ფასს ეთიკის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ დაადგენდა და აქედან გამომდინარე, კოლეგია მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა ამ კუთხით ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმის დარღვევაზე.

მოცემულ გადაწყვეტილებაზე დაწერილი განსხვავებული აზრით, საქმეში წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები იძლეოდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევის საფუძველზე. განსხვავებულ აზრში გაზიარებულია მიდგომა, რომ თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. გადაწყვეტილებით დადგენილი მიდგომის გაზიარების შემთხვევაში ადვოკატის მიერ ნებისმიერი თანხის დაბრუნება, თუნდაც სიმბოლურის, წარმოადგენს ფორმალურად აპეკ-ის 8.15 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, რაც აზრს აცლის თავად მუხლის შინაარსს და მისი მეშვეობით დაცულ პროფესიულ სტანდარტს, რომლის მნიშვნელობას, არაერთხელ გაუსვა ეთიკის კომისიამ

ხაზი. ამიტომ სწორედ ადვოკატის პროფესიისთვის ნდობის შენარჩუნების და გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აპეკ-ის 8.15 მუხლის დანაწესისადმი იყოს შინაარსობრივი და შეფასებითი მიდგომა ეთიკის კომისიის პრაქტიკაში. სწორედ ეთიკის კომისიის შესაფასებელია, დაიცვა თუ არა ადვოკატმა სავარაუდო და ექვივალენტური ანაზღაურების მიღების სტანდარტი. გადაწყვეტილებაში გაკეთებული დასკვნა, რომ „... ეთიკის კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა", ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ზემოთ ციტირებული პრაქტიკის კუთხით კრიტიკულად შესაფასებელია. ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს განხორციელებული მოქმედებების ფასზე, როგორც მართებულად მითითებულია გადაწყვეტილებაში, თუმცა კომისიამ უნდა იმსჯელოს ადვოკატის მიერ დატოვებული ანაზღაურების ღირებულების და განხორციელებული მომსახურების ექვივალენტობაზე.

განსხვავებული აზრის მიხედვით, აპეკ-ის 8.15 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების შესაფასებლად უნდა განისაზღვროს, რა მოცულობის სამუშაოს გაწევაზე და ანაზღაურების გადახდის რა წესზე იყვნენ შეთანხმებული მხარეები, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას რა მოცულობის სამუშაოს გაწევა მოხდა და ასევე დადგინდეს, ვინ აქვს ზემოაღნიშნულის მტკიცების ტვირთი, კერძოდ ვინ უნდა ამტკიცოს, თუ რა წარმოადგენს გაწეული მომსახურების მოცულობის ექვივალენტურ ანაზღაურებას. ეთიკის კომისიას აქვს ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი კლიენტისგან მინდობილ სახსრების ხარჯვისას ზუსტი ხარჯთაღრიცხვის წარდგენაზე აქვს ადვოკატს, იხ. გადაწყვეტილება N007/16, 25.10.2016, პარ. 6.15. არ არსებობს არგუმენტი, რომელიც მტკიცების ტვირთის სხვაგვარად განაწილებას საფუძველს მისცემდა კომისიას კლიენტისთვის თანხის დაბრუნების მოცულობასთან დაკავშირებით. განსხვავებულ აზრში კომისიის წევრმა განმარტა, რომ ადვოკატმა მიღებული ფიქსირებული ანაზღაურებიდან 500 ლარიდან დაიტოვა 400 ლარი,

რაც ანაზღაურების 80%-ს შეადგენს. ადვოკატის მიერ დატოვებული თანხა ვერ იქნება ექვივალენტური და კლიენტისთვის ობიექტურად სავარაუდო ოდენობა, რადგან მომსახურება შეწყდა საკმაოდ მალე, მისი დაწყებიდან, 2 კვირის ვადაში და სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში ადვოკატის მონაწილეობა შემოიფარგლა ერთი განცხადების დაწერით.

დისციპლინურ საქმეში №100/17, გაზიარებულია ეთიკის კომისიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მიდგომა, რომ „თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერ ოდენობის თანხის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა. ამდენად, მნიშვნელოვანია, ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს რა ოდენობა იქნება პროპორციული და რომელიმე მხარის მიერ სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს აღნიშნული თანხა კლიენტს სხვა ფულად სახსრებთან და საქმის მასალებთან ერთად.“ (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე N098/17, 28.01.2018)[150]

[150] საქმე N100/17, 2018 წლის 24 დეკემბერი, დარღვევა: აპეკ-ის მე-3 მუხლი, 8.5, 8.6 მუხლები, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c628da5045f8.pdf/100_17,%2024.12.18.%20kerdzo%20sarekomendacio%20barati.pdf

კომისიის განმარტებით, როდესაც ფასდება ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების შესრულება, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების ფარგლები, რათა დადგინდეს გამომუშავებული ჰონორარის პროპორციულობა.[151]

წერილობით რეკომენდაციაში[152] კომისიამ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მიღებული აქვს ჰონორარი და ურთიერთობა შეწყდება კლიენტთან, ადვოკატი ვალდებულია გამოუმუშავებელი ჰონორარი დაუბრუნოს კლიენტს, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება ურთიერთობის შეწყვეტის ინიციატორი.

იმისათვის, რომ ადვოკატმა ზუსტად შეასრულოს პროფესიული ვალდებულებები, მან წინასწარ უნდა შეატყობინოს ხარჯების თაობაზე ინფორმაცია კლიენტს და აიღოს მისგან თანხმობა. ხარჯის გაწევის შემდეგ კი წარუდგინოს ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ წინაპირობების დაცვის გარეშე ადვოკატი ვერ მოსთხოვს კლიენტს ხარჯის ანაზღაურებას, თუ კლიენტი შემდგომში თანხმობას არ განაცხადებს. სხვა შემთხვევაში ადვოკატი იქნება აპეკ-ის 8.6 და 8.12 მუხლების დარღვევის საფრთხის წინაშე. ის ვერც აპეკ-ის 8.15 მუხლით დადგენილი წესით გამოქვითავს ასეთ ხარჯს უკვე გადაცემული ავანსიდან.[153]

---

[151] საქმე N052/16, 2018 წლის 8 მაისი, დარღვევა: აპეკ-ის 8.5, 8.6, 8.12, 8.13, 8.15 მუხლები, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5f47b2452fdff.pdf/052.16%20gafrTxileba%20-%2023%2005%2018.pdf
ეთიკის კომისიამ საქმეში N015/18, 2019 წლის 1 ოქტომბერი, ასევე გაიზიარა მიდგომა, რომ კლიენტისთვის ნებისმიერი ოდენობის თანხის დაბრუნება ვერ მიიჩნევა აპეკ-ის 8.15 ნაწილით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულებად, თუ ადვოკატი ვერ დაასაბუთებს, რომ გამოქვითული თანხა მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციულია. შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5e2feaf816a38.pdf/015.18%20gafrtxileba%2001.10.19.pdf

[152] წერილობითი რეკომენდაცია N008/19, 2019 წლის 22 ნოემბერი https://gba.ge/pdf/5e28057a8322d.pdf/008.19%20werilobiti%20rekomendacia%2022.11.19.pdf

[153] იქვე

ჰონორარიც რეკომენდირებულია განისაზღვროს იმ წესით, რომ საქმის წარმოების შეწყვეტისას არ იყოს სადავო, თუ რამდენი გამოიმუშავა ადვოკატმა უკვე განხორციელებული მომსახურებით. ყველაზე ნაკლებ დავას იწვევს ადვოკატის მიერ გაწეული დროით ანაზღაურება, საათობრივი ან დღიური. სხვა შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს ანაზღაურება ეტაპობრივად, მტკიცებულებების მოპოვების, სარჩელის მომზადების, სასამართლო მოსამზადებელი ეტაპის, არსებითი განხილვის და სხვა უფრო დეტალური ეტაპებითაც. სხვა შემთხვევაში შესაფასებელი იქნება გაწეული სამუშაოს და გადახდილი ჰონორარის პროპორციულობა, რასაც კომისია აშკარა შეუსაბამობის სტანდარტით შეაფასებს. ყველა შემთხვევაში უმჯობესია ადვოკატის მიერ დეტალურად გაწერა მისი მომსახურების და ამისთვის მისაღები ჰონორარის. ეს იძლევა როგორც სამოქალაქო სამართლებრივი, ისე დისციპლინური დავების თავიდან არიდების საშუალებას.[154]

საქმე N070/18, 2019 წლის 20 სექტემბერი[155]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: გამოუმუშავებელი საზღაურის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული წერილობითი შეთანხმების მიხედვით, საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა: „დაზარალებულის ინტერესების დაცვა შს სამინისტროში, თბილისის პროკურატურაში და სასამართლოში“, რისთვისაც ჰონორარის სახით განისაზღვრა 2000 ლარი. კლი-

---

[154] იქვე

[155] https://gba.ge/pdf/5e4bebaa8248f.pdf/070.18%20kerzo%20sarekomendacio%2020.09.2019.pdf

ენტმა ადვოკატს გადაუხადა შეთანხმებული საზღაური. შეთანხმებაში ასევე მითითებული იყო შემდეგი: „დამატებითი თანხის შემოტანის ოდენობა დამოკიდებულია შედეგზე"; „შემოტანილი თანხა ჰონორარის სახით დაბრუნებას არ ექვემდებარება". გარკვეული პერიოდის შემდეგ კლიენტმა წერილობითი განცხადებით მიმართა თბილისის პროკურატურას ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების თაობაზე. ადვოკატმა კლიენტს ურთიერთობის შეწყვეტისას არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი საზღაური და წელიწადნახევრის შემდეგ, დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიაში სხდომის გამართვის დღეს, კლიენტს ჩაურიცხა საზღაურის ნაწილი – 200 ლარი.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტთან გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მიუთითა შემდეგი პუნქტი: „შემოტანილი თანხა ჰონორარის სახით დაბრუნებას არ ექვემდებარება". ასევე ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, მას გონივრულ ვადაში არ დაუბრუნებია კლიენტისთვის გადახდილი ჰონორარის ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელი იყო, ა) შესაბამისობაში იყო თუ არა ზემოაღნიშნული მუხლის გათვალისწინება ხელშეკრულებაში და ბ) არსებობდა თუ არა, გამოუმუშავებელი ჰონორარი, რომელიც ადვოკატს უნდა დაებრუნებინა კლიენტისთვის აპეკ-ის 8.15 მუხლის საფუძველზე.

კომისიამ შეაფასა ადვოკატმა რამდენად შესთავაზა კლიენტს, საადვოკატო მომსახურების პირობების შეთანხმებისას, პროფესიული ეთიკის კოდექსისაგან განსხვავებული რეგულირება. კომისიის განმარტებით, არსებობს ვალდებულებები, რომლიდან გადახვევაც დაუშვებელია: მაგ. მოსარჩელის და მოპასუხის ერთობლივი წარმომადგენლობა ერთი საადვოკატო ბიუროს ადვოკატების მიერ; თუმცა არსებობს ვალდებულებები, სადაც ეს დასაშვებია, მაგ. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებიდან გამონაკლისები. პირველ შემთხვევაში, და-

უშვებელია სახელშეკრულებო ურთიერთობებით ადვოკატმა და კლიენტმა პროფესიული ეთიკის ნორმებით დადგენილი სტანდარტები შეცვალონ, ხოლო მეორე შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმება ორ წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს: ა) შეთანხმება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროფესიული ეთიკის საფუძვლებს და ბ) უნდა არსებობდეს კლიენტის ინფორმირებული თანხმობა, ადვოკატის მიერ ყველა რისკის მისთვის შეტყობინების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წინაპირობა არ არის დაკმაყოფილებული, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ეთიკური ნორმიდან განსხვავებული მოწესრიგების დასაშვებობაზე.

ადვოკატის მიერ აპეკ-ში დადგენილი ვალდებულებების საწინააღმდეგო მოწესრიგების გათვალისწინების შესაძლებლობასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 დაადგინა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების თანხის ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა.“

ხელშეკრულებით პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გადახვევის საკითხზე იმსჯელა ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეზე და განმარტა შემდეგი – „მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს არ გაუხმაურებია კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დროში შეზღუდვის შესახებ მითითება ხელშეკრულებაში ეწინააღმდეგება ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნას – კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუ-

დულ დროში. დაუშვებელია ადვოკატმა, საკუთარ თავს, კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტლება, საქმე N134/12).

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ფაქტობრივი დარღვევის არსებობის მიუხედავად, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტებთან შეუსაბამო რეგულირების ჩაწერა ხელშეკრულებაში, წარმოადგენს დარღვევას. ადვოკატმა შესთავაზა კლიენტს ხელშეკრულების ისეთი ჩანაწერი, რომელიც აპეკ-ის 8.15 მუხლის საწინააღმდეგო პირობა იყო, რადგან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, არ ითვალისწინებდა გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაბრუნების შესაძლებლობას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის საწინააღმდეგო რეგულირების ჩაწერა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში წარმოადგენდა დისციპლინურ გადაცდომას, მიუხედავად იმ გარემოებისა, დაირღვა თუ არა, ფაქტობრივად, აღნიშნული მუხლით დადგენილი ვალდებულება.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ დამატებით, შესაფასებელი იყო შემდეგი: ადვოკატმა სრულად შეასრულა თუ არა მომსახურება, რაშიც მან ავანსის სახით მიიღო 2000 ლარი; წარმოადგენს თუ არა პროფესიული ვალდებულების ჯეროვან შესრულებას მიღებული თანხის ნაწილის წელიწადნახევრის შემდეგ დაბრუნება; არის თუ არა ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისთვის დაბრუნებული 200 ლარი – შეუსრულებელი სამუშაოს პროპორციული.

მხარეთა საადვოკატო მომსახურების შეთანხმების საგანს წარმოადგენდა: „დაზარალებულის ინტერესების დაცვა შს სამინისტროში, თბილისის პროკურატურაში და სასამართლოში“. კლიენტმა წინსწრებით, ადვოკატს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების მიზნით, ჩაურიცხა ჰონორარი 2000 ლარი, თუმცა მხარეებს არ განუსაზღვრიათ თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი იურიდიული მოქმედე-

ბებისათვის ჰონორარის ოდენობა. დადგინდა, რომ ადვოკატს სრულად არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება. კერძოდ, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა საგამოძიებო ორგანოში საქმისწარმოების ეტაპზე, როდესაც კლიენტმა თბილისის პროკურატურას მიმართა ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების თაობაზე. შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის ამ ეტაპზე, ადვოკატს წარმოეშვა ვალდებულება დაებრუნებინა კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარი, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად ვერ შესრულდა იმ ჰონორარის ფარგლებში, რაც მან კლიენტისგან მიიღო.

კომისიამ იმსჯელა მეორე საკითხზე და აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ წელიწადნახევრის შემდეგ, ეთიკის კომისიაში საქმის აღძვრის შემდეგ ეტაპზე, ადვოკატის მიერ ზეპირად გამოხატული თანხმობა ადვოკატის მიერ დანარჩენი თანხის დაბრუნების თაობაზე ვერ შეცვლიდა იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა გონივრულ ვადაში არ დააბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი, გონივრული ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე სამუშაო დღე, ან თუ არსებობს ობიექტური გარემოება (ადვოკატის შვებულება, ავადმყოფობა და ა.შ.), მაშინ ამ ობიექტური გარემოების არსებობით ამ ვადის გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში, რადგან ადვოკატებმა ცალკე უნდა შეინახონ ავანსის სახით გადაცემული ჯერ კიდევ გამოუმუშავებელი ჰონორარი (აპეკ, მუხლი 8.13), მისი დაუყოვნებლივ დაბრუნების შესაძლებლობაც და ვალდებულებაც არსებობდა.

8.15.2 დოკუმენტების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულებასაც. ადვოკატს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ თა-

ვის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შესაბამისად, ესეც იმ პირობით, რომ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და გირავნობის უფლების გამოყენებაზე კლიენტისგან მიღებულია წინასწარი წერილობითი თანხმობა ამავე კოდექსის 713-ე მუხლის შესაბამისად, თუ ურთიერთობა რეგულირდება დავალების წესით. ამასთან აღნიშნული უფლება ვერ გავრცელდება ზოგადად ყველა სახის დოკუმენტზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის განკარგულებაში ექცევა, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება, სხდომის ოქმი და სხვა.[156]

კლიენტის მიერ ადვოკატთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ „ადვოკატის მიერ ნათლად უნდა იქნას გამოხატული მზაობა, საქმის ყველა მასალა გადასცეს ახალ ადვოკატს, რაც კლიენტის უფლებების რეალიზაციის ხელშემწყობი იქნება“.[157]

ადვოკატმა, იურიდიული მომსახურების შეწყვეტისას კლიენტს უნდა დაუბრუნოს მისთვის გადაცემული და მის მიერ, დამოუკიდებლად მოპოვებული დოკუმენტები, ასევე, კოლეგია კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ რეკომენდირებულია, როგორც პროფესიონალმა, ადვოკატმა შეადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და წერილობით დააფიქსიროს კლიენტის მიერ მისთვის რაიმე სახის დოკუმენტის გადაცემა და დაბრუნება.[158]

კლიენტისათვის დოკუმენტის დაბრუნებაზე უარს არ გააჩნია მიზეზი, რადგან ისინი და მასში მოცემული ინფორმაცია კლიენტის საკითხია და მას ეკუთვნის, დოკუმენტები კლიენტის

---

[156] საქმე N074/11, 2012 წლის 09 იანვარი, დარღვევა: კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c4722373507e.pdf/5c4722373507e.pdf

[157] საქმე N047/12, 2012 წლის 13 დეკემბერი, დარღვევა: აპეკ-ის 8.7 მუხლი, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c4837cdaddfb.pdf/5c4837cdaddfb.pdf

[158] საქმე №006/16, 2018 წლის 12 მარტი, ადვოკატის მხრიდან არ დადგინდა დოკუმენტების დაბრუნების ვალდებულების დარღვევა https://gba.ge/pdf/5c62988869fd4.pdf/006_16,%2012.03.18,%20pasuxismgeblobis%20dakisrebaze%20uari.pdf

მიერ მოწოდებული, ადვოკატის მიერ მოპოვებული ან ადვოკატის მიერ დამუშავებული საკითხის იურიდიული სახე ან ფორმაა, რომლის დანიშნულება ან ღირებულება კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება.[159]

კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულებისა და კლიენტისთვის სასამართლოდან მიღებული დოკუმენტების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსის მოცემული მოთხოვნები შეასრულა ადვოკატმა, ადვოკატს ეკისრება.[160]

---

[159] საქმე N103/13, 2014 წლის 07 ივლისი; დარღვევა: აპეკ-ის 8.12, 8.13, 8.15 მუხლები, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c484add02177.pdf/5c484add02177.pdf

[160] საქმე N065/14, 2016 წლის 25 მარტი; ადვოკატის მხრიდან დადგინდა დოკუმენტების დაბრუნების ვალდებულების დარღვევა, შედეგი: გაფრთხილება

მუხლი 9.

განმარტებები ადვოკატის ურთიერთობაზე სასამართლოსთან

1. ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

2. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.

3. ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამარლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.

4. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას. (08.12.2012)

9.1.1 სასამართლოსთან ურთიერთობის სტანდარტი

დროთა განმავლობაში ეთიკის კომისიაში დაგროვდა გარკვეული პრაქტიკა ადვოკატის საჯარო და არასაჯარო განაცხადებებიდან, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციიდან გამომდინარე სასამართლო და „ქვაზი სასამართლო“, ან მსგავს ორგანოებში არსებულ წესებთან და რეგულაციებთან კონფლიქტისას.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატებს უდგენს ვალდებულებას დაიცვან ქცევის წესები სასამართლოში და სასამართლოს მსგავსი ფუნქციის ორგანოებში.

2017-2020 წლებში სასამართლოდან მიღებული მიმართვების საფუძველზე, სადაც სასამართლო დავობდა ადვოკატის მხრიდან სასამართლოს პატივისცემის ან სასამართლოში ქცე-

ვის წესების დარღვევის შესახებ, ეთიკის კომისიას მიღებული აქვს მხოლოდ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის ან წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებები, რომელიც ქვევით განხილულია, ხოლო ამ ნაწილში ჩამოყალიბებულია ის სტანდარტები, რაც კომისიის 2006-2016 წლების პრაქტიკით არსებობს სასამართლოს პატივისცემისა და სასამართლოში ან სასამართლოს მსგავს ორგანოში არსებული ქცევის წესების დაცვის მიმართ და მოიცავს ამონარიდებს იმ საქმეებიდანაც, რომელშიც კომისიამ ადვოკატის ქცევა განხილული ვალდებულების დარღვევად შეაფასა:

ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.[161]

სასამართლოს ან/და სასამართლო გადაწყვეტილების საჯარო კრიტიკა, რაც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის გარემოებებთან, მიზნად არ ისახავს სასამართლოს (მოსამართლის) უპატივცემულობას, ემსახურება კლიენტის ინტერესებს და გამოხატვის ფორმა ზომიერია, მართლზომიერ კრიტიკას წარმოადგენს და არ არღვევს სასამართლოს პატივისცემის ვალდებულებას.[162]

გადაწყვეტილებაში კომისიამ აღნიშნა, რომ „სასამართლო სისტემა წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ რგოლს, რო-

---

[161] საქმე N075/11, 2011 წლის 24 იანვარი, ადვოკატის მხრიდან დადგინდა პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულების დარღვევა, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4ebcbad090C.pdf/5c4ebcbad090C.pdf

[162] კომისიამ მხარი არ დაუჭირა დისციპლინური დევნის აღძვრას ადვოკატების მიმართ და მიიღო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება. საქმე N2317/12/06, 2006 წლის 03 დეკემბერი https://gba.ge/pdf/5c5c2a0e5b09b.pdf/2317-12-06%20%2003.12.2006%20gamartleba.pdf

მელიც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე ექცევა საჯარო ინტერესების სფეროში და რომელსაც მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვის გამო, განსაკუთრებული თმენის ვალდებულება გააჩნია საზოგადოების წევრებისა და მათ შორის ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვისთვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი, რაც არ შეიძლება იყოს ცალკეული მოსამართლის გრძნობების შეურაცხყოფა. სასამართლო შეზღუდვას საფუძვლად შეიძლება დაედოს სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია განხრაზ არასწორი ცნობების გამოქვეყნებით."[163]

ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების" გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება" მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. ადვოკატისათვის კანონმდებლობით მინიჭებული იმუნიტეტი ექვემდებარება შეზღუდვას იმ შემთხვევაში, თუ მისი განცხადებები წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ან მოსამართლის შეურაცხყოფას ან სხვაგვარად აყენებს ზიანს სამართალწარმოების ინტერესს.[164]

ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება როდესაც ემსახურება სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით

---

[163] იქვე

[164] საქმე N076/10, 2010 წლის 29 ოქტომბერი, კომისიამ ადვოკატის მიმართ არ დაიწყო დისციპლინური დევნა https://gba.ge/pdf/5c4ec98f902e2.pdf/5c4ec98f902e2.pdf

არსებულ პრობლემებზე აქცენტის გაკეთებას და კლიენტის ინტერესების დაცვას, მისი შეზღუდვა ზიანს მიაყენებს ადვოკატის ინტერესს, თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები სამართალწარმოების შესაძლო ხარვეზების თაობაზე. აღნიშნულს ექნება „შემზღუდველი ეფექტი". შესაბამისად, მწვავე და კრიტიკული განცხადებების გაკეთებისას, რომელიც შესაძლოა არ არის მოსაწონი და მისაღები სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, თუ ის არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს მოსამართლის ღირსების შელახვას, ადვოკატი სარგებლობს სამართლებრივი დაცვით, გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე.[165]

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის ვალდებულებაა დაიცვას სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატის კომენტარი საქმეზე, როდესაც ის მოქმედებს კლიენტის ინტერესების დაცვის ფარგლებში და მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას, თუ აღნიშნული არ წარმოადგენს სასამართლოსადმი მიზანმიმართულ შეურაცხყოფას, ფასდება, როგორც ადვოკატის შეფასებითი მსჯელობა, რომლის სისწორე/მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია გამონათქვამების ავტორის შეხედულებებზე.[166]

პროცესზე წარმომადგენლობისას ადვოკატმა უნდა დაიცვას ბალანსი კლიენტის ინტერესების დაცვასა და მოსამართლის მითითებების შესრულებას შორის, თუ ეს მიზნად ისახავს სხდომის არსებული წესების მიხედვით წარმართვას.[167]

---

[165] იქვე

[166] საქმე N030/14, 2014 წლის 20 აპრილი, ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა https://gba.ge/pdf/5c4c435907775.pdf/5c4c435907775.pdf ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია N010/13, 2013 წლის 26 ივნისი https://gba.ge/pdf/5c7fc234272c1.pdf/26%20June%202013%20010.13.pdf

[167] საქმე N010/10, 2010 წლის 22 ივლისი, დარღვევა: სასამართლოში ქცევის წესების დაცვის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბა-

გადაწყვეტილებაში კომისიამ აღნიშნა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები, მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. კლიენტის ინტერესი არ არის აბსოლიტური და ის არ გულისხმობს მისი დაცვისას კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფას და იგნორირებას. სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა და სასამართლოს მითითებებისადმი დაუმორჩილებლობა არ შეიძლება გამართლებული იქნეს კლიენტის ინტერესების დაცვით. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს.“[168]

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ, უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული.[169]

რათი https://gba.ge/pdf/5c59bf53684a9.pdf/010_10_22.07.2010%20kerdzo%20sarekomendacio%20barati.pdf

საქმე N043/10, 2010 წლის 3 ნოემბერი, დარღვევა: სასამართლოში ქცევის წესების დაცვის ვალდებულება, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c49d7c63fb19.pdf/5c49d7c63fb19.pdf

[168] იქვე

[169] საქმე N158/13, 2014 წლის 21 ოქტომბერი, დარღვევა: სასამართლოში ქცევის წესების დაცვის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4720732e191.pdf/5c4720732e191.pdf

ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. სასამართლომ კომი-

9.1.2 კლიენტის ინტერესების დაცვასა და სასამართლოში ქცევის წესების დაცვის ფარგლებში მოსამართლის მითითებების შესრულების ვალდებულების ურთიერთმიმართება

საქმე N019/19, 2019 წლის 2 დეკემბერი[170]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების პატივისცემის ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი

ფაქტები: ეთიკის კომისიას მიმართა სასამართლომ.

მოსამართლის კერძო განჩინებით, ადვოკატი დაჯარიმდა მოსამართლის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, რის შემდეგაც დაუმორჩილებლობის გაგრძელების საფუძვლით ჯარიმის ოდენობა გაიზარდა. კერძოდ, მას შემდეგ რაც მოსამართლემ მოუწოდა ადვოკატს თავის შეკავებისგან შემდეგი სიტყვებით: „ნუ შემოდიხართ პოლემიკაში, დაწყნარდით ყველაფერი კარგად გავიგეთ. ნუ შემოდიხართ პოლემიკაში, თორემ დაგაჯარიმებთ“, აღნიშნულზე ადვოკატმა უპასუხა – „შემოვალ ბატონო მოსამართლე, მთელი პროცესის განმავლობაში, რომ მეჭრება პროკურორი დაკითხვაში ნორმალურია?“. ამის შემდეგ ადვოკატმა განაცხადა, რომ მოსამართლე

სიის გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება გაიზიარა, თუმცა არ დაეთანხმა კომისიას ადვოკატისთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობის ფორმაში და სახდელის ნაცვლად ადვოკატის მიმართ ზემოქმედების ღონისძიება გამოიყენა. https://gba.ge/pdf/5c4c08271112a.pdf/5c4c08271112a.pdf

საქმე N141/13, 2014 წლის 15 აპრილი, დარღვევა: სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c471f401db2c.pdf/5c471f401db2c.pdf

საქმე N058/15, 2016 წლის 10 ივნისი, დარღვევა: სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c471e112daae.pdf/5c471e112daae.pdf

[170] https://gba.ge/pdf/5e3d4f4e3bc18.pdf/019-19%20%20ar%20agdzvra%2002.12.2019.pdf

იზიარებდა პროკურორის პოზიციას მოწმის დაკითხვის დროს და რეაგირებას არ ახდენდა პროკურორის ქმედებებზე: „იმიტომ არ მაძლევთ კითხვების დასმის საშუალებას, რომ თქვენ ხართ მოტივირებული იგივე გზით, რა გზითაც პროკურორები მიდიან ბატონო მოსამართლე!“, რასაც მოჰყვა ადვოკატის გაძევება სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან. კერძო განჩინება ადვოკატის არაეთიკური ქცევის შესახებ რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 და აპეკ-ის 9.1 მუხლების შესაძლო დარღვევაზე.

ადვოკატის მიმართ დადგენილი ეთიკური ვალდებულება – პატივი სცეს სასამართლოში არსებულ ქცევის წესებს, გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი სტანდარტიდან, რომლის თანახმად „მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას“ (211 მუხლი), წინააღმდეგ შემთხვევაში, წესრიგის დარღვევისთვის მოსამართლეს უფლება აქვს გამოიყენოს შესაბამისი სანქციები (212 მუხლი). ადვოკატი სხვა მოქალაქეების მსგავსად ვალდებულია დაიცვას კანონი და ამ ვალდებულების დაცვას დამატებით უზრუნველყოფს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის მიერ სასამართლოს მიმართ უპატივცემულო ქცევამ შესაძლოა გამოიწვიოს ეთიკური ვალდებულებების დარღვევაც.

მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატების, როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალების როლი მოიცავს მთელ რიგ მოვალეობებს, განსაკუთრებით მათი ქცევის მხრივ

(Veraart v. the Netherlands, no. 10807/04, 30 November 2006; Coutant v. France (dec) o. 17155/03, 24.01.2008). დამცველების პროფესიული ქცევა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს – მათ მოეთხოვებათ თავდაჭერილი, პატიოსანი და ღირსეული ქცევა, თუმცა სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციების მიხედვით, მათ შორის, დამცველებს ეძლევათ გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოში გამოყენებული არგუმენტების თვალსაზრისით (Casado Coca v Spain, no.15450/89, 24/02/1994; Steur v. the Netherlands, no. 39657/98, 28.10.2003).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განასხვავებს შემთხვევებს, როდესაც დამცველი საკუთარ აზრს აფიქსირებს სასამართლო სხდომათა დარბაზსა ან სხვა გარემოში. „სასამართლო სხდომათა დარბაზში ქცევის დროს, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებამ შეიძლება წამოჭრას მისი კლიენტის სამართლიანი განხილვის უფლების საკითხი. სამართლიანობის პრინციპი ასევე მოქმედებს მხარეთა შორის დაუბრკოლებელი და დაძაბული შეპაექრების სასარგებლოდ. ადვოკატებს გააჩნიათ „საკუთარი კლიენტების ინტერესების გულმოდგინედ დაცვის“ ვალდებულება, რაც ნიშნავს, რომ ზოგჯერ მათ უნდა გადაწყვიტონ, გააპროტესტონ ან გაასაჩივრონ თუ არა სასამართლოს მოქმედება“ (Morice v. France, no. 29369/10, §136, 23/04/2015).

ადვოკატის დაცვის გარანტიები აღიარებულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლით, რომლის მიხედვით „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“. თუმცა აღნიშნული ნორმა არ არის შეუზღუდავი და ის შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც ადვოკატი შეურაცხყოფას აყენებს სასამართლო ხელისუფლებას.

კომისიამ შეაფასა ადვოკატის მიერ სასამართლოში განხორციელებული მოქმედება რამდენად გამომდინარეობდა კლიენტის ინტერესებიდან და მისმა ქცევამ ხომ არ გადალახა აზრის

თავისუფლებისათვის დასაშვები ზღვარი, რაც ესეოდენ მნიშვნელოვანია ადვოკატისთვის მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით.

კომისიამ გაითვალისწინა:

სასამართლო სხდომის დარბაზში ადვოკატის მიერ წარმოთქმული განცხადებები, იყო თუ არა შეურაცხმყოფელი ტერმინებით გადმოცემული ან/და განცხადებების გაკეთების დროს მისი ტონი იყო თუ არა აგრესიული.

არ დადგინდა ადვოკატის მიერ შეურაცხმყოფელი ფრაზების წარმოთქმა. ადვოკატი სხდომის მიმდინარეობის დროს წარმოთქმული ფრაზების მნიშვნელობითა და გამოთქმული ტონით აფიქსირებდა თავის აზრს საქმის მიმდინარეობის პროცესში მოსამართლის დამოკიდებულებაზე.

რამდენად გამომდინარეობდა ადვოკატის ქცევა კლიენტის ინტერესებიდან.

ადვოკატი აკრიტიკებდა მოსამართლის მოქმედებებს საქმის განხილვის მსვლელობაზე, რაც მოიცავდა მოცემულ საქმეზე მოსამართლის საქმიანობას და არა მის პროფესიულ ან სხვა თვისებებს. მოსამართლის კრიტიკა კი გამოწვეული იყო კლიენტის ინტერესების დაცვიდან, ვინაიდან ადვოკატის აზრით მოსამართლე მას არ აძლევდა კითხვების დასმის საშუალებას და მიკერძოებულ დამოკიდებულებას იჩენდა ბრალდების მხარის მიმართ.

კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის ქცევა არ შეიძლება გამხდარიყო მისი დისციპლინირების საფუძველი, ვინაიდან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დასაცავად. მაშინ როდესაც, საქმის სამართლიანი განხილვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე, ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებები მიმართული იყო სწორედ საქმის სამართლიანი განხილვისკენ და ამ საკითხზე ამახვილებდა მოსამართლის ყურადღებას. მას საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნდა საკუთარი აზრის დაფიქსირება მიმდინარე პროცესზე და მოსამართლის ქცევაზე. მართალია, ადვოკატის განცხადებები იყო კრიტიკული, თუმცა დასაშვები კრიტიკის ფარგლებში

გამოთქმული (ის არ იყო უხამსი ან/და მოსამართლის მიმართ მტრულად განწყობილი ფორმით გადმოცემული), რისი თმენის ვალდებულება მოსამართლეს გააჩნდა. შესაბამისად, ადვოკატის ქცევა ეთიკურად შეფასდა.

საქმე N077/18, 2018 წლის 9 ივლისი[171]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების პატივისცემის ვალდებულება

შედეგი: დისციპლინური წარმოების შეწყვეტა

ფაქტები: ეთიკის კომისიას მიმართა სასამართლომ.

მოსამართლემ ადვოკატების არაეთიკური ქცევის შესახებ კერძო განჩინებით მიმართა ეთიკის კომისიას. მოსამართლის განმარტებით, მისი თავმჯდომარეობით მიმდინარე სასამართლო სხდომაზე 28 მაისს ბრალდებულის ინტერესებს იცავდა ორი ადვოკატი. ადვოკატები 16 მაისს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო დააჯარიმა. 28 მაისს გამართულ სხდომაზე ადვოკატებმა დაარღვიეს წესრიგი სხდომის დარბაზში და გამოავლინეს სასამართლოსადმი უპატივცემულობა, კერძოდ, ადვოკატების შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების შესახებ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა, რის გამოც ადვოკატებმა მიიღეს პროცესის დატოვების გადაწყვეტილება. მიუხედავად სასამართლოს ზეპირი შენიშვნისა და მოწოდებისა, ადვოკატებმა თვითნებურად დატოვეს სხდომა და კლიენტი დარჩა დაცვის გარეშე. ადვოკატებმა სასამართლოში სხდომის დარბაზში დაარღვიეს წესრიგი და მათი ქმედება სასამართლოს მიერ აღქმულ იქნა აშკარა უპატივცემულობად. მოსამართლემ 28 მაისის განკარგულებით ადვოკატები გააძევა სხდომის დარბაზიდან.

ადვოკატების განმარტებით, მათ 16 მაისს ვერ შეძლეს

---

[171] https://gba.ge/pdf/5d2daefdd0997.pdf/077-18%20%20%20%2009.07.18%20%20%20%20shewyveta.pdf

სხდომაზე გამოცხადება, ვინაიდან ამავე დღეს სხვა ბრალდებულის პროცესი ჰქონდათ ჩანიშნული გორის რაიონულ სასამართლოში, რაც წინასწარ ეცნობა მოსამართლეს და დააყენეს შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე. შესაბამისად, 16 მაისს ადვოკატების სხდომაზე გამოუცხადებლობას ჰქონდა საპატიო მიზეზი და მათი გამოუცხადებლობა სასამართლოსადმი უპატივცემულობად არ უნდა შეფასებულიყო. მიუხედავად ამისა, სასამართლომ 16 მაისს მიიღო დადგენილება ადვოკატების დაჯარიმების შესახებ, არ გადადო სხდომა და იმავე პროცესზე ადვოკატების მონაწილეობის გარეშე დაკითხა რამდენიმე მოწმე. დაცვის მხარემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა პროცესის ჩანაწერი, მაგრამ ვინაიდან სასამართლო იყო შვებულებაში, ვერ მოხერხდა ჩანაწერის დროულად ჩაბარება და მოწმეთა დაკითხვის და სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების მოსმენა. შესაბამისად, დაცვის მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას სრულყოფილად განეხორციელებინა ბრალდებულის უფლებების დაცვა. ბრალდებული წინააღმდეგი იყო ადვოკატის მონაწილეობის გარეშე მიეღო მონაწილეობა მოწმეთა გამოკითხვაში. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც მიიღო გადაწყვეტილება საქმისათვის არებითად მნიშვნელოვანი მოწმეების დაკითხვის შესახებ იმ პირობებში, როდესაც ადვოკატებს ჰქონდათ პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

დაცვის მხარეს ასევე გასაჩივრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 მაისის განკარგულება ადვოკატის დაჯარიმების შესახებ, რაზეც სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა ნამსჯელი და ადვოკატის გამოუცხადებლობის საპატიობის თუ არასაპატიობის მიზეზი არ იყო გადაწყვეტილი, შესაბამისად, ეჭვქვეშ იყო პროცესზე ადვოკატის მონაწილეობის გარეშე მოწმეთა დაკითხვის კანონიერების საკითხი. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა პროცესის გადადების შესახებ, რითიც დაცვის

მხარე ჩააყენა არათანაბარ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან და წაართვა საშუალება სრულყოფილად დაეცვა ბრალდებულის ინტერესები. ბრალდებულმა განაცხადა, რომ არ სურდა პროცესში მონაწილეობა და მისი მითითებით ადვოკატებმა გააკეთეს პროცესზე განცხადება, რომ არც ბრალდებული და არც ადვოკატები აპირებდნენ პროცესში მონაწილეობას და ტოვებდნენ სხდომის დარბაზს. სწორედ აღნიშნულს მოყვა ადვოკატების დაჯარიმება და სხდომის დარბაზიდან გაძევება.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მოცემულ საქმეზე გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება და შეწყვიტა ადვოკატების მიმართ დისციპლინური წარმოება. კერძოდ, ადვოკატებმა გაასაჩივრეს მათი დაჯარიმებისა და სხდომის დარბაზიდან გაძევების განკარგულება, სააპელაციო ინსტანციამ დააკმაყოფილა ადვოკატების მოთხოვნა არ შეაფასა რა მათი ქცევა სასამართლოს უპატივცემულობად. (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 ივნისის განჩინება, საქმე N1ბ/სპ-18-18)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, „ადვოკატი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას.“ ამავე კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, „ადვოკატს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ბრალდებულის მითითების და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“ ხსენებული ნორმის შინაარსით დადგენილია ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა სამართალწარმოების პროცესში, რაც გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას ყველა კანონიერი საშუალების და ხერხის გამოყენებით დაიცვას კლიენტი. ადვოკატის მოქმედებები შეზღუდულია ბრალდებულის მითითებებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით. ადვოკატი ვალდებულია დამოკიდებული იყოს დასაცავი პირის პო-

ზიციაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს სისხლის-სამართლებრივი დევნის ორგანოებთან, ასევე სასამართლო ხელისუფლებასთან, სათანადო ურთიერთობის განხორციელებისთვის საჭირო სამართლებრივი განათლება (სამართლებრივი ნორმის ცოდნა და სათანადოდ გაგება) ან პროფესიული გამოცდილება შესაძლოა არ გააჩნდეს, ადვოკატი მოვალეა კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ფარგლებში სათანადოდ შესთავაზოს მას მისი ნების შესაბამისი სტრატეგია დაცვის უფლების უკეთ განხორციელებისთვის. ადვოკატის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბრალდებულის ინტერესები და შესაბამისი მოთხოვნები კანონიერ ფარგლებში მოაქციოს და ყველა ნორმის დაცვით წარადგინოს ისინი მოსამართლის წინაშე.

მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის პოზიცია, რომ ადვოკატებს პროცესში არ მიეღოთ მონაწილეობა, იწვევდა ადვოკატთა ვალდებულებას აღნიშნული მოთხოვნა უპირობოდ შეესრულებინათ. ასეთი მოთხოვნის შესრულება შეიძლება განხილული იქნას დაცვის უფლების ჭრილში, ვინაიდან ადვოკატის ნებისმიერი საპროცესო მოქმედება, დაცვის უფლებიდან გამომდინარე, უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს მითითებები მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც გამართლებულია ბრალდებულის დაცვის ინტერესებით.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ადვოკატებმა სასამართლოს მიმართეს სასამართლო სხდომის ოქმის გადაცემის მოთხოვნით. თუმცა მათი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს ოქმის მხარეებისთვის გაცნობის შესაძლებლობა.“

ადვოკატმა დააყენა სხდომის გადადების შუამდგომლობა იმ საფუძვლით, რომ მისი მონაწილეობის გარეშე 16 მაისს დაიკითხა რამდენიმე მოწმე. დაცვის მხარემ მიმართა განცხადებით სასამართლოს აღნიშნული პროცესის ჩანაწერის გადმოცემის მოთხო-

ვნით, მაგრამ ვინაიდან სასამართლო იყო შვებულებაში, ვერ მოხერხდა ჩანაწერის დროულად ჩაბარება და მოწმეთა დაკითხვის შინაარსის გაცნობა. შესაბამისად, მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებების მოსმენის გარეშე დაცვის მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას სრულყოფილად დაეცვა ბრალდებულის უფლებები.

წარმოდგენილი მასალებით არ დადგინდა, რომ ადვოკატების მიზანს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა წარმოადგენდა. ადვოკატების ქმედება თანხვედრაში იყო დაცვის უფლების განხორციელების უპირატეს უფლებასთან, რაც ასევე გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის C ქვეპუნქტით, რომლის შინაარსის მიხედვით ყველა პირს უფლება აქვს დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები. ასევე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.“ შესაბამისად, მოსამართლემ განკარგულების გამოტანამდე ზეპირი შენიშვნა უნდა მისცეს წესრიგის დამრღვევ პირს და მოუწოდოს შეწყვიტოს არასათანადო ქცევა

და მხოლოდ ამ წინაპირობის შემდეგაა სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილი (კვლავ დაუმორჩილებლობის) შემთხვევაში, ადგილზე გამოტანილი განკარგულებით დააჯარიმოს პირი ან/და გააძევოს სხდომის დარბაზიდან. კანონის მითითებული დანაწესი იმპერატიული ხასიათისაა და სავალდებულო შესრულებას ექვემდებარება.

მოსამართლის მიერ ამგვარი შენიშვნა და მოწოდება უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები, აღქმადი და არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. იგი უდავოდ გულისხმობს განმარტების შინაარსობრივ მხარეს, რაც აუცილებელია წესრიგის დარღვევისთვის საპროცესო პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისთვის. კერძოდ, მოსამართლემ პირს მკაფიოდ უნდა განუმარტოს მისი ქმედების წინააღმდეგობა სასამართლოში დადგენილ წესებთან და ასევე, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. სწორედ ამიტომ, ზოგადი მითითება და მოწოდება, რომელიც არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და განმარტებული (რასაც განსახილველ საქმეზე ჰქონდა ადგილი) ვერ ჩაითვლება არასათანადო ქცევისათვის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის ან/და გაძევების გამოყენების წინაპირობად.

სასამართლომ არ დაადგინა ადვოკატების მხრიდან მოსამართლის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა, რასაც შესაძლოა სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევა გამოეწვია და გააუქმა სასამართლოს განკარგულება ადვოკატების დარბაზიდან გაძევებისა და დაჯარიმების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა რა სასამართლოს კერძო განჩინებას ადვოკატების არაეთიკური ქცევის შესახებ, კომისიამ შეწყვიტა დისციპლინური წარმოება ადვოკატების მიმართ.[172]

---

[172] მსგავსი დისციპლინური საქმე 044/17, 2017 წლის 4 ივლისი; შეწყდა დისციპლინური წარმოება

9.2 სასამართლოსთან ურთიერთობის წესის დარღვევა

საქმე N027/19, 2019 წლის 17 სექტემბერი[173]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი

დარღვევა: სასამართლოსთან კომუნიკაციის წესი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას მიმართა სასამართლომ.

სასამართლო წარმოებაში მხარის ადვოკატი საქმის განმხილველ ერთ-ერთ მოსამართლესთან საქმესთან დაკავშირებით შემდეგი ფორმებით ურთიერთობდა: გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებები: „მოგესალმებით... თქვენთან კონსულტაცია მჭირდება, იქნებ მიმიღოთ შეხვედრაზე, პატივისცემით ადვოკატი.“ „თქვენ კარგად მიცნობთ, ამ ხელისუფლების მოყვანაში და მხარდაჭერაში ჩემი წვლილი მაქვს... როგორც პიროვნულად, ისე ორგანიზაციით...“, „ძალიან გთხოვთ დამეხმარეთ რა... თუ არ გცალიათ, რომ შევხვდეთ... (წერს საქმის მხარეებს) და დაგვიკმაყოფილოთ მოთხოვნა, ძაან გთხოვთ რა... ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები... პატივისცემით კეთილი სურვილებით, ვცდილობ მეც გავხდე მოსამართლე.“ ასევე როდესაც მოსამართლე კოლეგებთან ერთად იმყოფებოდა სამუშაო შეხვედრაზე, მის მწერალ-თანაშემწეს სამსახურის ტელეფონის შიდა ნომერზე დაუკავშირდა ადვოკატი და ითხოვა მოსამართლესთან შეხვედრა. მას შემდეგ რაც, თანაშემწის მიერ არაერთგზის განემარტა, რომ მოსამართლე არც ადვოკატებს და არც მხარეებს შეხვედრაზე არ იღებდა და ვერ შეხვდებოდა, ადვოკატმა დატოვა სასამართლოს შენობა; ადვოკატმა მოსამართლეს პირად მობილურის ნომერზე დაურეკა ოთხჯერ.

[173] https://gba.ge/pdf/5e2ff0dfec614.pdf/027.19%20%20kerdzo%20sarekomendacio%2017.09.2019.pdf

ადვოკატის ქცევა ჩაითვალა „საერთო სასამართლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის XII[1] თავის მოთხოვნათა დარღვევად და ადვოკატი დაჯარიმდა სასამართლოს მიერ, ასევე მოითხოვეს ეთიკის კომისიის მხრიდან გამოყენებულიყო კანონით გათვალისწინებული ღონისძიება ადვოკატის მიმართ მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციიდან გამომდინარე.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, ადვოკატი მოსამართლეს დაუკავშირდა კონკრეტული საქმის არსებით საკითხზე კონსულტაციის მისაღებად აკრძალული ფორმით, რითიც დაარღვია აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

ადვოკატმა კლიენტის დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული საშუალებები, დაუშვებელია კლიენტის ინტერესების დასაცავად მოსამართლეზე რაიმე სახის ზეგავლენა. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან და მიზნად ისახავს სასამართლოზე ნებისმიერი ზეგავლენის განხორციელების აკრძალვას ან იმის შთაბეჭდილების შექმნას, რომ რადგან სასამართლო ახორციელებს ცალკე კომუნიკაციას მხარესთან ან მის წარმომადგენელთან, ის მიკერძოებულია. ექსპარტე კომუნიკაციის დაუშვებლობა სასამართლოს მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის და მართლმსაჯულებისადმი ნდობის არსებობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

„ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მათ ანიჭებთ ცენტრალურ პოზიციას მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამდენად, ისინი თამაშობენ საკვანძო როლს იმის უზრუნველყოფაში, რომ სასამართლოები, რომელთა მისია ფუნდამენტურია კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ სახელმწიფოში, საზოგადოების თვალში ნდობით სარგებლობდნენ“ (იხ. Schöpfer v. Switzerland, 20.05.1998 §29-30; Nikula v. Finland,

N31611/96, 26.06.2002, §45; Amihalachioaie v. Moldova, N60115/00, §27; Kyprianou v. Cyprus N73797/01, 15.12.2005, §173; André and Another v. France, N18603/03, 24.07.2008, §42).

ექსპარტე კომუნიკაციის აკრძალვა საქმის განმხილველ მოსამართლესთან მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელი პრინციპია და გამომდინარეობს ერთის მხრივ: მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპიდან – კონსტიტუციის 62.5 მუხლი (ძველი რედაქციით 85.3 მუხლი), მეორეს მხრივ, საზოგადოებაში მართლმსაჯულების მიუკერძოებლად განხორცილების აღქმის დამკვიდრების საჭიროებიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 85.3 მუხლის განმარტებისას დაადგინა, რომ „თანასწორობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ერთმანეთთან მიმართებით არ დაექვემდებარონ განსხვავებულ მოპყრობას და რომელიმე არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში. თანასწორობა შეჯიბრებითობის აუცილებელი პირობაა, რადგან შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებები – საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებაზე და მტკიცებულებაზე აზრის გამოთქმის, გაქარწყლების და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა გააჩნდეს ყველა მხარეს.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. 29.09.2015, პარაგრაფი 19). ექსპარტე კომუნიკაციის შედეგად მეორე მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, უარყოს ან სხვანაირად გააქარწყლოს მხარის მიერ მოსამართლისთვის მიწოდებული ინფორმაცია, შესაბამისად იზღუდება შეჯიბრებითობის და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 721-ე მუხლის

პირველ ნაწილში კონკრეტულად არის მითითება, პროცესის მონაწილის მხრიდან კომუნიკაციის აკრძალვაზე „იმ მოსამართლესთან, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს.“ მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობის პრინციპი ზოგადი ხასიათისაა და ნებისმიერ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს, იქნება ეს რჩევის მიღება თუ დახმარების თხოვნა, ან უბრალოდ ინფორმაციის მიწოდება საქმესთან დაკავშირებულ არსებით საკითხებზე. არ აქვს მნიშვნელობა კომუნიკაცია ცალმხრივია თუ ორმხრივი, ის განხორციელდა, თუ ადგილი ჰქონდა მხოლოდ მის მცდელობას. ზოგადად სავარაუდოა მოსამართლესთან კომუნიკაციის მხოლოდ ცალმხრივი ხასიათი, რადგან მოსამართლეებს ეკრძალებათ უკანონო კომუნიკაციაში ჩართვა. „საუბარია არა მარტო საქმიან შეხვედრებზე, არამედ მეგობრულ და არასაქმიან გარემოში შეხვედრებზეც, რომლის დროსაც ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს მოსამართლესთან კონკრეტული საქმის განხილვისა და მასზე საუბრისგან.“[174]

ადვოკატმა უნდა დაიცვას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზოგადი სტანდარტი და ამ ვალდებულების დაცვას დამატებით უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსი, რომელიც საერთო სასამართლოების შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოსამართლესთან კომუნიკაცის წესის დარღვევას აფასებს ადვოკატის ეთიკურ გადაცდომად. შესაბამისად, ზოგადი აკრძალვა ექსპარტე კომუნიკაციის კიდევ უფრო მკაცრია ადვოკატებთან

[174] ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 119 https://gba.ge/pdf/5c3ca52befe6d.pdf/5c3ca52befe6d.pdf

მიმართებით, ვინაიდან ის უკავშირდება ადვოკატის მაღალ სტატუსს და მის უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ადვოკატები წარმოადგენენ თვითრეგულირებად პროფესიას, ისინი მონაწილეობენ განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამაში და მათთვის კარგად ცნობილი უნდა იყოს მოსამართლესთან ექსპარტე კომუნიკაციის დაუშვებლობა და საქმის შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის დაცვით განხილვის მნიშვნელობა.

მიუხედავად ამისა, ადვოკატი მოსამართლესთან გაგზავნილ შეტყობინებებში, პირდაპირ მიუთითებდა სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის მხარეებს და მისთვის სასურველ შედეგს. შესაბამისად, ადვოკატის მიზანი ამ მოქმედებების განხორციელების დროს იყო კონკრეტულ საქმეზე მოსამართლისთვის ინფორმაციის მიწოდება და მისი დახმარება საქმეზე ადვოკატისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად.

9.3 სასამართლოსათვის ყალბი მტკიცებულებების წარდგენის აკრძალვა

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატი თავისუფალია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს, პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპი კი აძლევს ადვოკატს უფლებას, არ მიიღოს მონაწილეობა კლიენტის უკანონო ქმედებებში და, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზეზით, არ დაარღვიოს სასამართლოში მოქმედი წესები, წინასწარი შეცნობით არ მიაწოდოს სასამართლოს ყალბი მტკიცებულება, არ მიიღოს მონაწილეობა ასეთი ტიპის მტკიცებულების შექმნაში. აღნიშნული წესის დაუცველობა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს და არ ემსახურება კლიენტის კანონიერი ინტერესების რეალიზებას, ამ შემთხვევაში ადვოკატი წარმოადგენს დამრღვევ მხარეს, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით ცდილობს დააკმაყოფილოს

კლიენტის არაკანონიერი ინტერესები.[175] წერილობით რეკომენდაციაში კომისიამ უპასუხა ადვოკატის შეკითხვას თუ დაირღვეოდა კოლეგიალობის პრინციპი იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წარმოებაში ადვოკატი დამალავდა სამკვიდრო დავასთან დაკავშირებულ ისეთ ინფორმაციას, რაც საქმეში ჩართული მეორე ადვოკატისთვის ცნობილი იყო და ეს ადვოკატები ერთმანეთს იცნობდნენ. ინფორმაციის დამალვა გახდა მოსამართლის შეცდომაში შეყვანის და კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, თუმცა ადვოკატმა, ვისთვისაც ცნობილი იყო სწორი ინფორმაცია, მოითხოვა ქონების უმკვიდროდ ცნობა ცრუ ფაქტებისა და ყალბი მტკიცებულებების მითითებით.[176]

კომისიამ კოლეგიალობის პრინციპი დარღვეულად არ მიიჩნია, რადგან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების შესაბამისად. ადვოკატის მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, არ წარმოადგენს კოლეგის უპატივცემულობასა და პროფესიული სტანდარტების დარღვევას, იმის გამო, რომ ადვოკატი იცნობდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს და ადვოკატს ჰქონდა ინფორმაცია ქონების მემკვიდრის არსებობის შესახებ, თუმცა ამ ქონების უმკვიდროდ ცნობის თაობაზე მიმართა სასამართლოს.[177]

შეკითხვიდან ასევე ირკვეოდა, რომ ადვოკატმა ცრუ ფაქტების მითითებით მოითხოვა ქონების მეორე ნახევრის უმკვიდროდ ცნობა. კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას კანონსაწინააღმდეგოდ არ უნდა იმოქმედოს. ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა სასამართლოს არ

---

[175] ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 119 https://gba.ge/pdf/5c3ca52befe6d.pdf/5c3ca52befe6d.pdf

[176] წერილობითი რეკომენდაცია N005/13, 2013 წლის 6 ივნისი https://gba.ge/pdf/5c7fbb12ccf26.pdf/06%20June%202013%20005.13.pdf

[177] იქვე

წარუდგინოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება და არ მიუთითოს ცრუ ფაქტებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატი დაარღვევდა აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილს. ადვოკატმა განზრახ არ უნდა მიუთითოს ისეთ ფაქტებზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება და არ წარადგინოს სასამართლოს წინაშე მტკიცებულებები, რომლებიც ყალბია და ამის თაობაზე ადვოკატისათვის ცნობილია.[178]

მოცემულ ეთიკურ ვალდებულებაზე იმსჯელა კომისიამ დისციპლინურ საქმეშიც. კერძოდ, შეწყალების შესახებ განცხადების წარუდგენლობის კლიენტის პრეტენზიასთან დაკავშირებით, ადვოკატს დისციპლინური საქმის საპროცესო წესით განხილვისას არ წარმოუდგენია შეწყალების შესახებ განცხადების ტექსტი ან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მისი ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. შესაბამისად, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას არ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ შეწყალების შესახებ განცხადების მომზადებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩაბარების შესახებ. ადვოკატმა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მას საქმის საპროცესო წესით გამოკვლევისას არ მიეცა საკმარისი დრო მტკიცებულებების წარმოსადგენად, რის გამოც მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა შეწყალების შესახებ განცხადების წარუდგენლობის ვარაუდი. დისციპლინური საქმის განხილვისას ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე იმის დასტურად, რომ მან ნამდვილად წარადგინა კლიენტის შეწყალების განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, წარმოადგინა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დოკუმენტის რეგისტრაციაში გატარების შესახებ საბუთი, რომელზეც მითითებული იყო დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრაციის ნომერი და მიმღების ხელმოწერა.[179]

---

[178] იქვე

[179] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 133/13, 02 ოქტომბერი 2015 წელი; დადგინდა სასამართლოს მსგავსი ორგანოსთვის ყალბი მტკიცე-

ეთიკის კომისიამ გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიიდან. პასუხის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სარეგისტრაციო მონაცემების თანახმად, ადვოკატის მიერ წარმოდგენილი რეგისტრაციის ბარათის ნომრით არ იყო რეგისტრირებული მომჩივანის სახელზე განცხადება. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სხვა განცხადების სარეგისტრაციო ბარათის მტკიცებულების სახით გამოყენებით, ადვოკატმა წინასწარი შეცნობით მიაწოდა ეთიკის კომისიას შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე ნაწილების მოთხოვნები.[180]

9.4.1 სასამართლოს მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოებთან ქცევის სტანდარტი

აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლო კომუნიკაციის სტანდარტი თანაბრად ეხება პროფესიული საქმიანობის განხორციელების ყველა ასპექტს.

ისევე, როგორც აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ორგანოები, ეთიკის კომისია წარმოადგენს ქვაზი – სასამართლოს ფუნქციის მატარებელ ორგანოს და ამ თავით განხილული ყველა პრინციპის დაცვა დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობისას ადვოკატს თანაბრად ევალება.[181]

კომისიის განმარტებით, ეთიკის კომისია ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლი-

---

ბულების მიწოდების აკრძალვა, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c484f79da0dd.pdf/5c484f79da0dd.pdf

[180] იქვე

[181] ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 119 https://gba.ge/pdf/5c3ca52befe6d.pdf/5c3ca52befe6d.pdf

ნური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი.[182]

კომისია არ არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობით დატვირთული, იგი წარმოადგენს პროფესია ადვოკატის დამცველ შემადგენლობას, გუნდს, რომელიც იცავს მას არაეთიკურად, არაპროფესიონალურად მოქმედი ადვოკატებისაგან, რა დროსაც მან მუდმივად უნდა ეძებოს ბალანსი, მათ შორის ისეთი უფლების ქვაკუთხედთან, როგორიც სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლებაა.[183]

ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დარღვევა და ეთიკის კომისიისადმი უპატივცემულობა არღვევს როგორც საჯარო წესრიგს, ასევე პროფესიულ სტანდარტსა და ადვოკატის პროფესიისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებას. ეთიკის კომისია არის დამოუკიდებელი, თვითმმართველი დისციპლინური დევნის ორგანო, რომელიც კომპლექტდება ადვოკატთა კორპუსის მიერ და მისი საქმიანობის ამოცანაა საადვოკატო პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება და ადვოკატთა მხრიდან აღნიშნული ქცევის წესების დაცვაზე კონტროლი. ეთიკის კომისია საქმის განხილვით ეხმარება ადვოკატს შეაფასოს თავისი ქმედებები პროფესიული ქცევის სტანდარტების კუთხით და გაარკვიოს კლიენტის პრეტენზიათა საფუძვლიანობა, ხოლო ეთიკის კომისიის მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება

[182] საქმე N025/12, 2012 წლის 3 ოქტომბერი, ადვოკატის მხრიდან დადგინდა ეთიკის კომისიაში მოწინააღმდეგე მხარის პატივისცემის ვალდებულების დარღვევა, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c4837467feb9.pdf/5c4837467feb9.pdf

[183] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 099/14, 24 დეკემბერი 2014. წარმოების დაწყების საფუძველი ეთიკის კომისიის წევრის საჩივარი გახდა მოპასუხე ადვოკატისადმი, რომელმაც წერილობით გააკრიტიკა გადაწყვეტილების მიმღები კომისიის წევრი. ადვოკატის მხრიდან არ დადგინდა ეთიკის კომისიისადმი უპატივცემულობა. https://gba.ge/pdf/5c4c42a5c9dc1.pdf/5c4c42a5c9dc1.pdf

წარმოადგენს იმ სტანდარტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა ადვოკატმა სამომავლო მოქმედებებისთვის.[184]

კომისიის შეფასებით, დისციპლინური წარმოება სპეციფიურია იმ მხრივ, რომ წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების მიმართ, ამ დავაში კლიენტი ხდება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარე, შესაბამისად, საქმის განხილვისას ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ემოციური ფონი მაღალია. ადვოკატს მისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე ევალება პროფესიის სახე ღირსეულად წარმოაჩინოს ყველა ვითარებაში და საკუთარი ინტერესები დაიცვას მოწინააღმდეგე მხარის (ყოფილი კლიენტის) უფლებების შელახვის გარეშე. ადვოკატს მოქალაქესთან შედარებით მეტი თმენის ვალდებულება აქვს, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელ მოქმედებაზე რეაგირების ისეთი ფო-

---

[184] საქმე N083/14, 2017 წლის 02 თებერვალი, ადვოკატის მხრიდან დადგინდა ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დაცვის ვალდებულების დარღვევა, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c58291f1a683.pdf/5c58291f1a683.pdf
ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დს-შ/3-17 სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ადვოკატის მიერ ეთიკური გადაცდომის ჩადენა, თუმცა ადვოკატისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ნაწილში შეიცვალა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება და ადვოკატს 12 თვის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ნაცვლად სახდელის სახით განუსაზღვრა გაფრთხილება.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/3-17; https://gba.ge/pdf/5c4c0ecdbc63c.pdf/5c4c0ecdbc63c.pdf
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „ადვოკატს გააჩნდა თმენის ვალდებულება და იგი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ..ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები), დაიცვას და პატივი სცეს მოქმედ ქცევის წესებს, ამასთანავე, ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟსა და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულების ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი).“

რმების შერჩევის უზრუნველყოფას, რომლითაც არ დაირღვევა პროფესიული ქცევის წესები.[185]

ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებთან თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, როგორც პროფესიის წარმომადგენელს, ავალდებულებს ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, მათ შორის, როდესაც მის წინააღმდეგ იხილება საქმე სასამართლოში თუ სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოში. ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ. ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფა შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც ეთიკის კომისიის შეურაცხყოფა, ისევე, როგორც სასამართლოში შეუფერებელი ქცევა და მხარის შეურაცხყოფა მიიჩნევა სასამართლოს შეურაცხყოფად.[186]

წერილობით რეკომენდაციაში კომისიამ იმსჯელა ადვოკატის ქცევაზე მედიაციის სესიის მიმდინარეობისას და აღნიშნა, რომ შეკითხვაში დასმული ფრაზებით, რაც ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარის მისამართით გამოიყენა, ადვოკატი შესაძლოა ზიანს აყენებდეს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობას, კლიენტის ინტერესებს და მისი ქცევა არ შეესაბამებოდეს საკითხის განმხილველი სასამართლოს მსგავს ორგანოში არსებულ წესებს და, პირიქით, ხელს უშლიდეს იურიდიულ პროცედურას.[187]

---

[185] იქვე

[186] ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 047/13, 2014 წლის 27 იანვარი; დადგინდა პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულების დარღვევა, კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4720069b0e2.pdf/5c4720069b0e2.pdf

[187] წერილობითი რეკომენდაცია N006/15, 2015 წლის 4 სექტემბერი https://gba.ge/pdf/5c7fb7755c515.pdf/04%20September%202015%20006.15.pdf

9.4.2 კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლო ან სასამართლოს მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოში მიმდინარე პროცესის მონაწილეებთან

ეთიკის კომისიის სტატისტიკით პროცესის მონაწილეები, ვინც დაობს ადვოკატის მხრიდან მათი უფლებების შელახვაზე, საჩივრების მომართვიანობით მეორე ადგილზე არიან. შესაბამისად, კომისიას აქვს დადგენილი პრაქტიკა პროცესის მონაწილეებთან ადვოკატის ურთიერთობის ქცევის სტანდარტზე, რაც შემდეგში გამოიხატება:

ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის ინტერესების დაცვის პარალელურად, არ უნდა დაარღვიოს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებები, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარის.[188]

ადვოკატმა ნებისმიერ მდგომარეობაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის სიტყვიერი შეურაცხყოფა ცდება პროფესიული ქცევის ფარგლებს. პროცესის მონაწილე პირის მიერ ადვოკატის მისამართით გამოხატული აგრესია და შეურაცხმყოფელი ეპითეტის გამოყენება, არ აძლევს ადვოკატს უფლებას ასევე შეურაცხმყოფელი განცხადებით მოახდინოს აღნიშნულზე რეაგირება. თავისუფალი პროფესიის მიუხედავად, ადვოკატს გარკვეული თმენის ვალდებულება აკისრია. ადვოკატის შეურაცხმყოფელი შეპასუხება პროცესის მონაწილისადმი, რაც კლიენტის ინტერესების დაცვიდან არ გამომდინარეობს და შინაარსობრივად არ ექცევა გამოხატვის

[188] საქმე N075/11, 2011 წლის 24 იანვარი, კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილის მიმართ უპატივცემულობა, კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4ebcbad090C.pdf/5c4ebcbad090C.pdf

თავისუფლების ფარგლებში, არ სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.[189]

პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისთვის შეურაცხმყოფელი ფრაზებით მიმართვა, ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობას გამოხატავს, ლახავს პროცესის მონაწილე პირის უფლებებს და არ წარმოადგენს პროფესიულ, საქმიან დამოკიდებულებას საკითხისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს შეიძლება არ გააჩნდეს პირადი ინტერესი და ის სარგებლობს სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლებით, თუ მის მიერ მოწინააღმდეგისადმი მიმართვას არ აქვს საქმიანი დანიშნულება, არ აქვს პროფესიული (საადვოკატო) საქმიანობის არც ერთი მიზანი (კლიენტის ინტერესების გატარება ან დაცვა, სამართლებრივი შედეგის შეცვლა ან სხვა), ივარაუდება, რომ ის სცდება საადვოკატო საქმიანობისას პროფესიული ქცევის ფარგლებს.[190]

საქმე N104/16, 2017 წლის 06 ოქტომბერი[191]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემა

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – გაფრთხილება

---

[189] საქმე N114/13, 2014 წლის 02 ივნისი, კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილის მიმართ უპატივცემულობა, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5c484af833479.pdf/5c484af833479.pdf

[190] 043/14, 15 ოქტომბერი 2014 წელი; დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4720d8e6405.pdf/5c4720d8e6405.pdf

საქმე N035/15, 2016 წლის 20 ივლისი, დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5e3d1b37a9afd.pdf/035-15%20kerzo%20sarekomendacio%20barati%2020.07.2016.pdf

საქმე N014/13, 2013 წლის 26 ივლისი, დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება, შედეგი: კერძო სარეკომენდაციო ბარათი https://gba.ge/pdf/5c4c50738c086.pdf/5c4c50738c086.pdf

[191] https://gba.ge/pdf/5d1b24c0ba57e.pdf/104.16%2006.10.2017%20gafrtxileba.pdf

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ყოფილმა კლიენტმა.

ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრის ავტორი – ყოფილი კლიენტი, საჩივრის საპასუხოდ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში მოიხსენია შემდეგი ფრაზებით: „ნაბიჭვარი'', „სახეს გავუნგრევ'', „უზრუნველყავით მისი უსაფრთხოება". ხოლო დისციპლინური წარმოების პარალელურად სატელეფონო საუბრისას ადვოკატმა ყოფილ კლიენტს უთხრა ფრაზა: „სადაც შეგხვდები, თავს გაგინგრევ".

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის ქცევა ეთიკის კომისიამ შეაფასა როგორც დისციპლინური პროცესის მონაწილის შეურაცხყოფა და დაადგინა გადაცდომა (აპეკ-ის 9.4 მუხლის დარღვევა). კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის ამ ფორმით მოხსენიება, სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ მხარის, ყოფილი კლიენტის უფლებების შელახვას წარმოადგენს. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ეთიკის კომისიის ერთვაროვან პრაქტიკას მოცემულ საკითხზე.

საქმე N118/18, 2019 წლის 24 ივლისი[192]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემა

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულებმა.

[192] https://gba.ge/pdf/5e4a367453fda.pdf/118.18%20gafrtxileba%20-%2024.07.2019.pdf

ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს სამოქალაქო დავაში. კლიენტის მიმართ პარალელურად მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. კლიენტის მითითებით, ადვოკატმა კლიენტის სოციალურ გვერდზე გამოაქვეყნა კლიენტის მიერ შედგენილი წერილი, ავტორად კლიენტის მითითებით, რომელიც დასათაურებული იყო შემდეგნაირად „მიმართვა კომპანიის დაზარალებულებს", ვრცელ წერილში მითითებულია შემდეგი ფრაზა – „პროკურორის ხალხი ხართ, მაგრამ სად წამიხვალთ, მაშინ როდესაც სტრასბურგის სასამართლო ციხიდან გამომიშვებს? ტ...დან გიხმართ, პროკურორთან (ვინაობა) ერთად".

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტის დავალებით სოციალურ ქსელში წერილის განთავსებით, რომელიც შეიცავდა საჩივრის ავტორთა მიმართ შეურაცხმყოფელ ტერმინებს, შელახა პროცესის მონაწილე – დაზარალებულთა უფლებები.

ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორატიულ მიზანს ემსახურება. ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ.[193]

კომისიის განმარტებით, ციტირებულ ფრაზას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა საზოგადოებაზე და მისი ღირებულება არ წარმოადგენდა დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ მნიშვნელობას, რომლის გამოც ის მოექცეოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში.[194] ადვოკატს

[193] საქმე N047/13, 2014 წლის 27 იანვარი, დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება, შედეგი – კერძო სარეკომენდაციო ბარათი
https://gba.ge/pdf/5c4720069b0e2.pdf/5c4720069b0e2.pdf

[194] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის 1(ვ) მუხლით უხამსობა განმარტებულია, როგორც განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან

წერილი თავად არ დაუწერია, თუმცა იცნობდა მის შინაარსს და თავად გამოაქვეყნა ის. ადვოკატის განმარტებით, სოციალურ ქსელში წერილის განთავსებისას ის ასრულებდა კლიენტის მიერ მიცემულ დავალებას, რომელსაც მოიაზრებდა საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებად, რაშიც იღებდა შესაბამის ანაზღაურებას.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონიც და აპეკ-იც ერთიანია იმ საკითხში, რომ კლიენტის დასაცავად ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ვალდებულებებით. კანონის 6.1 მუხლის თანახმად „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. აპეკ-ის 5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“.

სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს; „ზოგადად მორალის (და, შესაბამისად, უხამსობის) დეფინიციის უნივერსალური ცნება არ არსებობს. თავად უხამსობის კანონისმიერი დეფინიციის მიხედვით, ამა თუ იმ გამოხატვის უხამსობად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები. ამასთან, სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად უხამსობის შეზღუდვა და შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (სუს-ის 2012 წლის 20 თებრვლის გადაწყვეტილება, №ას-1278-1298-2011). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილებაში გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს“.

მხარეებს შორის შორის არსებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა გასცდა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილ საადვოკატო საქმიანობათა ჩამონათვალს, რადგან ადვოკატს კლიენტის ტექნიკური დავალებები უნდა შეესრულებინა. მიუხედავად ამისა, მსგავს შემთხვევებშიც, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ქცევის სტანდარტებით, ვინაიდან მას კლიენტის დავასთან თუნდაც ირიბად დაკავშირებული დავალებების შესრულების დროს უნარჩუნდება ეთიკური ქცევის ვალდებულება, ვინაიდან „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალური ნორმები მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“ (სუს-ის სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, №დს-შ/5-15).

ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედებისას დაკმაყოფილებული უნდა იყოს ორი კუმულატიური წინაპირობა: ინტერესი უნდა იყოს კანონიერი, ასევე კანონიერი ინტერესის მიღწევის მიზნით ადვოკატის მოქმედება უნდა იყოს კანონიერი და ჯდებოდეს პროფესიული ეთიკის ფარგლებში. ამ შემთხვევაში ორივე წინაპირობა დაირღვა. კლიენტის კანონიერი ინტერესი ვერ იქნება პროცესის მონაწილე პირისათვის (ამ შემთხვევაში დაზარალებულებისთვის) უხამსი მიმართვა, შეურაცხყოფა და ისეთი ტერმინები, რაც მიუღებელია საზოგადოებაში, იწვევს პირის პატივისა და ღირსების შელახვას. ასევე, დაუშვებელია ადვოკატის მიერ უხამსი გამონათქვამის გამოქვეყნებაში რაიმე სახით მონაწილეობის მიღება.

ადვოკატი, როგორც – მართლმსაჯულების განხორციელებაში უშუალოდ მონაწილე პირი, (ზოგ ქვეყანაში მას მართლმსაჯულების მსახურად მოიხსენიებენ) ასეთი მაღალი სტატუსიდან

გამომდინარე, შებოჭილია ვალდებულებით – პატივი სცეს და არ შელახოს პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირის უფლება, მათ შორის დაზარალებულის უფლება. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ კლიენტის მიმართ ვალდებულებების გარდა ადვოკატს აქვს ვალდებულებები საზოგადოების, მართლმსაჯულების, პროფესიის მიმართ. ადვოკატი ვერ იქნება ბრმა იარაღი კლიენტის ხელში. რაც შეიძლება მოიმოქმედოს კლიენტმა (ვისზეც არ ვრცელდება პროფესიული ეთიკა), ვერ განახორციელებს ადვოკატი.

ადვოკატმა გაავრცელა კლიენტის მიერ დაწერილი უხამსობის შემცველი წერილი, რომელიც საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის იქნებოდა მიუღებელი და შეურაცხმყოფელი. ფართო საზოგადოებისათვის სადავო წერილის გამოქვეყნება განსაკუთრებით ზიანის შემცველია ადრესატისადმი. შესაბამისად, კომისია არ დაეთანხმა ადვოკატს, რომ წერილის გავრცელებით ზიანი არ მიადგა დაზარალებულ მხარეს, ვინაიდან ადვოკატის მოქმედებამ ხელი შეუწყო წერილის ხელმისაწვდომობას, წერილში მოცემული უხამსი ფრაზები კი არამარტო ობიეტური თვალთახედვით აყენებდა მის ადრესატს მორალურ ტკივილს, არამედ სუბიექტურადაც. ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული წერილი შეიცავდა უხამსობას, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს, ხოლო ასეთი შინაარსით წერილის გამოქვეყნება არ ემსახურებოდა კლიენტის ინტერესების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. ადვოკატს უნდა გამოეჩინა გონივრული წინდახედულება და თავი უნდა შეეკავებინა წერილის მსგავსი სახით გამოქვეყნებისაგან.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. 2020 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით Nსსდ-32-19, სასამართლომ კომისიის გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება გაიზიარა, თუმცა არ დაეთანხმა კომისიას ადვოკატისთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობის ფორ-

მაში და სახდელის ნაცვლად ადვოკატის მიმართ ზემოქმედების ღონისძიება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი გამოიყენა.

საქმე N089/17, 2018 წლის 2 ივლისი[195]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემა

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა პროცესის მონაწილის თანმხლებმა პირმა.

ადვოკატი პროცესის დაწყებამდე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში კლიენტთან ერთად შეხვდა კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს და თანმხლებ პირს. ადვოკატი ჩაერია კლიენტის და მოწინააღმდეგე მხარის საუბარში, რაზეც მოსაზრება გამოთქვა თანმხლებმა პირმა, რის გამოც ადვოკატსა და მას შორის შედგა არასასიამოვნო საუბარი. თანმხლები პირი აცხადებდა, რომ ადვოკატმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა გინების ფორმით – „წადი შენი დედა.. დაახვიე აქედან", რასაც ადვოკატი უარყოფდა.

საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მხარეთა და მოწმეთა განმარტებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის ეტაპზე დადასტურდებოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში ადვოკატმა პროცესის მონაწილის თანმხლებ პირს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა გინების ფორმით, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული ყოფილიყო პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება.

განხილვის კოლეგიის შეფასებით, ვინაიდან პროცესის მონაწილის თანმხლებ პირს გააჩნდა პრეტენზია, რომ ადვოკატმა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა ქცევის სტანდარტი, მას

---

[195] https://gba.ge/pdf/5c6289c50531d.pdf/089_17,%2002.07.18.%20disciplinruli%20psuxismgeblobis%20dawesebaze%20uari.pdf

ეკისრებოდა ფაქტების მტკიცების ტვირთი. მას უნდა დაემტკიცებინა დისციპლინირების საქმის განხილვაში სარწმუნო და ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებებით, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები, თუმცა საჩივრის ავტორი, მისი მოწმე არ გამოცხადნენ საქმის განხილვაზე[196] და

[196] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივარზე (მიმართვაზე) დისციპლინური საქმის წარმოება არის ინკვიზიციური ხასიათის..“ (სუსგ Nდს/შ10-13, თარიღი 16.10.2013) https://gba.ge/pdf/5c4c058bd5536.pdf/5c4c058bd5536.pdf

გამომდინარე ინკვიზიციურობის პრინციპიდან და მისი აქტიური როლიდან, ის მტკიცების სტანდარტის შეფასებისას ეყრდნობა ადმინისტრაციულ საქმის წარმოებაში არსებულ მტკიცების სტანდარტს. ეს ფაქტების მტკიცებულებებით დადასტურების უფრო მაღალ დამარწმუნებლობას ითხოვს, ვიდრე ეს სამოქალაქო საქმისწარმოებაშია მოთხოვნილი, სადაც მტკიცების ტვირთის მქონე მხარის წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოების გადაჭარბება მეორე მხარის მტკიცებულებებზე, საკმარისი საფუძველია სადავო ფაქტის დასადგენად. დისციპლინურ სამართალწარმოებაში უბრალო გადაჭარბება არ არის საკმარისი, გადაჭარბება უნდა იყოს არსებითი, განპირობებული მხარის მიერ წარმოდგენილი ან ეთიკის კომისიის მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებების სარწმუნოებიდან და ურთიერთშესაბამისობიდან. თუმცა ეს სტანდარტი, არ არის იმ ხარისხის, როგორც საქართველში სისხლის სამართალში მიღებულ სტანდარტია – გონივრულ ეჭვს მიღმა.

მტკიცების ტვირთის განაწილებისას, ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

სამოქალაქო ურთიერთობებში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, იხ სუსგ №:ას-899-1185-09, თარიღი: 26/03/2010, რაც წარმოადგენს დამკვიდრებულ პრაქტიკას, იხ. ას-1252-1181-2012, თარიღი 11/03/2013, №: ას-23-23-2016 თარიღი 09/03/2016 და სხვა. შესაბამისად, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

კოლეგიის შეფასებით, ამ პირობებში საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო მოკვლევის ეტაპზე მიცემულ განმარტებას ვერ ექნებოდა მაღალი მტკიცებულებითი ძალა. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში მოწმესთან ერთად. საქმეში არსებული მტკიცებულებების პირობებში და მოთხოვნილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, კომისიამ ვერ დაადგინა ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მისამართით „წადი შენი დედა.. დაახვიე აქედან" ფრაზის თქმის ფაქტი თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლად მითითებული მუხლები, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5„გ" მუხლი და აპეკ-ის 9.1., 9.4 მუხლები.

როგორც კანონის, ასევე აპეკ-ის მითითებული ნორმის შემადგენლობაა ადვოკატის მიერ პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების შელახვა (კანონი) ან პროცესის მონაწილეების პატივისცემით მოპყრობა (აპეკ), რაც თავისი არსით მსგავსია, თუმცა აპეკი უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს, რადგან არამარტო უფლების შელახვას კრძალავს, არამედ ურთიერთობისას პატივისცემის გამოხატვას ითხოვს ადვოკატისგან.

კომისიამ ვერ დაადგინა ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილის თანმხლები პირისადმი გინების ფორმით შეურაცხყოფის მიყენება და შესაბამისად, ვერც მისი უფლებების შელახვა ან მის მიმართ უპატივცემლობა, ამის გათვალისწინებით სახეზე არ იყო ზემოაღნიშნული ნორმების ერთ-ერთი შემადგენლობა. რომ დადგენილიყო სადავო ფაქტი, ამ შემთხვევაში კომისიას მოუწევდა მსჯელობა, რამდენად წარმოადგენს პროცესის მხარის თანმხლები და პროცესზე დამსწრე პირი პროცესის მონაწილეს, რაც არ არის მარტივი სამართლებრივი საკითხი. ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ვინაიდან არ არსე-

ბობდა ნორმის აუცილებელი შემადგენლობა, უპატივცემლობა ან უფლების შელახვა, კომიასიამ არ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

საპროცესო მოკვლევის ეტაპზე, ადვოკატმა აღიარა, რომ მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მოწინააღმდეგე მხარეს, თუმცა რადგან საჩივარი არ იყო მის მიერ შემოტანილი, აღნიშნულ ფაქტს კომისია ვერ შეაფასებდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით, „საქმისწარმოების ინკვიზიციური ხასიათი ეთიკის კომისიას არ ანიჭებს უფლებამოსილებას შეცვალოს საჩივრის (მიმართვის) შინაარსი საჩივრის ავტორის თანხმობის გარეშე, ეთიკის კომისიას უფლება არ აქვს გასცდეს დისციპლინური ბრალდების ფარგლებს (ბრალდების ფაქტობრივ მხარეს, ასევე კომისიის სხდომაზე არსებითი მსჯელობის საგნად აქციოს ის ფაქტები და გარემოებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ადვოკატისთვის წაყენებულ დისციპლინურ ბრალდებას ან/და ადვოკატს დააკისროს პასუხისმგებლობა ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის, რომლის გამოც, დისციპლინური ბრალდება მისთვის არ წაუყენებიათ.“[197] აღნიშნული პრეტენზია არ დაუყენებია არც საჩივრის ავტორს, არც პროცესის მონაწილეს მიუმართავს ეთიკის კომისიისთვის შესაბამისი პრეტენზიით, შესაბამისად ეთიკის კომისია არ გასცდა დისციპლინური ბრალდების ფარგლებს.

ეთიკის კომისიამ ამავდროულად შეაფასა ადვოკატის განცხადება, რომელიც მან საპროცესო მოკვლევის ეტაპზე გააკეთა, რომ „თუნდაც საჩივრის ავტორი მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ყოფილიყო, ეთიკის კომისია მაინც არ იქნებოდა უფლებამოსილი განეხილა საჩივარი, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება შესაძლოა იყოს ადვოკატის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რათა წყობილებიდან გამოიყვანოს მოწინააღმდეგე მხარე და ამით მიი-

[197] სუსგ Nდს/შ10-13, თარიღი 16.10.2013 https://gba.ge/pdf/5c4c058bd5536.pdf/5c4c058bd5536.pdf

ღოს კლიენტისთვის სასურველი შედეგი.“ კომისიის შეფასებით, პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის გამართლება ვერ იქნება ადვოკატის რაიმე სახის სტრატეგია ან მოქმედება თუ-ნდაც კლიენტისთვის სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით. ადვოკატი მოქმედებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდი-ნარე, როგორც ამაზე აპეკ-ის მე-5 მუხლი მიუთითებს, თუმცა იმავე მუხლში გაკეთებულია დათქმა, რომ ადვოკატის მოქმე-დება კლიენტის ინტერესების დასაცავად შესაბამისობაში უნდა იყოს კანონთან და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექს-თან. შესაბამისად, თუ ადვოკატი შეურაცხყოფას მიაყენებს, უპატივცემულოდ მოექცევა ან სხვანაირად შელახავს პროცე-სის მონაწილის უფლებას, ის დაექვემდებარება დისციპლინი-რებას, რასთან დაკავშირებით არსებობს ეთიკის კომისიის ერ-თგვაროვანი პრაქტიკა დადასტურებული საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს მიერ. ადვოკატის აღნიშნული განცხადება მხოლოდ ეთიკის კომისიის წინაშე ეთიკის კომისიის წინაშე ვერ გახდებოდა ადვოკატზე პასუხისმგებლობის დაკისრების სა-ფუძველი, თუმცა ეთიკის კომისიამ საჭიროდ ჩათვალა აღნიშ-ნული განემარტა გადაწყვეტილებით.

მუხლი 10.

განმარტებები ადვოკატებს შორის ურთიერთობაზე

1. ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.
2. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.
3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.
4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)

10.1 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები

კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. თავად კოლეგიალობა მდგომარეობს საერთო საქმიანობის არსებობაში და გამოიხატება ამ დროს საერთო მიზნისკენ (პროფესიული განვითარება) ურთიერთპროფესიულ პატივისცემაში. ამავე დროს, ადვოკატები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა

და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ.[198]

საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას.[199]

ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადასტურებს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტისადმი სწრაფვას, რაც ნაკარნახევია დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატთა განსაკუთრებული როლით მართლმსაჯულების სისტემაში.

ეთიკის კომისიის პრაქტიკით კოლეგიალობის პრინციპი დაცულია იმ შემთხვევებში, როდესაც:

---

[198] საქმე N062/17, 2017 წლის 17 ოქტომბერი, არ დადგინდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c482bd6eef8f.pdf/5c482bd6eef8f.pdf
საქმე N047/18, 2019 წლის 5 თებერვალი, არ დადგინდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5d2eeb5c4acc0.pdf/047-18%20%20%20%20%2005.02.19%20%20%20%20%20ar%20agdzvra.pdf

[199] საქმე №100/12, 2012 წლის 20 აგვისტო, არ დადგინდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა http://gba.ge/uploads/resolutions/2014/03/24/0547f5cac34231729f89d0192a20183C.pdf
ეთიკის კომისიამ 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმე N099/14, განმარტა, რომ: „უხამსობა სიტყვათა შეურაცხყოფითი ბუნებაა, რაც განსხვავდება სარკაზმისა და რიტორიკისაგან. ასევე ყურადსაღებია დამკვიდრებული მორალური ნორმების ფარგლებში შესაფასებელი წინადადებების მოქცევა. ამ კუთხით ქართულ რეალობაში არსებობს საყოველთაოდ ცნობილი „ნიშნის მოგებით“ საუბარიც, რომელიც არ ატარებს უხამსობის ბუნებას და არა სიტყვა სიტყვითი განმარტებით გააჩნია აზრობრივი დატვირთვა, არამედ წინადადებაში გადმოიცემა, რაც შეიძლება არამც თუ სასიამოვნო, არამედ მიუღებელიც კი იყოს მეორე მხარისათვის.“ https://gba.ge/pdf/5c4c42a5c9dc1.pdf/5c4c42a5c9dc1.pdf

ადვოკატებს შორის არსებობს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა პროფესიული კონკურენციის პირობებში;

კოლეგის მიმართ გაკეთებული შეფასება გამომდინარეობს კონკრეტული საქმიდან, ემყარება კლიენტის ლეგიტიმურ ინტერესს, კოლეგის მიმართ გაკეთებული შეფასება არ ისახავს მიზნად კოლეგის შეურაცხყოფას და გამოხატვის ფორმა არ არის უხამსი.

ადვოკატის პროფესია საკმაოდ რთული და კომპლექსურია, რადგან წარმოადგენს საზოგადოების დიდ ინტერესს. ადამიანი, რომელიც ირჩევს ამ პროფესიას მზად უნდა იყოს ისმინოს, მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს წარმოადგენს იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს.[200]

ადვოკატებს შორის ურთიერთანამშრომლობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს კლიენტის ინტერესების დაცვას. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას იღებს გადაწყვეტილებას სხვა ადვოკატის პოზიციის გაზიარების ან მხარდაჭერის თაობაზე.[201]

კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა გამომდინარეობს აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.[202]

---

[200] იქვე

[201] საქმე N088/12, 2012 წლის 20 აგვისტო, არ დადგინდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c4c4166eece9.pdf/5c4c4166eece9.pdf

[202] საქმე N044/10, 2010 წლის 22 ნოემბერი, არ დადგინდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c582e0e25af5.pdf/5c582e0e25af5.pdf

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობასა და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.[203]

ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის მისამართით გამოთქმული ისეთი განცხადებები, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას. სასამართლოში წარდგენილ კლიენტის მიერ შედგენილ განცხადებაზე ხელის მოწერა მისი შინაარსის გაცნობის გარეშე არ ათავისუფლებს ადვოკატს მასში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებლობისგან.[204]

საქმე N098/18, 2019 წლის 30 იანვარი[205]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – გაფრთხილება

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

ადვოკატი წარმოადგენდა ოჯახური ძალადობის გამო პატიმრობაში მყოფ პირს, ხოლო მეორე ადვოკატი იყო პატიმრის ყოფილი ცოლის, დაზარალებული მხარის – ადვოკატი.

---

[203] საქმე N037/13, 2015 წლის 25 დეკემბერი, დადგინდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c4720b5ab172.pdf/5c4720b5ab172.pdf

[204] იქვე

[205] https://gba.ge/pdf/5e6234d130cc0.pdf/098-18%2030.01.2019%20gafrtxileba.pdf

ცოლის ადვოკატი დაუკავშირდა კლიენტის ყოფილი მეუღლის ადვოკატს ტელეფონის საშუალებით, რა დროსაც ქმრის ადვოკატმა კოლეგასთან საუბარში გამოიყენა შემდეგი სიტყვები: – „ფეხებს ვერ მომჭამენ, მომისმინე გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში"; „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი"; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები".

სამართლებრივი შეფასება

კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა კოლეგასთან სატელეფონო საუბრისას დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი.

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვა გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობასა და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა საერთო კორპორატიული ინტერესებიდან – იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის მისამართით წარმოთქმული სიტყვები, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას. დისციპლინური სამართალწარმოების დროს საჩივრის ავტორს ეკისრება ტვირთი დაამტკიცოს, რომ მოწინააღმდეგე მხარე ადვოკატის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა შელახა მისი ღირსება და დააღვია კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფე-

სია აკისრებს. თუმცა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნების მისაღწევად – სხვათა ღირსების და პატივისცემის ვალდებულების დასაცავად. ამასთან, აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს ლეგიტიმური მიზნით, რაც დაკავშირებულია ადვოკატის პროფესიის რეპუტაციასთან და საერთო კორპორატიულ ინტერესებთან. შეზღუდვა უნდა განხორციელდეს გამონათქვამის შეფასებით – მისი შინაარსის, ფორმისა და კონტექსტის გათვალისწინებით.

კომისიის შეფასებით, „ფეხებს ვერ მომჭამენ, მომისმინე გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში“ – მოცემული წინადადება გამოხატავდა ადვოკატის აზრს, შეფასებას და ადვოკატის სუბიექტურ დამოკიდებულებას კოლეგის მიმართ. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი განმარტავს აზრს, აღნიშნული კანონის 1.“ბ“ მუხლის მიხედვით ის არის „შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“. ამავე კანონის 4.1 მუხლის მიხედვით „აზრი დაცულია აბსოლუტური უფლებით“.

ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვები – „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი“; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები“, კომისიამ განიხილა მისი შინაარსის, კონტექსტისა და ფორმის გათვალისწინებით. პირველი წინადადება შეფასდა შეურაცხმყოფელად, ვინაიდან ადვოკატი მისი კოლეგა ადვოკატის მიმართ საუბრისას იგინება, ხოლო მეორე წინადადება შეიცავს ძალადობრივ შინაარსს, რომელიც მიმართულია დაზარალებულის მიმართ. კომისიამ ასევე შეაფასა წინადადებათა კონტექსტიც, რომელიც მიმართული იყო არა უშუალოდ ადვოკატის მიმართ, არამედ მისი კლიენტის მიმართ, რომელიც იყო პროცესის მონა-

წილე და რომლის მიმართ განხორციელებული გამონათქვამები ადვოკატს დამატებით ვალდებულებას აკისრებს (პროცესის მონაწილე პირის მიმართ პატივისცემის ვალდებულება). დიალოგი გამოხატავდა ადვოკატებს შორის დაძაბულ ურთიერთობას, ხოლო ადვოკატის მიერ გამოყენებული ტერმინები ასახავდა არაპოზიტიურ დამოკიდებულებას კოლეგის მიმართ.

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ გამოყენებული სიტყვების შინაარსი, ფორმა თუ კონტექსტი შეურაცხმყოფელი და მართლსაწინააღმდეგო იყო, არ ჯდებოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში და დაადგინა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა. რაც შეეხებოდა, ადვოკატის მიერ წარმოთქმულ ფრაზაში მუქარის შემცველი განცხადებების არსებობა/არარსებობას – აღნიშნულის შეფასება სცდებოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს.

განსხვავებული აზრი

კოლეგიის ერთი წევრი დარჩა განსხვავებულ აზრზე პასუხისმგებლობის ღონისძიებაზე. მისი შეფასებით, ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება წარმოადგენდა არაპროპორციულ ღონისძიებას და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არსებობდა ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის საფუძველი.

10.1.2 კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპების თანხვედრა

საქმე N033/18, 2019 წლის 30 იანვარი[206]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია
დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი
შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – გაფრთხილება
ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

[206] https://gba.ge/pdf/5d838d6761c01.pdf/033.18%20%20gafrtxileba.pdf

ადვოკატი ა სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაზე წარმოადგენდა მოსარჩელის ინტერესებს, მოპასუხის ინტერესებს იცავდა – ადვოკატი ბ. ადვოკატმა ა-მ მიმართა სასამართლოს წერილობითი დოკუმენტით – „მოსარჩელის მოსაზრებები მოპასუხის შესაგებელზე“, სადაც მიუთითა შემდეგი გამონათქვამები:

„...ბატონო, ბალზაკმა თქვა სულელის გვერდით, ყოველთვის მოიძებნება თაღლითიო“; „ალბათ დამეთანხმებით, ხომ უნდა გავარკვიოთ, თქვენ ბრძანდებით უბრალოდ ცრუპენტელა, თუ შეგიყვანეს შეცდომაში, თუ პირველია მომილოცავს, ღმერთმა მოგახმაროთ“; „ვერ ვხვდებოდი და სულ მაინტერესებდა, რატომ დაწერა ეს შესაგებელი იურისტმა – ადვოკატმა და გაუგზავნა მეორე კვალიფიცირებულ იურისტს – მოსამართლეს? მაგრამ შემდეგ გამახსენდა მარკიზ დე ვოვენარგის სიტყვები „სულელი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ მასზე უკეთესად ვერავინ გააცრუებს ჭკვიან ადამიანს“; „...ვერ ვგებულობთ, რატომ ხართ ასეთი უღმერთოები...“; „რა გითხრათ ამაზე ბატონო ადვოკატო, წავიკითხე თქვენი პასაჟი და გამახსენდა ფრანგი მწერლის პიერ დანინოსის სიტყვები: ის არც ისე სულელია, როგორც გამოიყურება, ის უფრო დიდი სულელიაო“ „...თუ მოწინააღმდეგე მხარეს ღმერთმა ასეთი ადვოკატი გამოუგზავნა, როგორც თქვენ ბრძანდებით, აუხსენით მას... ასეთ სპეციალისტთან როგორც თქვენ ბრძანდებით ეს არ გაუჭირდება“. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში მიუთითა შემდეგი გამონათქვამები:

„...გამახსენდა კარლო ჩიპოლას „სიბრიყვის ხუთი კანონი“, მოვუწოდებდი ადვოკატს გაცნობოდა ამ „კანონებს“; „ჩემი აზრით, რაც ადვოკატს სჭირს არის ნარცისიზმი, ნარცისიზმი ეგოიზმის, მედიდურობისა და პატივმოყვარეობის პიროვნული თვისებაა... ნარცისი იყო პათოლოგიურად ეგოცენტრული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აუზში თავისი ანარეკლი შეუყვარდა. ბევრი ექსპერტის აზრით, ნარცისიზმის პათოლოგიის სიმპტომია ობიექტურობისა და გონიერი განსჯის უკმარობა“,

ჩემი კოლეგის აზრით, ჩვენ ყველა უნდა ვამაყობდეთ, რომ ვცხოვრობთ ერთ ეპოქაში ამ უდიდეს და უძლიერეს იურისტთან ერთად, ვსუნთქავთ მასთან ერთად ერთ ჰაერს და დავდივართ ერთ მიწაზე. დაე, ვიამაყოთ. მაგრამ მე რატომღაც მრცხვენია, რომ ჩვენ ორივე ვართ ადვოკატები“.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა.

ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, მოეთხოვება ქცევის მაღალი სტანდარტი. მისი ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. შესაბამისად, ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს პირის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს.

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი და კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას არ გასცდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, მათ შორის არ დაუშვას კოლეგისადმი უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა, მათ შორის წერილობითი მოსაზრებების შედგენისას გამოიჩინოს პატივისცემა და იმოქმედოს ღირსეულად მოწინააღმდეგე მხარისა და მისი წარმომადგენლის მიმართ. კოლეგიალობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს პროფესიული საქმიანობისადმი პატივისცემას, რისი დაცვის ვალდებულება ადვოკატს თავისი ყოველდღიური საქმიანობის დროს აკისრია.

კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას,

რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს.[207]

ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი...[208]

ადვოკატის მიერ სასამართლოში წარდგენილი სამართლებრივი დოკუმენტი – „მოსარჩელის მოსაზრებები" შეიცავდა კოლეგის მიმართ შეურაცხმყოფელ მოსაზრებებს. მოსაზრებები შინაარსობრივად რიტორიკული ხასიათის იყო. ადვოკატის მიერ მითითებული გამონათქვამების გამოყენება არ გამომდინარეობდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან და ობიექტური აღქმის საფუძველზე სცდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. არც სასამართლოში, აგრეთვე, არც ეთიკის კომისიაში არ ემსახურებოდა მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს.

---

[207] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16

[208] საქმე N025/12, 2012 წლის 3 მარტი; ადვოკატმა პროცესუალური მოწინააღმდეგის შვილს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულების დარღვევად შეფასდა https://gba.ge/pdf/5c4837467feb9.pdf/5c4837467feb9.pdf

რიტორიკული ფორმით ადვოკატის მიერ კოლეგისადმი სამართლებრივ დოკუმენტში გამოყენებული ფრაზები სცდება დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და არ ეხება მხარეებს შორის სადავო საქმის თაობაზე ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას. ადვოკატის მიერ ფოლოსოფოსთა ნააზრევიდან ამონარიდების მითითება, ირიბად ეხება კოლეგის პიროვნებას და არღვევს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკური ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩენა. ადვოკატის მიერ ზემოაღნიშნული ფრაზების მითითება, არ გამომდინარეობდა პროფესიული ვალდებულების შესრულებიდან და ამგვარი გამონათქვამები არ არის იმ მიზნის პროპორციული, რასაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება ჰქვია.

საქმე N066/17, 2017 წლის 26 ოქტომბერი[209]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია
სავარაუდო დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი
შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი
ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

შვებულებაში ყოფნისას ადვოკატ მ. ნ.-ს დაუკავშირდნენ მისი კლიენტები: ვ. ც., ბ. ჭ. და გ. მ., ხოლო მის მიერ შვებულების დროს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემდეგ, სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართეს ადვოკატ თ. ფ.-ს. ადვოკატი თ. ფ. დათანხმდა კლიენტებს მომსახურების გაწევაზე, ჩაერთო საქმეში, მაგრამ ადვოკატმა თ. ფ.-მ არ შეატყობინა მ. ნ-ს, რომ ადვოკატად ერთვებოდა მისი კლიენტების საქმეში.

---

[209] https://gba.ge/pdf/5e3d327fede05.pdf/066.17%20ar%20agdzvra%2026.10.2017.pdf

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობას და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2012 წლის 08 დეკემბრის საერთო კრებამდე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა, რომ „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას ამ კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ“, რაც 2012 წლის საერთო კრებაზე ამოღებულ იქნა, რადგან ის ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ნდობა, კონფიდენციალურობა და კლიენტის ინტერესების უპირატესობა.

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა, მათი შეთანხმება კონფიდენციალურია, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წარმოშობა ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების საფუძველზე ხდება, ხოლო ადვოკატთან ურთიერთობის შეწყვეტა კლიენტის ექსკლუზიურ და შეუზღუდავ უფლებას წარმოადგენს. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება ადვოკატს კლიენტის თანხმობის გარეშე არ აქვს, ხოლო მისი გამჟღავნება იწვევს ნდობის, კონფიდენციალურობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევას.

კოლეგიალობის არსიდან გამომდინარე, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა მიმართული უნდა იყოს კლიენტის ინტერესის პრიორიტეტისაკენ და კანონის ფარგლებში მათი რეალიზებისაკენ. კოლეგიალობა ხელს უწყობს კლიენტების პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას. კოლეგიალობა

საბოლოო ჯამში კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება და მართლმსაჯულების ეფექტური აღსრულების მექანიზმიცაა.

კონფიდენციალური ინფორმაცია ასევე მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს უფლებას ადვოკატს საჯაროდ გახადოს აღნიშნული საკითხი. კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებაზე, ამას ითვალისწინებს აგრეთვე აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება. შესაბამისად, საქმეში ჩართვაზე კოლეგის არაინფორმირებულობით, არ ირღვევა კოლეგიალობის პრინციპი.

10.1.3 ადვოკატის მიერ სატელევიზიო გადაცემაში კოლეგების შეფასება

დისციპლინურ საქმეში, სადაც კომისიამ იმსჯელა ადვოკატის სატელევიზიო ინტერვიუში კოლეგის შეფასებაზე, აღნიშნულია:

ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. ადვოკატმა საჯარო განცხადებების გაკეთების დროს უნდა დაიცვას ინფორმაციის სისწორე, თუ უთითებს ფაქტებს. კონკრეტულ საკითხზე შეფასებითი მსჯელობის შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე.[210]

[210] საქმე N069/11, 2011 წლის 05 სექტემბერი, ადვოკატის მხრიდან არ დადგინდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა https://gba.ge/pdf/5c4c40ae554a0.pdf/5c4c40ae554a0.pdf

საქმე №086/18, 2018 წლის 1 ნოემბერი[211]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია
სავარაუდო დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი
შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი
ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

მართლმსაჯულების თემებზე სატელევიზიო გადაცემაში მიმდინარე დისკუსიისას, რომელშიც ერთ-ერთი მონაწილე ადვოკატი იყო, ადვოკატმა ახსენა კოლეგის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია და თავად ადვოკატიც, საჩივრის ავტორის შეფასებით უარყოფით კონტექსტში, რითაც დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი. ადვოკატმა სადავოდ გახადა დისკუსიისას კოლეგის მიერ მისი ან მისი ორგანიზაციის მისამართით გამოყენებული შემდეგი ფრაზები: „კი, კი გ.-ზე მაგარი ვარ", „ორგანიზაციას ---- აქვს", „ადამიანი, რომელიც არის ერთი კაცის ენჯეო, რომელსაც გრანტი არ აუღია და ვიღაცის დაფინანსებაზეა მიბმული არასაჯაროდ..."; „ეს არის ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც გასაპრავებლად ყავთ ჩასმული ყველგან"; „ნახეთ ეს ორგანიზაცია, მოძებნეთ რას აკეთებს, რა გაუკეთებია და ბოლო პროექტი როდის ჰქონდა"; „ანუ ორგანიზაციები რომლებიც ფურცელზე არსებობენ და თანამშრომლებიც კი არ ჰყავთ, ვებგვერდი არა ააქვთ, პროექტი არ აქვთ და რატომ გვაყენებ ერთ სიბრტყეზე?".

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. თუ კოლეგის ღირსების შე-

[211] https://gba.ge/pdf/5ce26a70b1709.pdf/086.18%20%2001.11.18%20ar%20agdvra.pdf

ლახვის აკრძალვა ნეგატიურია, პატივისცემის ვალდებულება პოზიტიურია, რაც დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ადვოკატს, კერძოდ, კოლეგებთან კომუნიკაციაში და მოქმედებებში, უნდა სჩანდეს ურთიერთპატივისცემა, ხოლო ნებისმიერი საპროცესო დაპირისპირება, თუნდაც კოლეგის პოზიციის მკაცრი კრიტიკა არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემას ეჭვქვეშ დააყენებს ან შელახავს კოლეგის ღირსებას. პატივისცემის ვალდებულებაში პიროვნული შემადგენელი მეორეხარისხოვანია და ის გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის დაცვის და გამყარების აუცილებლობიდან, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესიდან გამომდინარეობს.

ამასთან, კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრონციპთან ან სასამართლოს მიმართ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

გადაცემაში მიმდინარე დიალოგის დროს განვითარებული საუბარი ძირითადად ეხებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს. ადვოკატი გ. მ. აკრიტიკებს გ. გ.-ეს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს და თავად მის ორგანიზაციას. რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ სიტყვებს „კი, კი გ.-ზე მაგარი ვარ“, აღნიშნული სიტყვები ადვოკატ გ. მ.-ეს არ უთქვამს, ადვოკატი გადაცემის წამყვანის დასმულ კითხვაზე – „შენ უფრო მაგარი ბიჭი ხარ?“ პასუხობს: – „კი, ეგრე ვართ ზუსტად“. გ. მ.-ის მიერ წარმოთქმული სიტყვები შესაძლოა განხილული იქნეს ადვოკატის რეკლამის შემზღუდველი ნორმებით, ვინაიდან ადვოკატს ეკრძალება მითითება სხვა ადვოკატზე ან მის მომსახურებაზე. თუმცა, მოცემული ფრაზები წარმოთქმული იყო არა საადვოკატო მომსახურე-

ბის შედარებისთვის, არამედ არასამთავრობო სექტორში მათი საქმიანობის წარმართვისა და მნიშვნელობის ხაზგასასმელად. ამასთანავე, ეს ფრაზა არ არის უპატივცემულობის და ღირსების შემლახავი, ვინაიდან ნებისმიერ ადამიანს გარკვეულ სფეროში, შესაძლოა თავი მიაჩნდეს სხვაზე უფრო კომპეტენტურად.

ასევე ადვოკატი გ. გ.-ემ სადავოდ გახადა გ. მ.-ის საუბრისას ნათქვამი შემდეგი ფრაზა: „ორგანიზაციას ---- აქვს", რაც საჩივრის ავტორის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი გადაცემის ჩანაწერში, არ ისმინებოდა. გ. მ. „----" ახსნა შემდეგი სახით – „აი ვინც ვთქვი წელან, იურისტთა ---- თუ რაღაც ვთქვი...", რაც არ ჩაითვალა უპატივცემულობად ან რაიმე სახის ნეგატიურ კონტექსტად, რადგან ვიდეომასალიდან ირკვეოდა, რომ გ. მ.-ეს არ ახსოვდა გ. გ.-ის ორგანიზაციის სრული სახელწოდება და ამ სახელწოდებიდან მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა.

კომისიამ განიხილა დიალოგში მოცემული ფრაზები: – „ადამიანი, რომელიც არის ერთი კაცის ენჯეო, რომელსაც გრანტი არ აუღია და ვიღაცის დაფინანსებაზეა მიბმული არასაჯაროდ..."; „ეს არის ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც გასაპრავებლად ყავთ ჩასმული ყველგან"; „ნახეთ ეს ორგანიზაცია, მოძებნეთ რას აკეთებს, რა გაუკეთებია და ბოლო პროექტი როდის ჰქონდა"; „ანუ ორგანიზაციები რომლებიც ფურცელზე არსებობენ და თანამშრომლებიც კი არ ჰყავთ, ვებგვერდი არა აქვთ, პროექტი არ აქვთ და რატომ გვაყენებ ერთ სიბრტყეზე?". კომისიის შეფასებით, აღნიშნული ფრაზები წარმოთქმულია ორგანიზაციის მისამართით, თუნდაც უარყოფით კონტექსტში. ამ შემთხვევაში ერთი შეხედვით კოლეგიალობის პრინციპი არ არის გამოსაყენებელი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ იურიდიული საზოგადოებისთვის ან მისი გარკვეული წრისთვის შეიძლება ცნობილი იყოს, რომ გ. გ. არის ადვოკატი, ასევე ცნობილი იყოს, რომ გ. მ.-ძეც არის ადვოკატი, მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების საქმიანობა შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ადვოკატის აქტიურობა სამა-

რთლის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებაში და ამ კუთხით გაკეთებული განცხადებები დაექვემდებაროს კოლეგიალობის პრინციპით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2015 წლის 6 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმეზე №დს-შ/5-15 განმარტა: „ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში· კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“.

კოლეგისადმი მიმართვა, რომ მან ხელოვნურად შექმნა ორგანიზაცია, რომელიც ხელისუფლებას „გასაპრავებლად ყავთ ჩასმული ყველგან“ არის კოლეგის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება, რადგან მის დამოუკიდებლობას აყენებს ეჭვქვეშ. აპეკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელი უნდა იყოს ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ არ უნდა დაუშვან კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს სასარგებლოდ. თუ ადვოკატი, თუნდაც ის არ წარმოადგენდეს კლიენტს, ასრულებს სახელმწიფოს კონფიდენციალურ დავალებებს, დგება დამოუკიდებლობის დაკარგვის რისკის წინაშე. სწორედ ამიტომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის 16.3 მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია ადვოკატის კონფიდენციალური ხელშეწყობის გამოყენება საკონტრაქტო საფუძველზე. აღნიშნულ საკითხზე დეტალურად აქვს

კომისიას ნამსჯელი 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებაში, საქმეში №057/10, სადაც დადგინდა, რომ ადვოკატი ასრულებდა პროკურატურის ფარულ დავალებებს. შესაბამისად, მსგავსი ცნობის გავრცელებით, ხდება ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის ეთიკის ნორმების დარღვევაში დადანაშაულება, რაც ვერ ჩაითვლება კოლეგის მიმართ პატივისცემის გამოხატვად. ამ შემთხვევაში შესაფასებელია, რამდენად დაცულია ასეთი განცხადება გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლებით.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმე N076/10 აღნიშნა, რომ „გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი“, თუმცა ადვოკატი ვალდებულია საჯარო განცხადებების გაკეთების დროს დაიცვას ინფორმაციის სისწორე, „ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, მაშინ, როდესაც მისი კომენტარები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე“ (05.09.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე N069/11)

კომისია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებზე მსჯელობისას დაეყრდნო ევროსასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. ეჭვი აზრისა და ფაქტის გამიჯვნასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ (2018 წლის 17 იანვრის სუსგ № ას-790-739-2017).

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დადგენისას სახელმწიფოთათვის მინიჭებული თავისუ-

ფალი შეფასების ფარგლები [margin of appreciation] განსაკუთრებით ვიწროა) (Floquet and Esménard v. France, no. 29064/08, 10 January 2002; July and SARL Libération judgment (no. 20893/03, ECHR 2008; Morice v. France [GC], no. 29369/10, § 153, 23 April 2015). სუსგ 2015 წლის 30 სექტემბრის № ას-1052-1007-2014 მოცემულია მსჯელობა, რომ ვინაიდან ცნობები გავრცელებულია იმ საკითხის განხილვისას, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი, სასამართლო იმ შემთხვევაში იყენებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუ არ არსებობს არანაირი ეჭვი ცნობებისათვის ფაქტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი. გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა.

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. მ.-ის გადაცემაში გაჟღერებული მოსაზრებები სარგებლობდა სამართლებრივი დაცვით, რადგან მისი საუბარი შეიცავდა შეფასებით მსჯელობას გ. გ.-ის მიერ დაარსებულ ორგანიზაციასა და თავად გ. გ.-ზე, ხოლო მოსაზრებები იყო წარმოდგენილი საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხზე – მთავარი პროკურორის დანიშვნასთან დაკავშირებული საჯარო დისკუსიის ფარგლებში. შესაძლებელია მისი გამონათქვამი [გ. გ.-ის მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია] „გასაპრავებლად ყავთ ჩასმული ყველგან“ აღქმული იყოს, როგორც ადვოკატ გ. გ.-ის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვასთან შეუფერებელი ქმედება, თუმცა გ. მ. მოსაზრების წარმოდგენით არ ისახავდა უპირატეს მიზნად გ. გ.-ის, როგორც ადვოკატის, პროფესიული ღირსების შელახვას. გარდა ამისა, თუ არსებობს ეჭვი, ზემოაღნიშნული ცნობა ფაქტია

თუ მოსაზრება, ყოველგვარი ეჭვი მოსაზრებას და ფაქტს შორის, სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ, რომელიც სარგებლობს სამართლებრივი დაცვით. კომისიამ გ. მ.-ს მიერ ნათქვამი ფრაზები შეაფასა მის მოსაზრებად და მიიჩნია, რომ მის მიერ არ დარღვეულა კოლეგიალობის პრინციპი.[212]

10.1.4 ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში კოლეგის შეფასება

პირველი საქმე, სადაც კომისიამ სოციალურ ქსელში კოლეგის მიმართ გაკეთებულ შეფასებაზე იმსჯელა, პრაქტიკისთვის მნიშვნელოვნია იმ მხრივ, რომ კოლეგიალობის ზოგადი სტანდარტის საფუძველზე კომისიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მოცემული პრინციპის მნიშვნელობას ადვოკატის პროფესიისთვის და ადვოკატებს შორის ნებისმიერ სივრცეში პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების შენარჩუნების მნიშვნელობას.[213] მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა პროფესიული

[212] საქმე №008/13, 2013 წლის 18 თებერვალი; კომისიამ შეაფასა ადვოკატის განცხადება, როდესაც მან პროცესზე კოლეგის შესაგებელზე განაცხადა: „ღიმილის მომგვრელია ბ-ნ ნ.-ის განცხადება; საერთოდ გაუგებარია, რა დეფინიცია შემოაქვს ბ-ნ ნ.-ს ქართულ რეალობაში ან ვინ მიანიჭა მას უფლებადამცველის სტატუსი?!"
კომისიის პოზიციით, ადვოკატის განცხადება შეიცავდა კოლეგის მიერ წარდგენილ შესაგებელში გამოთქმული მოსაზრების შეფასებას. გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, ადვოკატს უფლება ჰქონდა, რომ მოცემული ფორმით გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება. ადვოკატის მიზანი აღნიშნული შეფასების გაკეთებისას არ იყო კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენება, არამედ ემსახურებოდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და მიმართული იყო საქმის წარმატებით დასრულებისაკენ. კომისიამ არ დაადგინა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა. https://gba.ge/pdf/5c514a72f1f4C.pdf/5c514a72f1f4C.pdf

[213] საქმე N034/14, 2014 წლის 25 ნოემბერი; ეთიკის კომისიამ გაავრცელა ეთიკის კოდექსის მოქმედების ფარგლები ადვოკატის ქცევაზე სოციალურ ქსელში, როდესაც ადვოკატმა გააზიარა ინტერნეტგამოცემა, სადაც მის კოლეგას გამოთქმული ჰქონდა სამართლებრივ საკითხზე მოსაზრება და შეურაცხყმფელი კომენტარით მოიხსენია კოლეგა.

ეთიკის კოდექსი არ შეიცავს სოციალურ მედიაში ადვოკატის ქცევის მომწესრიგებელ ნორმას, ეთიკის კომისია ზოგადი პრინციპების საფუძველზე განხილული თუ მიმდინარე საქმეებით, ქმნის პრაქტიკას.

საქმე N115/18, 2019 წლის 20 მაისი

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – კერძო სარეკომენდაციო ბარათი

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოპასუხე ადვოკატი იცავდა ერთ-ერთ ბრალდებულს, ხოლო თავად აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის მიზნით, საკუთარი ინიციატივით შევიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, შეხვდა ბრალდებულს და პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე გამოხატა ბრალდებულის დახმარების სურვილი. მოგვიანებით სწორედ მოცემულ საკითხზე ისაუბრეს სოციალურ ქსელში ადვოკატებმა, როდესაც მოპასუხე ადვოკატმა მის მიმართ გამოავლინა არაკოლეგიალური დამოკიდებულება, იგი გასცდა პროფესიული კრიტიკის ჩარჩოებს და დააკნინა როგორც ადვოკატი.

ადვოკატმა კოლეგასთან სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერისას გამოიყენა შემდეგი ფრაზები: „შენ სინდისი გაგაჩნია? აქეთ დააბოლე საწყალი ისედაც დაზაფრული ბიჭი, ოჯახს თავზე ახტები პირადი პიარისთვის, მარა ასე არ გამოვა...“ „უსინდისო პერეხვატებს შეეშვი“, „საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ შეგგზავნეს და ძალიან გთხოვ შეეშვი ამ უსინდისო ქმედებებს...“, „იქონიე თავმოყვარეობა,“ „სამარცხვინოდ ნუ იქცევი,“ „ნუ იქცევი უთავმოყვარეოდ.“

---

https://gba.ge/pdf/5c4849d57c68b.pdf/5c4849d57c68b.pdf

მოპასუხე ადვოკატის პოზიციით, სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერისას გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები არ იყო არაკოლეგიალური და არაეთიკური. ადვოკატმა ასევე სადავოდ გახადა სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერისას ადვოკატზე ეთიკის კოდექსის გავრცელების შესაძლებლობა, ვინაიდან მიიჩნია, რომ ამგვარი მიმოწერა ექცევა პირადი ცხოვრების მოქმედების სფეროში და მასზე ვერ გავრცელდება ეთიკის კოდექსის დებულებები.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ მიიჩნია, რომ სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერის დროს ადვოკატზე ეთიკის კოდექსი ვრცელდება და ადვოკატებს ევალებათ კოლეგიალურები იყვნენ საერთო კორპორატიული ინტერესებიდან გამომდინარე. აპეკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით – „ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე“, ხოლო ადვოკატთა ეთიკის კოდექსის შესავალ ნაწილში მითითებულია – „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“. შესაბამისად, ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მიზანია ნდობის წარმოშობა არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსის მიმართ, რაც განისაზღვრება არა მხოლოდ ადვოკატის ქცევით კონკრეტული პროფესიული დავალების განხორციელებისას, არამედ მისი ქცევით ყოველდღიურად კლიენტებთან, კოლეგებთან, საქმის მწარმოებელ ორგანოებთან თუ პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობაში, ვინაიდან ადვოკატისთვის მისი პროფესია არის ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი და თანამდევი ნაწილი.

ადვოკატებს შორის სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერა შედგა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და სწორედ აღნიშნულ საქმესთან მიმართებით შეაფასა ადვოკატმა კოლეგის ქცევა. ვინაიდან ადვოკატის საუბარი უკავშირდებოდა კოლეგის პროფესიულ ქცევას, მასზე გავრცელდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელში ადვოკატებს პირადი საუბარი ჰქონდათ და იგი საჯარო არ გამხდარა.

კომისიის შეფასებით, ცალსახაა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე შიდა კანონმდებლობით, მაგრამ აზრისა და სიტყვის თავისუფლებამ არ უნდა შელახოს სხვათა უფლებები. კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ კოლეგის მიმართ სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერისას გამოთქმული ფრაზები და შეფასებები სცილდებოდა კოლეგის პროფესიული ქცევის შეფასების ფარგლებს, ვინაიდან წარმოადგენდა კოლეგის პიროვნულ განსჯას. ადვოკატმა საუბრისას არაერთხელ გამოიყენა ღირსებისშემლახველი მიმართვები კოლეგის მიმართ, რაც კომისიის შეფასებით გასცდა კოლეგის დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და იყო არაკოლეგიალური.

საქმე N143/18, 2019 წლის 12 ივნისი

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

ჟურნალმა სოციალურ ქსელში განათავსა სტატია „უნდა მივიდეს თუ არა პროკურორი ადვოკატთან – მოსამართლის განმარტება“. აღნიშნულ სტატიაში ეწერა ადვოკატის შეფასება, რომლის თანახმად კანონი უნდა განმარტებულიყო მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და

მტკიცებულებათა გაცვლის, როგორც საპროცესო მოქმედების ადგილი უნდა გადაწყვეტილიყო მხარეთა შეთანხმების შესაბამისად. კერძოდ, ადვოკატმა განაცხადა: „სრულიად შესაძლებელია, რომ მტკიცებულებები გაიცვალოს არა პროკურატურაში, არამედ საადვოკატო ბიუროში." ჟურნალი ფუნქციონირებდა ელექტრონული სახითაც, რომელსაც სოციალურ ქსელში 38 076 მომხმარებელი ადევნებდა თვალს. სოციალურ ქსელში განთავსებულ სტატიაზე კოლეგის მისამართით მოპასუხე ადვოკატმა გააკეთა კომენტარი: „(ადვოკატის ვინაობა), ტოჯე მნე ავტორიტეტ. პროკურატურასთან მიკერძოებული ნასედკაა".

სამართლებრივი შეფასება

სოციალურ ქსელში ადვოკატის პროფესიული ქცევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედების ფარგლებში ექცევა, ვინაიდან ნებისმიერ სოციალურ თუ მედია საშუალებაში, ასევე საჯარო გამოხატვის სივრცეში ადვოკატი უნდა ხელმძღვანელობდეს პროფესიული ნორმების სრული დაცვით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2015 წლის 6 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმეში №დს-შ/5-15, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი გაავრცელა ადვოკატზე მიუხედავად იმისა, რომ სადავო ქცევა საადვოკატო საქმიანობას არ უკავშირდებოდა. სასამართლომ განმარტა: „ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში · კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის".

მოპასუხე ადვოკატმა სოციალურ სივრცეში სტატიასთან დაკავშირებით დატოვებული კომენტარით შეაფასა კოლეგა, როგორც ადვოკატი. ვინაიდან ადვოკატის კომენტარი უკავშირდებოდა კოლეგის პროფესიულ ქცევას, მოპასუხე ადვოკატის სოციალურ ქსელში გამოხატულ ქცევაზე ვრცელდებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს კოლეგის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. თუ კოლეგის ღირსების შელახვის აკრძალვა ნეგატიურია, პატივისცემის ვალდებულება პოზიტიურია, რაც დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ადვოკატს, კერძოდ, კოლეგებთან კომუნიკაციაში და მოქმედებებში, უნდა ჩანდეს ურთიერთპატივისცემა, ხოლო ნებისმიერი საპროცესო დაპირისპირება, თუნდაც კოლეგის პოზიციის მკაცრი კრიტიკა არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემას ეჭვქვეშ დააყენებს ან შელახავს კოლეგის ღირსებას. პატივისცემის ვალდებულებაში პიროვნული დამოკიდებულება მეორეხარისხოვანია და ის გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის დაცვის და გამყარების აუცილებლობიდან, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს უკავშირდება. კოლეგებისამდი გამოხატული თავაზიანობა და პატივისცემა არის ცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას.[214]

ადვოკატს მოეთხოვება, როგორც კანონით დადგენილი მოქმედებების გათვალისწინება და განხორციელება, ასევე მორა-

[214] საქმე N098/18, 2018 წლის 01 ნოემბერი; კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა დადგინდა, შედეგი: გაფრთხილება https://gba.ge/pdf/5e6234d130cc0.pdf/098-18%2030.01.2019%20gafrtxileba.pdf

ლურ-ზნეობრივი ქცევის სტანდარტის დაცვა, რაც უზრუნველყოფს ადვოკატთა შორის კოლეგიალური დამოკიდებულების გაძლიერებას, მათ შორის თანასწორი და თანამშრომლური გარემოს შექმნას.[215]

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე." აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლში არ არის გათვალისწინებული ადვოკატის ამ იმუნიტეტის შეზღუდვის შემთხვევა, თუმცა, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვას, რომლის მიხედვით „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით."

კომისიის შეფასებით, მოპასუხე ადვოკატის მიერ კომენტარის სახით საჯაროდ გამოთქმული მოსაზრება შეიცავდა ადვოკატის შეურაცხმყოფელი ხასიათის მსჯელობას, რაც უპირატეს მიზნად ისახავდა მისი პროფესიული ღირსების შელახვას. შესაბამისად, ადვოკატის მოცემული კომენტარი არ სარგებლობდა სამართლებრივი დაცვით და წარმოადგენდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას.

10.2 ადვოკატით წარმოდგენილ მხარესთან კომუნიკაცია

ეთიკის კომისია ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის გამართულ შეხვედრაზე[216] შეთანხმდა, რომ ადვოკატით წარმოდგენილ მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტი

[215] იქვე

[216] ეთიკის კომისიის ერთგვაროვან პრაქტიკაზე სამუშაო შეხვედრის 2020 წლის 25 თებერვლის ოქმი

პროცესის მონაწილის გარდა უნდა გავრცელდეს იმ პირებთან კომუნიკაციის შემთხვევებზეც, როდესაც ადვოკატი ცდილობს ამ პირთა დახმარებით, ადვოკატით წარმოდგენილ პროცესის მონაწილესთან ჰქონდეს კომუნიკაცია. თუ მხარის ინტერესებს ადვოკატი წარმოადგენს, მოწინააღმდეგის ადვოკატის მხარესთან ან მისი ოჯახის წევრთან დაკავშირების ერთადერთი მიზანი შეიძლება იყოს ადვოკატის საკონტაქტო ინფორმაციის მიღება. სასურველია, თუ ეს კავშირი იქნება წერილობითი (მათ შორის ადვოკატმა თავი რომ დაიცვას მომავალში) და აღნიშნული კომუნიკაცია არ უნდა მოიცავდეს იურიდიული რჩევის მიცემას მოწინააღმდეგე მხარისთვის.

საქმე N095/17, 2018 წლის 21 მარტი[217]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია
სავარაუდო დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი
შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი
ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა.

საჩივრის ავტორს, რომელიც შესახლებული იყო პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვდა ადვოკატი, რომელმაც განუცხადა, რომ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი იყო სამოქალაქო საქმეში. სადავო გარემოებას წარმოდგენდა საჩივრის ავტორთან შეხვედრისას ჰქონდა თუ არა ადვოკატს ინფორმაცია საჩივრის ავტორს ჰყავდა თუ არა ადვოკატი. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან ვერ დადგინდა საჩივრის ავტორი წარმოდგენილი იყო თუ არა ადვოკატით იმ საქმეზე, რაზედაც მისი მარწმუნებელი ედავებოდა, პენიტენციურ დაწესებულებაში თავისი კლიენტის თხოვნით, შეხვდა მას.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ რეკომე-

---

[217] https://gba.ge/pdf/5d22e4d96f84e.pdf/095-17%2021.03.2018%20ar%20agdzvra.pdf

ნდაციაში აღნიშნა, რომ „კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირებას, რაც საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უნდა ატარებდეს არა მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების, არამედ კოლეგიალობის ხასიათს. კოლეგიალობის პრინციპი არ არის მარტოოდენ ფორმალური ქცევის მოთხოვნა, არამედ იგი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია. ამ პრინციპის დაცვით, ადვოკატებს შესაძლებლობა ეძლევათ გადაამოწმონ კლიენტისა და მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობისა, საქმესთან დაკავშირებული გარემოებებისა და მხარეთა შესაძლო მორიგების შესახებ, თავიდან აიცილონ არასწორი კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამახინჯება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საქმის განხილვის გართულება, ან მოჰყვეს მხარეთა და/ან ადვოკატთა შორის ურთიერთობის დაძაბვა და კონფლიქტი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ადვოკატის სავალდებულო კომუნიკაცია ზრდის ადვოკატის პასუხისმგებლობას, რომ არაფერი ვთქვათ კოლეგის მიმართ პატივისცემის დადასტურების შესაძლებლობაზე.“[218]

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციაში მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირების ინიციატორი ადვოკატის თაობაზე აღნიშნა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ ინიციატორი ადვოკატი დარწმუნდება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს აღარ ჰყავს ადვოკატი, მან შეიძლება გადასცეს ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარეს უშუალოდ. ამასთან, ინფორმაციის გადაცემისას მოწინააღმდეგე მხარეს არ უნდა გაუწიოს საადვოკატო კონსულტაცია ინფორმაციასთან დაკავშირებით ან არ შექმნას ასეთი კონსულტაციის გაწევის აღქმა, ასევე ურჩიოს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ გადაწყვეტილების მიღებამდე მიიღოს რჩევა დამოუკიდებელი ადვოკატისგან“.[219]

---

[218] წერილობითი რეკომენდაცია N006/14, 2014 წლის 25 სექტემბერი https://gba.ge/pdf/5c7fba378d16a.pdf/22%20August%202014%2000614.pdf [219] წერილობითი რეკომენდაცია N004/18, 2018 წლის 09 მარტი

კომისიამ არ დაადგინა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა ადვოკატით წარმოდგენილ პირთან კომუნიკაციის წესის დარღვევის გამო, რადგან ვერ დადგინდა, რომ საჩივრის ავტორისა და ადვოკატის პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვედრის დროს, საჩივრის ავტორს ჰყავდა ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე და ამის თაობაზე ინფორმირებული იყო ადვოკატი.

საქმე 015/19, 2019 წლის 22 აპრილი[220]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია
სავარაუდო დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი
შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი
ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა.

ადვოკატის ნ, მ-ის პრეტენზიით მისი კოლეგა, მ. ს. მისი გვერდის ავლით დაუკავშირდა მისი კლიენტის დედას, შედგა მათ შორის კომუნიკაცია, რომლის დროსაც ადვოკატმა მ. ს.-მ მიაწოდა რეალობასთან შეუსაბამო ინფორმაცია და შეიყვანა შეცდომაში. ადვოკატმა დაადასტურა ადვოკატით წარმოდგენილი მხარის დედასთან კომუნიკაცია საქმესთან დაკავშირებით.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ იმსჯელა აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე და არ დაადგინა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა.[221]

---

https://gba.ge/pdf/5f730b0cdf32b.pdf/004.18%20gacemis%20tarigi%2009.03.18.pdf

[220] https://gba.ge/pdf/5d38715f3c478.pdf/015.19%2022.04.2019%20ar%20agdzvra.pdf

[221] აღნიშნული მიდგომა აღარ არის მხარდაჭერილი 2020 წლის 25 თებერვლის ეთიკის კომისიის ერთგვაროვან პრაქტიკაზე გამართულ სამუშაო შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით. კომისიის განმარტებით, თუ მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, მაშინ ამ ადვოკატს უნდა დაუკავშირდეს და როდესაც ადვოკატი ოჯახის წევრს მხარესთან კომუნიკაციისთვის უკავშირდება, ამ ქცევაზე უნდა გავრცელდეს აპეკ-ის 10.4 მუხლის რეგულაცია. მხარესთან ან მისი ოჯახის წევრთან დაკავშირების ერთადერთი მიზანი შეიძლება იყოს ადვოკატის საკონტაქტო ინფორმაციის მიღება. სასურველია, თუ ეს კავშირი იქნება წერილობითი (მათ შორის ადვოკატმა თავი რომ დაიცვას მომავალში) და არ უნდა მოიცავდეს

ადვოკატს მოეთხოვება სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად, კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში. მაშინ, როდესაც საადვოკატო მომსახურების მიღებისთვის კლიენტი უთანხმდება ადვოკატს, როგორც სამართლის სფეროში მოღვაწე კომპეტენტურ პირს, ადვოკატი ერთგვარ გამტარ როლს ასრულებს კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ ურთიერთობაში მყოფ პირებთან. აღნიშნული დათქმით ყურადღება ექცევა, როგორც პროფესიის რეპუტაციას, ასევე პროცესის სამართლიანად წარმოების საკითხს. ადვოკატი ვალდებულია თავი აარიდოს მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობას მისი ადვოკატის გვერდის ავლით, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა შეჯიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის საფრთხე დადგეს, რამაც გარკვეულწილად, კანონით გაუთვალისწინებელ, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მხარე, ვინაიდან ადვოკატი აღჭურვილია საქმის წარმოებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, მას აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მხარის გამოუცდელობით და კანონის არასათანადო ცოდნით. ხოლო, საქართველოს აპეკ-ის 10.4 მუხლი უზრუნველყოფს დაიცვას „გამოუცდელი“ მხარე გამოცდილი ადვოკატის ზემოქმედებისაგან. ამ ვალდებულების უგულებელყოფის შემთხვევაში, შესაძლოა წარმოიქნეს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის საფრთხე, რაც ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის ვალდებულებას უზრუნველყოფს.

აპეკ-ის 10.4 მუხლზე საუბრისას, აუცილებელია დადგინდეს ამ ურთიერთობის ფარგლებში მყოფი პირთა წრე. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სამოქალაქო-სამართლებრივი დავა, სადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე. აღნიშნული

იურიდიული რჩევის მიცემას მოწინააღმდეგე მხარისათვის. (მაგ, „ხომ იცი, პატარა შანსი გაქვს პროცესის მოგების და მომირიგდი“).

განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს მოსარჩელის მიერ, მოპასუხის მიმართ დაყენებულ მოთხოვნათა ფარგლებში. ადვოკატის მონაწილეობა საქმეში გამოიხატება მისი დაცვის ქვეშ მყოფი საპროცესო მხარის ინტერესების დაცვასა და მისთვის სასურველი შედეგისთვის ბრძოლაში, რა დროსაც შესაძლებელია როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის ადვოკატის მიერ განხორციელდეს გარკვეული მოქმედებები პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეზე გავლენის მოხდენის მიზნით. ეთიკის კოდექსი სწორედ ასეთი შემთხვევებისგან თავის არიდების მიზნით, ადვოკატს ავალდებულებს არ დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით.

ადვოკატ ნ. მ.-ის პრეტენზიით ადვოკატი მ. ს. მისი გვერდის ავლით დაუკავშირდა კლიენტის დედას – ი. მ.-ეს, რომელიც სამოქალაქო დავაში არ წარმოდგენს მხარეს, ის არის ადვოკატ ნ. მ-ის კლიენტის დედა, რომელიც შესაძლოა მხოლოდ დაინტერესებული პირი იყოს ამ საქმის მიმართ. შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ.ს-სა და ი. მ-ეს შორის კომუნიკაციის მიმართ არ ვრცელდებოდა აპეკ-ის 10.4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, რაც ადვოკატ მ. ს.-ის მიერ ეთიკიური ვალდებულებების დარღვევის ფაქტს გამორიცხავდა.

წერილობითი რეკომენდაცია N004/18, 2018 წლის 9 მარტი[222]

შეკითხვა: მოწინააღმდეგე მხარესთან უშუალოდ დაკავშირება, იმ შემთხვევაში, თუ მის ადვოკატთან დაკავშირება ვერ ხერხდება (ადვოკატისთვის ცნობილი ტელეფონის ნომერი გათიშულია) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხოლო მასთან დაუკავშირებლობა ზიანს აყენებს ადვოკატის მიერ წარმოდგენილი პირის ინტერესებს, მიიჩნევა ეთიკის ნორმების დარღვევად?

[222] https://gba.ge/pdf/5c13906d49176.pdf/5c13906d49176.pdf

ანალიზი: აპეკ-ის 10.4 მუხლი ადვოკატს უკრძალავს საქმეზე მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირებას ამ მხარის ადვოკატის გვერდით ავლით. გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა ან ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამავე მხარის ადვოკატთან კომუნიკაციას. ადვოკატი შეზღუდულია მოწინააღმდეგე მხარისაგან ტელეფონის მეშვეობით მიიღოს ისეთი სახის ინფორმაცია, რაც ეხება მოცემული მხარის ადვოკატის მოქმედი ნომრის გაგებას, ან მისგან მიიღოს ინფორმაცია, თუ ვინ არის ამჟამად მისი ადვოკატი და საქმესთან დაკავშირებით ზეპირი ფორმით არ განახორციელოს კომუნიკაცია. ინიციატორ ადვოკატს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია საქმესთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ დარწმუნდება, რომ მას აღარ ჰყავს ადვოკატი. ამასთან, მნიშვნელოვანია, ინიციატორი ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან უშუალოდ დაკავშირებისას მისი მოქმედების ფარგლები. კერძოდ, მან ინფორმაციის მიწოდებისას, მოწინააღმდეგე მხარეს არ უნდა გაუწიოს საადვოკატო კონსულტაცია ან არ შექმნას ასეთი კონსულტაციის გაწევის აღქმა. მას შეუძლია ურჩიოს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ გადაწყვეტილების მიღებამდე მიიღოს რჩევა დამოუკიდებელი ადვოკატისგან.

დასკვნა: იმ შემთხვევაში, თუ ტელეფონის მეშვეობით მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, ინიციატორ ადვოკატს შეუძლია ადვოკატთა ასოციაციის ერთიან ბაზაში მითითებული მისამართზე ან სხვა ცნობილ მისამართზე გაუგზავნოს წერილი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს. მოცემული წერილის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია მოწინააღმდეგე მხარეს გაუგზავნოს მოცემული ინფორმაცია, რომელიც მატერიალურ ან ელექტრონულ მატარებელზეა ასახული და მისი შინაარსი სხვა ადვოკატის მიერ დეტალურად გაცნობის შესაძლებლობას იძლევა. შეტყობინებაში ასახული უნდა იყოს, ის მიზეზი, თუ რატომ გააგზავნა შეტყობინება ადვოკატმა უშუალოდ მასთან (მოწინააღმდეგე

მხარესთან), ასევე მითითებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ინიციატორ ადვოკატს აქვს მოლოდინი, რომ შეტყობინებას მოწინააღმდეგე მხარე განიხილავს თავის ადვოკატთან ერთად. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ინიციატორ ადვოკატს შეუძლია მოწინააღმდეგე მხარეს დაუკავშირდეს უშუალოდ, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს ისე, რომ გარანტირებული იყოს ადვოკატის გარეშე წარმოდგენილი პირის უფლებათა დაცვა. აღნიშნული სტანდარტი გამომდინარეობს მოწინააღმდეგე მხარესთან უშუალო კომუნიკაციის აკრძალვიდან და საქმეზე მორიგების მისაღწევად აუცილებელი ზომების მიღების ვალდებულებიდან.

მუხლი 11.

კოდექსის მოქმედების ფარგლები

1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან. (08.12.2012)

2. ეთიკის კოდექსი და მასში ცვლილებები ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა.(08.12.2012.)

3. (ამოღებულია 08.12.2012)

საქმე №156/18, 2020 წლის 9 მარტი

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება – გაფრთხილება

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ.

საჩივრის ავტორი წარმოადგენდა ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის მმართველს, ხოლო ამავე ორგანიზაციაში მონიტორინგის კოორდინატორის პოზიციაზე დასაქმებული იყო მოპასუხე ადვოკატი, რომელიც საქმიანობის პერიოდში ასევე იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ორგანიზაციაში მოხდა რეორგანიზაცია – გაუქმდა ის შტატი, რომელიც მოპასუხე ადვოკატს ჰქონდა დაკავებული, რის საფუძველზეც სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამავე პერიოდში გაუვიდა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადაც. ადვოკატმა მისი გათავისუფლების ბრძანება გაასაჩივრა

სასამართლოში. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ადვოკატი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ სოციალურ ქსელ ფეისბუქისა და ასევე სატელეფონო საშუალებით სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა არამარტო მას, ასევე მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში დასაქმებულ პირებს. სოციალურ ქსელში საჯარო კომენტარების ავტორად მითითებულია მოპასუხე ადვოკატი, ასევე მისი სახელით და გვარით არის გაგზავნილი პირადი შეტყობინებებიც. ადვოკატის პირადი ნომრით არის გაგზავნილი სატელეფონო შეტყობინებებიც. სადავო გახდა ადვოკატის მიერ გამოყენებული შემდეგი ფრაზები: „შენ ვის გაუბედე შენ უტვინოვ, სამსახურიდან გაშვება, არანაირი განათლება და კულტურა შენ არ გაგაჩნია, ადამიანობას, რომ თავი დავანებოთ, შენ ხარ გათამამებული და გ. ი.-ის ხელდასმული კორუმპირებული ადამიანი"; „ბოროტო სულო"; „შენ არ გაიხარე და არ მოესწარი დედობას"; „ბოროტო და უბოროტესო, დაგწყევლოს უფალმა და გაგანადგუროს, ჩაბარდები მალე მოუსავლეთში წასულ არქივს. დამთავრდა შენი დრო, მეორედ აგღიძრავენ და მესამედ პროკურატურაში საქმეებს. ჩამოვიდე სტრასბურგიდან! გამოგიჩიჩქნი ყველაფერს და სანამ სამართლებრივად არ გავიმარჯვებ შენზე მანამ არ მოგეშვები. ბოროტო სულო".

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის საქმიანობა ა(ა)იპ-ის მონიტორინგის კოორდინატორის პოზიციაზე მუშაობისას არ მოიცავდა საადვოკატო საქმიანობას, ის, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრი, შებოჭილი იყო საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე პროფესიული ეთიკის შესაბამისი ქცევის წესებით, რაც გამომდინარეობს აპეკ-ით დადგენილი მიზნიდან. „პირს, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სტატუსი ბოჭავს იმ პროფესიული სტანდარტით, რომელიც მას ეკისრება, როგორც არა მხოლოდ

კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, როგორც პროფესიის წარმომადგენელს. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ პროფესიისადმი საზოგადოების მხრიდან პატივისცემასა და სანდოობის მოპოვებას."[223]

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატზე, რომელიც დავაში მხარეა და არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას, ვრცელდება პროფესიული ქცევის სტანდარტებით მოქმედების ვალდებულება. იგივე მიდგომას უჭერს მხარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა – „პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც" (სუს-ის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე დს-შ/5-15).

ადვოკატი საჩივრის ავტორთან, პროცესუალურ მოწინააღმდეგესთან, შეტყობინებების გაგზავნის პერიოდში არ ასრულებდა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას, სასამართლოში მიმდინარე დავაში იცავდა პირად ინტერესს, მაგრამ ამ პროცესში მას უნარჩუნდებოდა ეთიკური ქცევის ვალდებულება, კერძოდ პროცესის მონაწილის პატივისცემა.

ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები მჭიდრო კავშირშია მორალური და ზნეობრივი ქცევის წესებთან, ვინაიდან ადვოკატის ამორალური და არაზნეობრივი საქციელი შესაძლებელია გახდეს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რაც განასხვავებს ადვოკატს სხვა მოქალაქეებისაგან. ადვოკატის მიერ წარმოთქმული არაეთიკური ფრაზები სწორედ ზნეობრივი და მორალური კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ, ვინაიდან აღნიშნული კრიტერიუმი მოიცავს საზო-

[223] საქმე N002/14, 2014 წლის 8 იანვარი; სავარაუდო დარღვევა: კონფიდენციალობის პრინციპი; ადვოკატს არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა https://gba.ge/pdf/5c55cb7510c3d.pdf/5c55cb7510c3d.pdf

გადო ფასეულობას, რომლის დარღვევა ადვოკატის მხრიდან აზიანებს კონკრეტული პირის ღირსებას და ადვოკატის პროფესიის მიზნებს.

„ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მათ ანიჭებთ ცენტრალურ პოზიციას მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის“ (იხ. Nikula v. Finland, N31611/96, 26.06.2002, §45; Amihalachioaie v. Moldova, N60115/00, §27; Kyprianou v. Cyprus N73797/01, 15.12.2005, §173; André and Another v. France, N18603/03, 24.07.2008, §42).

„პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე R.S and Z v Switzerland).

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და აპეკ-ი ზღუდავს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ვინაიდან ადვოკატის მიერ წარმოთქმულ შეურაცხმყოფელ ფრაზას შეუძლია დააზიანოს არამარტო კონკრეტული პირის უფლებები, არამედ, მას ასევე შეუძლია ხელი შეუშალოს ადვოკატის პროფესიის როლის გაძლიერებას და მისი წარმომადგენლებისადმი საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის დამკვიდრებას. შესაბამისად, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს არაეთიკური გამონათქვამებისგან, რათა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის პროფესიას.

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება ადვოკატის როლის განმტკიცებას, ადვოკატის პროფესიის დაცვასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაღრმავებას.

კომისიის შეფასებით, ადვოკატისთვის შეუფერებელია იმ ფრაზებით პროცესის მონაწილესთან საუბარი, რასაც ადვოკატი იყენებდა. ადვოკატის ქცევა და პროცესის მონაწილესთან

მსგავსი შინაარსის კომუნიკაცია ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს, ვინაიდან იგი გამოხატავს პროცესის მონაწილე მხარის მიმართ აგრესიას, გამოყენებული ტერმინოლოგია არის ამორალური და მიუღებელია ადვოკატისათვის. გაჟღერებული სიტყვებით ადვოკატი ზიანს აყენებს პროფესიულ ღირსებას და საფრთხეს უქმნის ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის მოპოვებას.

ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლები
კომპანიის იურისტზე, რომელიც ადვოკატია

წერილობითი რეკომენდაცია N012/14,
2015 წლის 8 იანვარი[224]

შეკითხვა: ვრცელდება თუ არა კომპანიის იურისტზე სამართალწარმოების დროს ყველა „ეთიკური ნორმა"? თუ პასუხი დადებითია, რა დოზით ვრცელდება? კომპანიის იურისტი, ამავდროულად, მოქმედი ადვოკატია.

ანალიზი: იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში (აპეკ-ის 11.1 მუხლი). ადვოკატთა ასოციაციის წევრობა – ადვოკატის, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სტატუსი, გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატთა ერთიან სიაში რიცხული მოქმედი ადვოკატები, რომელთაც არ აქვთ წევრობა შეჩერებული, ექვემდებარებიან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებებს; სწორედ ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ მაღალ მიზანს – თითოეულმა ადვოკატმა

[224] https://gba.ge/pdf/5c7fb8704daf9.pdf/08%20January%202015%20012.14.pdf

შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები გამოიყენება ადვოკატის როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის შემთხვევაში. ზოგადად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, თუმცა, პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ ადვოკატი მისი სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკა, რაც მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას, შესაბამისად, ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და კორპორაციულ ავტორიტეტზე.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა შესაძლოა „არაორგანიზებულად" განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა-მას მხოლოდ სთხოვონ რჩევა დამოუკიდებლად იმისა, შემდეგ გაფორმდება თუ არა მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება ან თანახმა იქნება თუ არა ადვოკატი განახორციელოს ამ პირის წარმომადგენლობა. ამის მიუხედავად, ადვოკატზე პასუხისმგებლობა მაინც გავრცელდება, რადგან იგი ადვოკატის სტატუსის მატარებელი და პროფესიის წარმომადგენელია მას შემდეგ, რაც გაწევრიანდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ადვოკატზე პროფესიული ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება, თუ იკვეთება სამართლებრივი რჩევის მიცემა, პროფესიული დავალება თუ სხვა არაერთჯერადი დახმარება.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ შეკითხვის განმარტებიდან გამომდინარე, სარეკომენდაციო გადაწყვეტილებაში უნდა განიხილოს ის გარემოებებიც, როდესაც ადვოკატი არის სისხლის

სამართლის სპეციალიზაციის მქონე, ანუ საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის დარგში და ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანიასთან-სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი კომპანიას წარმოადგენს პირველ ინსტანციაში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, როგორც კომპანიის იურისტი. ამ შემთხვევაში, ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, შესაძლოა დადგეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ, აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დაუცველობის საფუძვლით.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, რომელიც ეხება საადვოკატო საქმიანობას, ვრცელდება იურისტებზე, რომლებიც ირიცხებიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან რეესტრში და წარმოადგენენ სამინისტროებს თუ კერძო კომპანიებს. ეთიკის კომისიის მოსაზრებით, ამ სტატუსის მქონე პირებზე უნდა გავრცელდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების რეგულაცია,

კერძო იურიდიულ ფირმებში, იურისტის მიღებისას, გახშირდა მოთხოვნა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების მქონე იურისტებზე, რაც განპირობებულია იმ მიზეზით, რომ კომპანიას აღარ დასჭირდეს გარე იურისტის დახმარებით სარგებლობა და მისსავე თანამშრომელს შეეძლოს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე კომპანიის ინტერესების წარმოდგენა. იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრად რიცხული ადვოკატის კომპანიის იურისტად დაქირავების მოთხოვნა არსებობს, კომპანიის მიერ დაქირავებულ ადვოკატთა ასოციაციის წევრ იურისტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება არ ცვლის ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს.

პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც კომპანია უჩივის თავის იურისტს

ეთიკის კომისიაში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მასთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზეა დასაქმებული, იმავდროულად ადვოკატთა ასოციაციის წევრია.[225]

ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხულ ყველა ადვოკატზე, რომელიც ახორციელებს საქმიანობას, კომპანიის იურისტად და სხვ. ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები. ამ დროს ადვოკატთა ასოციაციისათვის კომპანიის იურისტის კლიენტს წარმოადგენს მისი დამქირავებელი. ამ ვითარებიდან

[225] საქმე N002/14, 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებაში კომისიამ ეთიკის კოდექსის მოქმედება გაავრცელა ბანკში დასაქმებულ იურისტზე, რომელიც ადვოკატი იყო, თუმცა ბანკის წარმომადგენლობას, როგორც ადვოკატი არ ახორციელებდა. კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის მითითება, რომ ის ახორციელებდა ბანკის წარმომადგენლობას შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისად, არ ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. კომისიამ ჩათვალა, რომ მიუხედავად ადვოკატის არგუმენტაციისა, რომ ადვოკატის ლიცენზია არ ყოფილა მისი დასაქმების წინაპირობა, ვინაიდან ადვოკატი ბანკის სასამართლოში წარმომადგენლობის მომენტისთვის იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრი, სასამართლო პროცესში მისი მონაწილეობისას, გარდა შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებებისა, ადვოკატი იზღუდებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებითაც და განმარტა: „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი მიზნიდან გამომდინარე, პირს, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სტატუსი ბოჭავს იმ პროფესიული სტანდარტით, რომელიც მას ეკისრება, როგორც არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, როგორც პროფესიის წარმომადგენელს. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ პროფესიისადმი საზოგადოების მხრიდან პატივისცემასა და სანდოობის მოპოვებას. (იხ. ეთიკის კოდექსის პრეამბულა)...
ადვოკატის სტატუსის მქონე პირისაგან საზოგადოების მოლოდინი და პროფესიისადმი სანდოობა მოიცავს იმგვარ დამოკიდებულებას ეთიკური ვალდებულებისადმი, როდესაც პირს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მარწმუნებლის (ყოფილი მარწმუნებლის), არამედ საზოგადოებისა და საკუთარი პროფესიის წინაშე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტი, მარწმუნებელი, რომელსაც სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციას უწევს, სასამართლოში წარმოადგენს თუ სხვა სახის იურიდიულ რჩევას აძლევს პროფესიით ადვოკატი, მოელის ამ უკანასკნელისაგან კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.“

გამონაკლის შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ვითარება, როდესაც კომპანიის იურისტს შრომით ხელშეკრულებაში უწერია, რომ დაქირავებულია მხოლოდ იურისტად.

დასკვნა: კომპანიის იურისტზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუკი იურისტი ირიცხება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში.[226]

ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლები ადვოკატზე, რომელიც დავაში მხარეა და არ ახორციელებს წარმომადგენლობით საქმიანობას

საქმე №164/13, 2014 წლის 16 ივლისი[227]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია

დარღვევა: სასამართლოში ქცევის წესები, კოლეგიალობის პრინციპი

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – გაფრთხილება

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

სამოქალაქო საქმეზე ადვოკატი ახორციელებდა მოსარჩელის წარმომადგენლობას თბილისის საქალაქო სასამართლოში, დავის საგანი – მოპასუხისთვის თანხის დაკისრება. მოპასუხე მხარე ადვოკატი იყო და მოცემულ დავაში საკუთარ ინტერესებს წარმოადგენდა.

---

[226] საქმე N098/16, 2017 წლის 12 ივლისი; კომისიამ ეთიკის კოდექსის მოქმედება გაავრცელა იურიდიული კომპანიის დირექტორზე, რომელიც ადვოკატი იყო, თუმცა სადავო საქმეში არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. კომპანიის კლიენტსა და დირექტორს შორის სადავო გახდა დირექტორის მხრიდან კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, თუმცა დირექტორი პასუხისმგებლობას იმით გამორიცხავდა, რომ ის ამ კლიენტთან ურთიერთობაში არ გამოდიოდა ადვოკატის სტატუსით და მისი ქცევა არ უნდა შეეფასებინა კომისიას. კომისიამ დირექტორის მიდგომა არ გაიზიარა. https://gba.ge/pdf/5c63fe28409e1.pdf/098-16___12.07.2017%20gamartleba.pdf

[227] https://gba.ge/pdf/5c484b14b0d66.pdf/5c484b14b0d66.pdf

სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის დარბაზში ადვოკატსა და მოსარჩელის წარმომადგენელს შორის სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო კონფლიქტი, რომელიც დასრულდა მცირე ფიზიკური შეხებით, კერძოდ: მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ ხელთ არსებული ჩანაწერების ქნევით, ხოლო ადვოკატის მხრიდან კი სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად ფეხის მოქნევით, რომელიც მოსარჩელის ადვოკატს მოხვდა.

მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ ის აღნიშნულ საქმეში მონაწილეობდა არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც მოპასუხე მხარე, ეს იყო მისი პირადი საქმე, ის არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას, შესაბამისად მასზე ეთიკის კოდექსი არ ვრცელდებოდა და მოითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატზე პროფესიული ქცევის სტანდარტები უნდა გავრცელებულიყო და არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია, რომ ვინაიდან ის მოცემულ სამოქალაქო დავაზე თავად იყო მოპასუხე მხარე და არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას, მასზე კოდექსის მოქმედება არ გავრცელდებოდა. მოპასუხე მხარე, ვინაიდან ადვოკატი იყო, მის პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენდა, რომ სასამართლო დარბაზში ადვოკატის ნებისმიერი მოქმედება შესაბამისობაში ყოფილიყო ადვოკატის პროფესიულ ღირსებასთან, პროფესიული ეთიკის სტანდარტებთან, რომლის შენარჩუნებაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი მიუხედავად იმისა წარმოადგენს იგი კლიენტს თუ თავად არის მხარე სამართალწარმოების განხორციელებისას. ადვოკატს მისი სტატუსიდან გამომდინარე ევალება პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს და არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები. მოსარჩელე მხარისათვის და სასამართლოსთვის ადვოკატის პროფესიის შესახებ ცნობილი იყო და მისი ქმედება აღიქმებოდა

როგორც არა ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება.

ადვოკატსა და მომჩივანს შორის სასამართლო სხდომის დასასრულს სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო კონფლიქტი, რომელიც დასრულდა ფიზიკური შეხებით, კერძოდ: მომჩივანის მიერ ხელთ არსებული ჩანაწერების ქნევით, ხოლო ადვოკატის მხრიდან კი სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად ფეხის მოქნევით.

კომისიამ შეაფასა ის ფაქტი, რომ ადვოკატი სამოქალაქო დავაში იყო მოპასუხე მხარე, თუმცა გაითვალისწინა გარემოება, რომ მოპასუხე მხარისათვის და სასამართლოსთვის მისი პროფესიის შესახებ ცნობილი იყო და მისი ქმედება აღიქმებოდა როგორც არა ფიზიკური პირის, არამედ როგორც კონკრეტული ადვოკატის ქმედება.

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატი მოსარჩელე მხარის ადვოკატის მიმართ მისი ქცევით არ გაუფრთხილდა პროფესიულ პრესტიჟს, ღირსებას და საზოგადოების წინაშე ნდობას. მისი ქცევა არაეთიკური იყო და ეწინააღმდეგებოდა სასამართლოში მოქცევის წესებს.

შენიშვნა: *ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილებით დს-შ/5-15 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.*[228]

---

[228] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/5-15; https://gba.ge/pdf/5c4c0852ee38b.pdf/5c4c0852ee38b.pdf

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „მართალია ადვოკატი მოცემულ სამოქალაქო დავაში გამოდიოდა მხარედ, მაგრამ პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულებისას, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც. საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება სასამართლო დარბაზით. ადვოკატი 2006 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ის გარემოება, რომ ადვოკატი გამოდიოდა მხარედ და არა წარმომადგენლად, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისგან. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუა-

ლოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში. ეთიკის კოდექსის მე-7, მე-9, მე-10 მუხლები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატებს შორის ურთიერთობაზეც, ხოლო ამ წესების დაცვა ადვოკატს მით უფრო მართებს სასამართლო დარბაზში. როდესაც ყველასთვის ცნობილია მისი პროფესიული სტატუსი, მისი ქმედება აღიქმება არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება. ... ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.“

კოლორი
ჯგუფი

დაიბეჭდა სტამბა კოლორში